კულტურის წინასწარი დეტერმინაციის დროს უმთავრესად გამოვლინდება „გაგების" გადაულახავი ბარიერები. როგორც ჰარალდ ვაინრაიხი ამბობს, ცალკეული მეტაფორის გამოყენება დაკავშირებულია ნაწილობრივ მშობლიური ენის მეტაფორულ ტრადიციასთან, ნაწილობრივ კი, ხასიათდება ამა თუ იმ ენის ლიტერატურაში არსებული „სამყაროსეული სურათების" დამკვიდრებით [Weinreich. 1976:44]. ვინაიდან ჩვენი თემა უშუალოდ მხატვრული, კერძოდ კი გ.გრასის ტექსტების ქართულ თარგმანებს ეხება, ამიტომ ტექსტის მრავალ სახეობას შორის „მხატვრული ტექსტის" სპეციფიკა და მნიშვნელობა უნდა გამოვყოთ. სწორედ მხატვრული ტექსტის თარგმნის პროცესში წარმოჩნდება მთარგმნელის შემოქმედებითი შესაძლებლობები, რის გამოც მას „ინტერპრეტაციად" (der Interpret) მოიხსენიებენ ხოლმე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთარგმნელს არა მხოლოდ გადმოაქვს მხატვრული ტექსტის საზრისი თარგმანის ენაზე, არამედ, იმავდროულად, განმარტავს მას და ინტერპრეტატორის ფუნქციასაც ასრულებს, რაც თარგმანმცოდნეობის ენაზე ორიგინალის ტექსტის „სამყაროს მოდელირებას" ნიშნავს. მხატვრული ტექსტის სამყაროს მოდელირების სიძნელე, თარგმნის სიძნელე თარგმნის პროცესში მისი საზრისის დაფარულობაში კი არ მდგომარეობს, არამედ იმაში, რომ იგი საგნებისა და ობიექტების სახით არ მოგვეცემა, თუმცა მხატვრული ტექსტების სამყაროს მოდელირების დროს, რეალური საგნები სუბიექტის საკუთრებად იქცევა და ამის წყალობით შესაძლებელი ხდება რეალობის აღქმის, წარმოდგენის, ემოციების და იდეების რეპერტუარი სუბიექტურად იქნას გარდასახული მთარგმნელის მიერ [გოგოლაშვილი. 2001:32-33].

**ძირითადი ნაწილი**

მოდალობის გამომხატველი სიტყვები ძირითადად გვხვდება იმ სიტყვებთან, რომლებიც გამოიყენებიან გრამატიკული კატეგორიების (უარყოფა, კილო, ბრუნვა) კოდირებისათვის. ასეთები არიან შემავსებლები ან დისკურსის მარკერები. საქმე ეხება სამეტყველო აქტის ისეთ მნიშვნელოვან კატე–გორიას, როგორიცაა მოდალობა, რომელიც თავისი არსით განსაზღვრავს მოლაპარაკების დამოკიდებულებას გამონათქვამის მიმართ. ეს ის მთავარი მიმართებაა, რომელიც მთელ ტექსტს გასდევს და თარგმნის პროცესში მთარგმნელი მუდმივად მასზე უნდა იყოს ორიენტირებული.

გ.გრასის ქართული თარგმანების შედარებამ ორიგინალურ ტექსტებთან დაგვანახა, რა დიდ როლს ასრულებენ თარგმნის პროცესში, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო სიტყვები, რომლებიც მოდალური ნაწილაკების სახელით გავაერთიანეთ. ეს ის ფორმაუცვლელი სიტყვებია, რომლებსაც არ აქვთ წინადადების წევრის ფუნქცია, მაგრამ წინადადებას მთლიანად მოდალურ სემანტიკას ანიჭებენ. ეს სიტყვები, რომლებიც უმთავრესად ზეპირმეტყველებაში იხმარება, უხვად გამოიყენება მხატვრულ ტექსტებში. ისინი წინადადების ან გამონათქვამების მოდალობას გამოხატავენ, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს უარყოფის, შეფასების, გაოცების, ინტერესის, განზრახვის, დაპირების

და სხვადასხვა ემოციის მნიშვნელობა.

შიფრინის თანახმად, აღნიშნული ნაწილაკები ასრულებენ სხვადასხვა ფუნქციებს: გამოდიან კონტექსტუალური კოორდინატორების როლში და გამონათქვამებს ათავსებენ დისკურსის ამა თუ იმ სიბრტყეზე; უზრუნველყოფენ მიმდებარე გამონათქვამების ინდექსაციას მთქმელთან, მსმენელთან ან ორივესთან; უზრუნველყოფენ გამონათქვამების ინდექსაციას წინა ან მომდევნო დისკურსთან. ნაწილაკებს აქვთ ინტეგრაციული ფუნქცია და უზრუნველყოფენ დისკურსის კოჰერენტულობას [Schiffrin. 1987].

ნაწილაკები წარმოადგენენ სიტყვებს, წინადადებებს, ფრაზებს თუ აბზაცებს შორის გამოყენებული, იმ ფუნქციონალურად განსაზღვრული სიტყვების არჩევანს, რომლებიც ჩვეულებრივ არასრულფასოვან სიტყვებს განეკუთვნებიან, დამოუკიდებლად არ იხმარებიან და მხოლოდ თარგმნის პროცესის სრულყოფილად წარმართვას უწყობენ ხელს, თუკი ტექსტის თარგმანის პროცესში ამ სიტყვების გამოყენება ტექსტის თარგმნის პარალელურად მიმდინარეობს. მათი შეფასება, როგორც საჭირო და აუცილებელი შეფასება თარგმნილი ტექსტის ანალიზის პროცესში, ტრანსლატიკის სფეროში შედარებით ახალი წამოწყებაა, რადგან ნაწილაკებს ტრადიციულად განიხილავენ, როგორც ზედმეტ ენობრივ საშუალებებს, რომლებიც ტექსტს გადატვირთავენ და მის შინაარსს უფრო გაურკვეველს ხდიან, ვიდრე გარკვეულობას ანიჭებენ. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ამ სიტყვების ფუნქციებს ზეპირმეტყველებაში არ იკვლევდნენ, ხოლო წერილობით ტექსტებში ყურადღებას არ აქცევდნენ იმ გარემოებას, რომ ამ შემთხვევაში ეს სიტყვები მხატვრული ტექსტების დიალოგებში მნიშვნელოვან ფუნქციებს იძენენ და მათ სრულიად განსხვავებულ გამომსახველობას, ასე ვთქვათ, „მაცოცხლებელ ძალას“ ანიჭებენ. ნაწილაკები გამოხატავენ ადრესატის დამოკიდებულებას, შეხედულებას, ემოციებს ადრესანტისა ან ფაქტის მიმართ, რომელზეც არის საუბარი დისკურსში.

მხატვრული ტექსტის თარგმნის პროცესში განსაკუთრებულად აქტუალობას იძენენ ფორმაუცვლელი სემიოტიკური ნიშნები, რომლებიც ენობრივ უნივერსალიებს განეკუთვნება და გვხვდება, როგორც წყაროენის, ასევე მიზან-ენის ტექსტებში.

სემანტიკურად მოდალური სიტყვები იყოფა სამ ჯგუფად და ძირითადად გამოხატავს: დარწმუნებულობას, სურვილს, ვარაუდს.

მოდალური ნაწილაკებიდან გ.გრასის ტექსტებში ხშირად გამოიყენება შემდეგი ფორმაუცვლელი სიტყვები: also, auch, bloss, den, doch, eben, erst, gerade, ja, mal, noch, nun, schon, so zu, zumal. აღნიშნული სიტყვები დამოუკიდებლად ძალიან მცირე სემანტიკური მნიშვნელობის მქონენი არიან, სამაგიეროდ ისინი ემოციურად ან აზრობრივად აცოცხლებენ წინადადებას და სხვადასხვა ხარისხის მოდალობას გამოხატავენ.

უნდა აღინიშნოს, რომ გრასის ნაწარმოებებში ძალიან ხშირად გვხვდება ნაწილაკი doch ანუ – ხომ, მართლაც. Doch წინადადებაში ითარგმნება ხან როგორც ნაწილაკი, ხან ასრულებს კავშირის როლს. თარგმანებში კი ვაწყდებით შემდეგ მნიშვნელობებს: ხომ, მართლა, ჰა...რაა, ჰა, რაღა, ნეტავ კი, კი მაგრამ, აბა...ერთი. ის გვევლინება ზმნიზედის როლშიც და ამჯერად უშუალოდ ზმნასთან არის დაკავშირებული. მაგ: „მაინც“. მაგრამ თუ მას კავშირის სახით ვხმარობთ, ის მხოლოდ და მხოლოდ „მაგრამ“-ის აღმნიშვნელია.

„doch” გარდა. გრასის რომანებში უხვად გვხვდება სხვა ნაწილაკებიც, როგორებიცაა eben, ebenfalls halt,ganz und gar,sooft, kurzrum, jedenfalls, insgesammt, zudem, immerhin, sonst, jedoch.

მაგალითები „დედალი ვირთაგვა“-დან “DIE RAETTIN”

(მთარგმნელი ნანა გოგოლაშვილი)

1) „Doch, mein Monitor zeigte einzig die Raettin“(69)

„მაგრამ ჩემს მონიტორზე მარტო დედალი ვირთაგვა მოჩანდა“(65).

უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელი ნანა გოგოლაშვილი doch-ს ხშირად თარგმნის კავშირით „მაგრამ“, რადგან გარკვეულ შემთხვევებში თვლის, რომ ან ნაწილაკის პრიმარული მნიშვნელობით თარგმნა ცოტა გააუფერულებდა ტექსტის საზრისს.

მსგავსი მაგალითების მოყვანა უხვად შეიძლება,

2) „Capitaen Bertman blieb an Bord, doch gab es keinen Schiffkurs”(84)

„კაპიტანი ბერტმანი ჯერაც გემზე რჩებოდა, მაგრამ მისთვის უცნობი იყო, რა კურსი შეიძლებოდა აეღო გემს” (100)

Doch -ის პრიმარული მნიშვნელობა „მაინც“ აქ ნამდვილად უადგილო იქნებოდა, ამიტომ იგი თარგმანში შეიცვალა ნაწილაკით „მაგრამ“, რაც უფრო შესაფერისი და შესატყვისია აზრობრივად. („კიბორჩხალას ნაბიჯით“)

3) „Jedenfalls sahen wir das Flagellantentum gegen Schluss der Humangeschichte abermals aufheben” (71)

„ასე იყო თუ ისე, ვნახეთ, კვლავაც როგორ აღზევდნენ ფლაგელანტები ჰუმანთა ისტორიის მიწურულს, თუმცა ისინი ჩვენ და ებრაელებს არ გვერჩოდნენ“(68) ქართულად აქ არ ხდება დამთხვევა.

Jedenfalls ნიშნავს „ყოველ შემთხვევაში“, აქ კი, როგორც ვხედავთ, მთარგმნელმა მოდალობის გამომხატველი გამოთქმა „ასე იყო თუ ისე“ გამოიყენა და არც თუ ისე ურიგოდ.

4) „Insgesammt wurde des Malers Arbeit...in zahlreichen Gutachten gewurdigt“ (113)

„და თუმცა მალკასტის გვარი და სახელი არსად ეწერა და თუ ეწერა, ...მისი ნამუშევრები დიდი პატივით მოიხსენებოდა მრავალრიცხოვან რეცენზიებში“ (109)

Insgesammt გერმანულად ნიშნავს „საერთო ჯამში“, „მთლიანად“, თარგმანში კი ის გადმოსულია როგორც დათმობითი წინადადება Einraeumungssatz. ნაწილაკი შეიძლება თარგმანში გადმოვიდეს უბრალოდ კავშირით, ჩვენ შემთხვევაში კავშირი „თუმცა“ იგივე აზრის მატარებელია და განსაზღვრავს მიზან-ტექსტში ბმულობის ხარისხს.

5) „Sicher, es geht um den Kurs, doch unterschwellig fuehren die Frauen privaten und nichtverjaehrten Streit mit sich’ (174)

„საქმე ნამდვილად გემის მიერ აღებულ კურსს ეხება, მაგრამ ქალებს ქვეცნობიერად პირადული და მუდმივი კამათი აქვთ გამართული“ (168)

აქ სრულ დამთხვევასთან გვაქვს საქმე, ანუ გერმანულ მოდალურ სიტყვას კარგად გამოხატავს მისი შესატყვისი ქართული ნაწილაკი.

6) „Sogleich beginnt aus der Oednis zwischen den toten Baeumen eine Dornehecke zuwachsen“ (286)

„იმავე წამს, უკაცრიელ ადგილას, მკვდარ ხეებს შორის, ამოიზრდება ეკალბარდიანი ღობე“ (274)

„Sogleich”“ ანუ „მაშინვე“ გერმანულ წინადადებაში ძირითადად კავშირის როლს ასრულებს, მაგრამ მას ნაწილაკის ფუნქციაც გააჩნია. მთარგმნელს რომ აქ კავშირის მნიშვნელობით გადმოეცა ავტორის სათქმელი, ბუნებრივია, აზრი დაიკარგებოდა. როგორც ნაწილაკი კი, ზუსტად ემთხვევა ავტორის სათქმელს.

7) „Die Raettin jedoch durfte“ (440)

„ვირთხას თურმე არაფერი ეკრძალებოდა“ (417)

ნაწილაკი Jedoch ქართულად ნიშნავს „თუმცა“ და არა „თურმე“, ისე როგორც ეს მთარგმნელმა გამოიყენა. აქ საუბარია ზუსტად იმაზე, რომ ავტორი ისეთ ამბავს გვიყვება, რასაც არ დასწრებია და არ უნახავს.

მიზან-ენაში გამოყენებულია თურმეობი-

თი ფორმა, რომელიც მთელ წინადადებაზე ვრცელდება, როგორც გრამატიკული მოვლენა, გადადის მთლიანად სინტაქსში. ანუ მორფოლოგიიდან სინტაქსში, სინტაქსურ სისტემაში, ანუ მათი სემანტიკა მთელ წინადადებაზე მოქმედებს.

იმის მიხედვით, თუ გამოხატვის რომელ საშუალებას ეძლევა უპირატესობა ამა თუ იმ ენაში, მოდალობის გამოხატვის ფორმებიც ენათა მიხედვით განსხვავებულია. მოდალობის კვლევის სფეროში კრიტერიუმების სიზუსტე შეიძლება იყოს უფრო მიახლოებითი, ვიდრე რეალური. ეს გასაგებია, რამდენადაც აღნიშნულ სფეროში ოპერირება ხდება ისეთი ცნებებით, როგორიცაა: ირეალობა, არაფაქტობრიობა, სუბიექტურობა, შესაძლებლობა, აუცილებლობა და მისთ [F. R. Palmer: 2-7 1995].

მოცემული მაგალითებით ვრწმუნდებით, რომ ნაწილაკებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს წინადადების მთავარი საზრისის, ემოციის, განწყობის და ა. შ. გამოსახატავად. როგორც ენათმეცნიერი ბალი განმარტავს „არ შეიძლება წინადადების მნიშვნელობა მივანიჭოთ გამონათქვამს, თუ მასში არ არის მოდალობის რაიმე გამოხატულება მაინც" [ბალი. 1995:44-45].

მაგალითები „ კიბორჩხალას ნაბიჯით"
(მთარგმნელი ნანა გოგოლაშვილი)

1) „Alexsander Marinenko wurde 1913 geboren, und zwar in der Hafenstadt Odessa"

„ალექსანდრე მარინენკო 1913 წელს დაბადებულა, როგორც ჩანს შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი დიდებული ქალაქი უნდა ყოფილიყო"(18)

Zwar – არის „სახელდობრ, თუმცა", მთარგმნელმა კი სიტყვა „როგორც ჩანს" მოურგო. როცა შემდეგ წინადადებაში იგივე ნაწილაკი „Zwar" თარგმნილია, როგორც „მართალია".

როგორც მეცნიერი ლიაპონი ასაბუთებს, „სუბიექტური მოდალობა მოლაპარაკის მიერ ფაქტის სხვადასხვაგვარ, სუბიექტურ კვალიფიკაციას, შეფასებას გამოხატავს. იგი გამოირჩევა შინაარსისა და გამოხატვის საშუალებათა მრავალფეროვნებით. ობიექტური მოდალობისგან განსხვავებით, სუბიექტური მოდალობა უფრო მეტად ფაკულტატურია [ლიაპონი. 1990: 303-304].

2) „Dennoch konnte ich den Gedanken nicht abweisen" (72)

ის აზრი ვერა და ვერ მომეშორებინა თავიდან(87)

Dennoch, რომელიც ქართულად ნიშნავს „და მაინც", ან „მიუხედავად ამისა", მთარგმნელმა „ვერა და ვერ" შეავსო მიზანენაში, რადგანაც წინადადებაში მოცემულმა უარყოფამ „nicht" მისცა მას საშუალება აღნიშნული ნაწილაკი ამდაგვარად ეთარგმნა.

3) „Genau wusste Mutter das nicht, ausserdem taten ihr nur die Hunde leid" (107)

„დედამ ამის შესახებ ზუსტად არაფერი იცოდა, მაგრამ ამ დროს მას გული მხოლოდ ძაღლებზე შესტკიოდა" (126)

ამ შემთხვევაში გერმანული სიტყვა „გარდა ამისა", „მაგრამ"-ით ჩაანაცვლა ქართულში, რადგანაც ausserdem (გარდა ამისა) სრულიად შეცვლიდა წინადადების აზრს.

11) Doch nicht nur Gabi, auch Mutter hat in mir den typischen Versager gesehen(43)

„მარტო გაბი კი არა, დედაც ტიპიურ უქნარას ხედავდა ჩემში."

ნაწილაკს „ Doch'' უამრავი მნიშვნელობები აქვს გერმანულ ენაში, ქართულში კი არც თუ ისე ბევრი. კონტექსტიდან გამომდინარე, მთარგმნელი ზუსტად არგებს აქ ფორმაუცვლელ სიტყვას „მარტო", რითაც კიდევ უფრო აძლიერებს ერთი პერსონაჟის დამოკიდებულებას მეორესთან. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მთარგმნელი ზოგჯერ მოდალურ მნიშვნელობას მოლაპარაკის ემოციურ-ექსპრესიული დამოკიდებულების შემოტანით აფართოებს.

„BLECHTROMMEL“ „თუნუქის დოლი“

(მთარგმნელები ეკა რაისნერი/ ნატალია ნადარეიშვილი)

1) „Dennoch soll hier nicht behauptet werden“ (59)

„ამის მიუხედავად სულაც არ მინდა გიმტკიცოთ...“

Dennoch აქ მთარგმნელებს გადმოტანილი აქვთ როგორც „ამის მიუხედავად“ ungeachtet dessen”. ვფიქრობთ, უფრო შესაფერი იქნებოდა ნაწილაკი „და მაინც“, რადგან, კონტექსტიდან გამომდინარე, ავტორს სურს მოსაუბრის მიერ გამოთქმული აზრის კიდევ ერთხელ დასაბუთება და არა რაღაც მიზეზის ჩვენება

4). „Immerhin eine Minute lang durfte sich Oskar ungestraft den Mond ansehen“ (481)

„და სხვა რომ არაფერი, ოსკარს ერთი წუთითაც მაინც შეეძლო დაუსჯელად ეყურებინა მთვარისათვის“ (402).

აქ მთარგმნელს მოდალური კონსტრუქციით „და სხვა რომ არაფერი“ აქვს გადმოცემული გერმანული მოდალობის გამომხატველი სიტყვა „Immerhin, რომლის პრიმარული მნიშვნელობაა „ყველა შემთხვევაში“ და ვფიქრობთ, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც მთარგმნელი კრეატულობით ზუსტად უსადაგებს შესაფერის სიტყვას ან გამოთქმას ავტორისეულს.

5) „ბატონმა მაცერატმაც, რომელიც იმ დროს მხოლოდ თხუთმეტიოდე წლისა თუ იქნებოდა, ყველაფერი იცოდა, ნახევრად ბრმა იცნო კიდეც“ (638)

„Herr Matzerath, der zu dem Zeitpunkt allenfalls fuenfzehn Jahre gezaehlt hatte, auf dem laufenden verkannte sogar den Halbblindenden“ (757).

თარგმანში გამოყენებული „მხოლოდ“ არ გვაქვს წყარო-ტექსტში. მთარგმნელს ამ ნაწილაკის შემოტანა მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის დასჭირდა, რომ გაეძლიერებინა ავტორის სენტენცია. შურუფსი ნაწილაკებს მართებულად უწოდებს „დამადასტურებლებს“ და თვლის, რომ ისინი მოქმედებენ კოგნიტიურ დონეზე, ამჟღავნებენ ადრესანტის კოგნიტიური პროცესებისა და აზროვნების მეთოდს, რომელსაც იგი იყენებს ამა თუ იმ დისკურსის ფრაგმენტის წარმოების დროს [Schourup. 1985:22-23].

მხატვრული ტექსტის თარგმანის პროცესში მთარგმნელის აზროვნება ესთეტიკური და ხატოვანი ენის განზომილებაში გადაინაცვლებს. ხატოვანი ენის კოდში ამ დროს ხდება ცვლილება. გამოყენების შესაძლებლობებს მის ჰიბრიდულ ანუ სხვადასხვა ენობრივ შრეებთან ერთად, მეტაფორების კლასებიც ქმნიან, რომელთა ხშირი რეალიზაცია წყარო-ტექსტებში მთარგმნელის მიერ ეკვივალენტური ვარიანტების მოძებნას და შერჩევას მოითხოვს.

**დასკვნა**

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტრანსლატიკაში არ არსებობს ცენტრალური და მარგინალური პრობლემები, რადგან მხატვრული ტექსტის პროცესში, შესაძლოა, წინ წამოიწიოს სრულიად უმნიშვნელო ენობრივმა მოვლენამ, რომელსაც არც წყარო-ენის და არც მიზან-ენის სისტემაში დიდი როლი არ აქვს. სამაგიეროდ, შესაძლოა, მან სწორედ ტექსტში მიიღოს ისეთი სემანტიკურ-სინტაქსური, აზრობრივი და ემოციური დატვირთვა, რომლის გარეშეც ტექსტის მთელი აბზაცი ან თავი, მთლიანად დაკარგავს თავის ფუნქციას.

ისეთი ენობრივი, ფორმალური სემიოტიკური ნიშნები, ამ შემთხვევაში მოდალობის გამომხატველი, რომლებსაც თითქოსდა ენაში ფუნქცია არ აქვთ ხშირად თარგმნის პროცესში დიდ ყურადღებას და ცოდნას საჭიროებენ ლინგვისტურ თუ ემოციურ დონეზე. ნაწილაკები ხშირად კონტექსტუალური მნიშვნელობის ნიუანსებს გამოხატავენ და

მკაფიოს ხდიან ადრესატის დამოკიდებულებას გამოთქმული მოსაზრების მიმართ. შესაბამისად, მათ დიდი პრაგმატული დატვირთვა გააჩნიათ.

## ლიტერატურა


1. Heinemann M. (2002): Heinemann Wolfgang. Grundlagen der Textlingwistik; Interaktion-Text-DiskursMax Niemejer Verlag, Tubingen

2. Kleine Enzyklopädie Deutsche Sprache. (1983): Leipzig.

3. Palmer F. R. (1995): Mood and Modality. Cambridge University Press

4. Schiffrin D. (1987): Discourse Markers. Cambridge: Cambridge University Press

5. Schourup L. C. (1985): Common Discourse Particles in English Conversation. New York and London: Garland Press

6. Weinrich H. (1976): Sprache in Texten. Stuttgart

7. Балли Ш. (1955): Общая лингвистика и вопросы французского языка, пер. с франц.

8. Ляпон М. В. (1990): Лингвистический энциклопедический словарь. Сов. энцикл.

9. გოგოლაშვილი ნ. (2011): გიუნტერ გრასი „დედალი ვირთაგვა". თბ.,შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"

10. გოგოლაშვილი ნ. (2008): გიუნტერ გრასი „კიბორჩხალას ნაბიჯით". თბილისი

11. გოგოლაშვილი ნ. (2001): საენათმეცნიერო ძიებანი. (X. გამომც, დ.) თბილისი: ქართული ენა

12. გოგოლაშვილი ნ. (2001): სამყაროს მოდელირების პრობლემა მხატვრული ტექსტის თარგმნის პროცესში. თბილისი


# Проблема перевода формонеизменяемых семиотических знаков в художественной литературе на примере грузинских переводов произведений Г. Грасса


*Палавандишвили Нино*

*Грузинский университет им. Андрея Первозванного*

*Факультет гуманитарных наук*

*ул. И.Чавчавадзе №53 а; Грузия, Тбилиси*

*Тел.: 597 999 184*

E-mail: n.palavandishvili@europeansschool.ge



**Резюме**

Анализ переведённых текстов показал, что несмотря на универсальный характер знаков, выражающих модальность, они часто выполняют особенные функции в синтаксико-семантических структурах в языке-источнике и в языке перевода, и на конкретном уровне делают наглядной свою конвергентную специфику, на уровне предложения, абзацев или целого текста.

Модальные слова создают функцийные группы, синтаксическую независимость которых следует учитывать в процессе перевода, в зависимости от того, какую модальную направленность они выражают по отношению к высказыванию.



**Ключевые слова:**

когезивные соотношения, интерпретация, модальные частицы, семиотические знаки, главная мысль, контекстуальный.

# The Translation Problem of the Non Changed Characters of the Semiotics Forms in Fiction Which Bases on Examples of the G. Grasse works Translations Onto Georgian Language

*Nino Palavandishvili*
*Andrey Pervozvanni's Georgian University*
*Faculty of Hummanitarian Sciences*
*53a, Chavchavadze av., Tbilisi, Georgia*
*Tel.: 597 999 184*
E-mail: n.palavandishvili@europeansschool.ge

**Abstract**

As the analyse of the translated text showed, in spite of modality sign's universal character, they often carry out different functions between thesyntactic semantic structures of the source and the target language. On a specific level they obviously show their convergent specificity within the sentences, paragraph and the whole text.

Modal words which make functional groups, their syntactic independency isconsidered during the translation according to what modal connections they express within the expressions.

**Keywords:**

coherence connections, interpretation, modal particle, semiotic signs, main option, contextual.

# იურიდიული ტერმინი და პროფესიული კომუნიკაცია

*ლია რუხიაშვილი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*
*ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,*
*საქართველო*
*ტელ. 577 306 306*
E-mail: liarukhiashvili@yahoo.com

**რეზიუმე**

ტერმინი განსაზღვრული ენის ლექსიკური ერთეულია, რომელიც სპეციალური მიზნებისათვის გამოიყენება. ის აღნიშნავს კონკრეტულს ან აბსტრაქტულს, ცოდნის ან ქმედების განსაზღვრული სპეციალური სფეროს თეორიის ცნებას. ტერმინი რთული მოვლენაა. ტერმინი სიტყვაა ან შესიტყვება, რომელიც სპეციალურ ცნებას გამოხატავს. ტერმინოლოგია კი სპეციალურ ენას განეკუთვნება. სპეციალური ენის ძირითადი ამოცანაა სიტყვების გამოყენება საგნებისა და მოვლენების დეფინიციისათვის. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს დეფინიციები უნდა იყოს ზუსტი და ეკონომიური. ჩვენი კვლევის ობიექტია საოჯახო სამართლის ტერმინების კვლევა ქართულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებში, იმ მიზნით, რომ დადგინდეს, თუ რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის და ის ხერხები, რითაც ხდება ამ ტერმინების ფორმირება ზემოხსენებულ ენებში.

**საკვანძო სიტყვები:**

ტერმინი, სპეციალური ენა, საოჯახო სამართალი, პროფესიული კომუნიკაცია, ინტერნაციონალიზაციის პროცესი.

**შესავალი**

ტერმინი სპეციალური სიტყვაა ან სიტყვათშეთანხმება, რომელიც მიღებულია პროფესიულ საქმიანობაში და გამოიყენება განსაკუთრებულ პირობებში. ტერმინი ცნების სიტყვიერი გამოხატულებაა, რომელიც შედის პროფესიული ცოდნის განსაზღვრულ სფეროს ცნებათა სისტემის შემადგენლობაში. ტერმინი ენის ძირითადი ცნებითი ელემენტია, რომელიც განკუთვნილია სპეციალური მიზნებისათვის [სუპერანსკაია, პოდოლსკაია, ვასილიევა. 2003:14].

ტერმინი სიმბოლოა, რომელიც ფიქსირებულ სისტემაში აღნიშნავს კოორდინატს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, განსაზღვრულ სამეცნიერო სფეროში ერთადერთ ობიექტს. ლინგვისტიკაში არ არსებობს ტერმინოლოგიისადმი ერთგვაროვანი მიდგომა. ზოგიერთი ლინგვისტი ტერმინს განიხილავს როგორც სამეცნიერო სფეროს ცნებითი სისტემის ნაწილს, მეორენი ტერმინში ხედავენ ,პირველ რიგში, სიტყვას, რომელიც საერთო ენის ლექსიკის ნაწილია. დღეს ლინგვისტები არ დავობენ იმაზე, რომ ტერმინი სიტყვაა ან შესიტყვება, რომელიც სპეციალურ ცნებას გამოხატავს. თუმცა საკითხი იმის შესახებ, თუ მეტყველების რა ნაწილებით შეიძლება იქნას წარმოდგენილი ტერმინი, არაერთგვაროვნად წყდება. ლინგვისტების უმეტესი ნაწილი ფიქრობს, რომ ტერმინების ენობრივი ფორმა მხოლოდ არსებითი სახელი ან მის საფუძველზე შექმნილი შესიტყვება შეიძლება იყოს.

ის საკითხი, რომ ტერმინი სპეციალურ სფეროს განეკუთვნება, განპირობებულია იმით, რომ ის გამოიყენება ცნებების ნომინაციისათვის. ტერმინის ეს თვისება წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას და განაპირობებს იმას, რომ ის მიეკუთვნება ცოდნის სპეციალურ სფეროს. ცნობილია, რომ ცნებების აღნიშვნის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს არა მარტო სპეციალურმა, არამედ საყოველთაო სიტყვებმა და მათმა შესიტყვებებმა. გ. ვინოკური წერდა, რომ ტერმინები განსაკუთრებული სიტყვები კი არა, არამედ განსაკუთრებული ფუნ-

ქციის მქონე სიტყვებია [ვინოკური. 1939:5]. თუკი ტერმინს ფუნქციური თვალსაზრისით მივუდგებით, ის ენობრივი ნიშანია, რომლის ძირითადი ფუნქცია ადამიანის შეგნებაში ქმნის მოცემულ ობიექტზე სრულ წარმოდგენას, რომელიც მთელი მისი თვისებებით ცოდნის განსაკუთრებულ სფეროს განეკუთვნება [კაპანაძე. 1965:79; მოისეევი. 1970:138; რეფორმატსკი. 1961: 47-48].

ნომინაცია, სემანტიკური სიზუსტე, მონოსემანტურობა, სიმოკლე, მოტივირებულობა და დერივაციის უნარი ტერმინის სპეციალურ მეტყველებაში ჩართვას უზრუნველყოფს.

როგორც აღვნიშნეთ, ტერმინი სიტყვაა ან შესიტყვება, რომელიც სპეციალურ ცნებას გამოხატავს. ტერმინოლოგია კი სპეციალურ ენას განეკუთვნება. ცნება – სპეციალური ენა და მისი ლინგვისტური ბუნება დიდი ხანია დამკვიდრდა ენათმეცნიერებაში. ამ სფეროში პირველი ნაშრომები უცხოურ ლინგვისტიკაში XIX საუკუნეში გაჩნდა. თუმცა ამ მოვლენის პირველი თეორიული საფუძველი XX საუკუნეში გვხდება. ეს დაკავშირებული იყო მეცნიერებისა და ტექნიკის ინტენსიურ განვითარებასთან, როდესაც ენობრივი საშუალებების მეშვეობით შეძლებდნენ ზუსტად გამოეხატათ სამეცნიერო ცნებები. ტერმინი – სპეციალური ენა ლინგვისტიკაში პრაღის ლინგვისტური წრის წარმომადგენლებმა გამოიყენეს. მათ წარმოდგენაში ენა იყო ნიშანთა სისტემა, რომლისთვისაც ენობრივი ფუნქციის ცნება მთავარია. ლინგვისტურ ანალიზს ფუნქციურად უდგებოდნენ, რადგანაც ენას, მათი აზრით, მიზანმიმართული გეზი აქვს.

სპეციალური ენის ძირითადი ამოცანაა სიტყვების გამოყენება საგნებისა და მოვლენების დეფინიციისათვის. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს დეფინიციები ზუსტი და ეკონომიური უნდა იყოს. ამიტომ, სპეციალური ენები შეიძლება განვიხილოთ როგორც გამოყენებითი დანიშნულების ენობრივი სისტემები. ასე უდგება ამ საკითხს პრაღის ლინგვისტური სკოლა. მათი გაგებით, სპეციალური ენა შედგება საგნობრივ-პრაქტიკული და სამეცნიერო-თეორიული შრეებისაგან. ასეთი დეფინიცია არაა სრული, ვინაიდან სპეციალური ენები არსებობს არა მხოლოდ წერითი, არამედ ზეპირი ფორმითაც. ამგვარად, უნდა გავითვალისწინოთ ფუნქციურ-სტილისტური ასპექტიც. ყველა ეს ფაქტორი რ. ბარტმა გააერთიანა თავის თეორიაში სპეციალური ენების შესახებ.

ის განიხილავს პროფესიულ ენას, როგორც ენობრივი სისტემის ტიპურ რეალიზაციას [ბარტი. 1976:211]. ეს სისტემა არსებობს არა მხოლოდ განსაკუთრებული ლინგვისტური, არამედ სოციალური წესებითაც. თუმცა ეს თეორია სადავოა, რადგანაც ძირითადი აქცენტი ლექსიკის სოციალურ ბუნებაზე კეთდება, თუმცა არ ხსნის, რითაა განპირობებული ლექსიკური და სინტაქსური საშუალებების შერჩევა.

**ძირითადი ნაწილი**

სპეციალური ენის განვითარების ტენდენცია უმეტესად განპირობებულია ტერმინოლოგიის თავისებურებებითა და განვითარების დონით, რომლებიც მათ სემანტიკურ ბირთვს ქმნიან, თუმცა მხოლოდ ტერმინოლოგიური თავისებურებებით არ ამოიწურება ეს საკითხი. კ. ავერბუხი გამოყოფს სპეციალური ენის განვითარების ხუთ ტენდენციას: ინტეგრაცია, დიფერენეციაცია, ინტერნაციონალიზაცია, უნიფიკაცია, ეკონომია [ავერბუხი. 2004:27-47].

თანამედროვე მეცნიერების განვითარების არსი სამეცნიერო ცოდნის ინტეგრაციას და მასთან დაკავშირებული მრავალი სამეცნიერო დისციპლინის დაახლოებას განსაზღვრავს. ყველაზე საინტერესო და აქტუალური სამეცნიერო პრობლემები ორი ან მეტი მეცნიერების შესაყარზე ჩნდება. ასე ხდება სამეცნიერო ცოდნის ინტეგრირება. ენის

სფეროში ამის უშუალო ასახვა იმით ხდება, რომ სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინების ყველაზე აქტიური კონტაქტების ადგილას მათი ენები ერთმანეთს უახლოვდება, ისინი ერთმანეთს ავსებენ, ასევე ქმნიან ახალ სპეციფიკურ ტერმინებს წარმოქნილი კომპლექსური პრობლემისათვის. ამგვარად, სამეცნიერო დისციპლინების ინტეგრაციის პარალელურად ხდება ენათა ინტეგრაცია.

ინტეგრაციის პროცესები სამართლის ენასაც შეეხო. სამართალი მუდმივ ზეგავლენას განიცდის ცოდნის მრავალი სფეროსაგან, თუმცა ყველაზე მეტი თანამშრომლობა არსებობს სამართლის ენასა და ეკონომიკის ენას შორის. ეკონომიკური საქმიანობა ხორციელდება სამართლებრივ ჩარჩოში, ამიტომ, ზოგიერთი იურიდიული ტერმინი უშუალოდაა დაკავშირებული ეკონომიკის ენასთან, კერძოდ, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ეკონომიკური ტერმინი. მაგალითად: loan-prêt-სესხი; contract-contract of service, contract of employement-contrat-contrat de travail – შრომითი ხელშეკრულება; annuity-rente-რენტა; mortgage, bond, pledge-hypothèque-ჰიპოთეკა; redemption-rachat – ყიდვა, შესყიდვა; acceptance-acceptation-აქცეპტi; émission-issue, issuing, drawing – ემისია და სხვა.

ამ ტერმინების ჩართვის დასტური ეკონომიკისა და სამართლის ენების ლექსიკონებში სპეციალური აღნიშვნებითაა მოცემული. ტერმინები აქცეპტი, იპოთეკა, ემისია ერთდროულად არის როგორც ეკონომიკური, ისე სამართლის ტერმინები. მეცნიერებაში დიფერენციაცია ძირითადად ჩნდება იმ დროს, როდესაც სამეცნიერო დისციპლინების კონტაქტის ადგილებში ახალი მეცნიერებები გაჩნდა, როგორებიცაა: მათემატიკური ლინგვისტიკა, ბიონიკა, გენეტიკა, კიბერნეტიკა და ა.შ. კომუნიკაციის სფეროში მათი რეალიზება ახალი ენების წარმოქმნით ხდება, რომლებსაც მათთვის დამახასიათებელი თავისებურებები გააჩნია.

ინტერნაციონალიზაციის პროცესი ფრანგული, ინგლისური და ქართული სამართლის ენებში თავისებურად წარიმართა. ფრანგული სამართლის ენამ დიდი ზეგავლენა მოხდინა ინგლისური სამართლის ენაზე. ქართულში გვაქვს საერთაშორისო ტერმინები, თუმცა გვაქვს სუფთა ქართული სიტყვებიც. მაგალითად: ადვოკატი, ვექილი-avocat-barrister, counsel, advocate, lawyer; alimenti-pension alimentaire-maintenance; alimony; აქცეპტი-acceptance-acceptation და სხვა. ქართულ საოჯახო სამართალში მრავალი სიტყვისაგან შემდგარი ტერმინები გვაქვს. მაგალითად: მეუღლეების ქორწინებამდე არსებული ქონება; ქორწინების ბათილად ცნობა; ქორწინების შემდეგ შეძენილი ქონება; მამობის პრეზუმფცია; თუმცა გვაქვს მოკლე ტერმინებიც: ქორწინება, უუნარობა; ფრანგულში იგივე ტერმინები შემდეგი სიტყვებით გადმოიცემა: mariage; aquêts; biens; annulation de mariage; présomption de paternité; invalidité; ინგლისური ტერმინებია: marriage; presumption of paternity; disability; goods; acquests; annulment და სხვა.

ტერმინს ახასიათებს დერივაციულობა. ტერმინის დერივაციულობა ისაა, რომ ის მოსახერხებელი უნდა იყოს სხვა ახალი ტერმინების საწარმოებლად. ეს მოთხოვნილება სავალდებულოა ახალი ტერმინების შესაქმნელად, ის უზრუნველყოფს შემდეგში ტერმინების სისტემურობას და სიმოკლეს. ტერმინის დერივაციულობა გულისხმობს ასევე იმას, რომ ის შეიძლება გახდეს პროდუქტიული ბაზა ერთფუძიანი ტერმინების წარმოსაქმნელად. მაგალითად: ფრანგული ტერმინი epoux-épouse აწარმოებს სიტყვათა ოჯახებს: épouser-ქორწინება, გათხოვება; épousailles-ქორწილი; épousée-პატარძალი; épouseur-საქმრო. ინგლისურში იმავე სიტყვებისათვის გვაქვს შემდეგი ტერმინები: spouse; spouseless; marry; nuptials; married; suitor და სხვა. თვალში საცემი ისაა, რომ ფრანგულში ტერმინები ერთი ფუძისგანაა წარმოქმნილი, ხოლო ინგლისურში კი განსხვავებული ფუძეებისაგან.

კ. ავერბუხის აზრით, ტერმინოლოგიური უნიფიკაცია მიიღწევა სამი სახის საქმიანობის შედეგად: ტერმინოგრაფია, რომლის შედეგია სხვადასხვა ტერმინთა ლექსიკონები; სამეცნიერო ტერმინოლოგიის მოწესრიგება, რომლის შედეგადაც ჩნდება ეგრეთწოდებული ტერმინების კრებულები და სამრეწველო-ტექნიკური ტერმინოლოგიის სტანდარტიზაცია, რომლის პროდუქტია მრავალრიცხოვანი ტერმინოლოგიური სტანდარტები. თუ განვიხილავთ ყველა ჩამოთვლილ პროდუქტს, ტერმინების უნიფიცირებას გენეტიკურ ასპექტში, მაშინ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ყველა დასახელებული სახეობა, არსებითად, ტერმინოგრაფიის პროდუქტია, ან კიდევ ტერმინების ლექსიკონის სახესხვაობას წარმოადგენს.

პროფესიული კომუნიკაციის ენა მუდმივად მიისწრაფვის კომპაქტურობისაკენ, რაც ეკონომიის კანონის ჭეშმარიტებას ადასტურებს. კაცობრიობამ ხერხებისა და რაციონალური მეთოდების მთელი არსენალი შეიმუშავა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, რომ არსებითად შევამციროთ დრო და ადგილი, რაც მიღებული ინფორმაციის მიღებასა და აღქმაზე იხარჯება. კომპრესიის მეთოდებსა და ხერხებს შორის განიხილება ტერმინების სინტაქსური შეკუმშვის მეთოდები (ელიფსი, აბრევიაცია, სიმბოლოების ხერხებით შეკვეცა), სპეციალურ ტექსტებში ენობრივ სისტემებთან ერთად არაენობრივი ნომინაციის ხერხების შემოყვანა. მაგალითად, ქიმიურ ტექსტებში ფუნქციონირებს ფორმულები. აღსანიშნავია ასევე სემანტიკურად დატვირთული გრაფიკული ინფორმაცია: სქემები, ნახაზები, გრაფიკული გამოსახულებები, რომლებიც შეტყობინების ფიზიკური განფენილობის ეკონომიურ ეფექტს, ასევე აღქმის უბრალოებას და თვალსაჩინოებას უზრუნველყოფენ.

ეკონომიის კანონის მოქმედება სამართლის ენაში შეიძლება აბრევიაციის მაგალითებზე განვიხილოთ. აბრევიაციას უმეტესად ნორმატიული აქტები და სამართლებრივი აქტები განიცდის. მაგალითად ფრანგული შემოკლებებია: BLD-Bulletin législatif Dalloz-დალოსის საკანონმდებლო ბიულეტენი; CA-Cour d'appel – სააპელაციო სასამართლო; TI-Tribunal d'instance – პირველი ინსტანციის სასამართლო; C. fam.-Code de la famille – საოჯახო კოდექსი; JAM-Juge aux affaires matrimoniales – საოჯახო საქმეების მოსამართლე; NCPC-Nouveau Code de procédure civile – ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. ინგლისური აბრევიატურებია: ABLE-Advocates for Basic Legal Equality – ადვოკატები ფუნდამენტური იურიდიული თანასწორობისათვის; All ER-All England Law Reports – ინგლისის სამართლის ყველა ანგარიში; CentCrimCt-Central Criminal Court – სისხლის სამართლის ცენტრალური სასამართლო; WCACiv-Court of Appeal of England and Wales – ინგლისისა და უელსის სააპელაციო სასამართლო; EWHC (Fam)-High Court of England and Wales Decisions – ინგლისისა და უელსის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებები; Adv.-ადვოკატი; hcoj-high council of justice – სააპელაციო სასამართლო; Civ. Law-სამოქალაქო სამართალი და სხვა. ქართული შემოკლებებიდან შეიძლება დავასახელოთ: სსკ-სისხლის სამართლის კოდექსი; სსსკ-სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი; სკ-სამოქალაქო კოდექსი; სსკ-სამოქალაქო საპროცესო კოდექსი; მუხ.-მუხლი; სსმ-საქართველოს საკანონმდებლო მაცნე; სსიპ-საჯარო სამართლის იურიდიული პირი და სხვა. ქართული სამართლის ენა არც ისე ხშირად მიმართავს შემოკლებებს, როგორც ეს გვხდება ინგლისურ და ფრანგულ ენებში.

დღეს ტერმინოლოგია ინტენსიურად სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება. ტერმინის ძირითადი ამოცანა ისაა, რომ მოახდინოს პროფესიულ-სამეცნიერო კომუნიკაციის ოპტიმიზაცია. ამის შესაბამისად, ტერმინები ზუსტად უნდა ასახავდნენ ადამიანთა გამოცდილებისა და პრაქტიკული საქმიანობის შედეგებს, აფიქ-

სირებდნენ პროფესიულ-სამეცნიერო ცოდნას ტერმინით გამოხატული ობიექტების თვისებების შესახებ და შლიდნენ მათ არსებით მახასიათებლებს. როგორც ცნობილია, ახალი ცნებები ფორმირდება ენის საშუალებებით უკვე არსებული ცნებების საფუძველზე, ხოლო ტერმინოლოგიური ინფორმაციის არსი ისაა, რომ ერთი ობიექტი ინფორმაციას შეიცავს მეორე ობიექტის შესახებ.

ტერმინოლოგიური ინფორმაცია, რომელიც კოდირებულია კონკრეტული ტერმინოლოგიური ელემენტების მეშვეობით, ინვარიანტული ინფორმაციაა, რომელიც განსაზღვრავს იმას, თუ რომელ ტერმინოლოგიურ რიგს მიეკუთვნება ესა თუ ის ტერმინი. ზოგიერთი ტერმინის ინფორმაციული დატვირთვა და პრაგმატული მიზანმიმართულება უშუალოდაა დაკავშირებული ცნებით-ტერმინოლოგიური რიგების კლასიფიკაციურ-კატეგორიალურ ბუნებასთან, რომელთა შემადგენელ ელემენტებს ტერმინები წარმოადგენს. შესაბამისად, ტერმინები ენის ყველაზე ინფორმაციული ერთეულებია სიტყვებისა და შესიტყვებების დონეზე, რომელთაც გააჩნიათ განსაკუთრებული კოგნიტიურ-კომუნიკაციური მნიშვნელობა, რომლებიც სპეციალური კომუნიკაციის შუამავლებად გვევლინებიან [ვოლოდინა. 2000:35]. ნებისმიერი ტერმინი უნდა იქმნებოდეს ენის სპეციალისტებისა და დარგის სპეციალისტების შეთანხმებით, რაც ქართულ რეალობაში ხშირად ირღვევა.

**დასკვნა**

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ დღეს ტერმინი განისაზღვრება როგორც ლიტერატურული ენის ერთეული. იგი ყველა იმ თვისებას ფლობს, რომლითაც ტერმინს გამოყოფენ,როგორც განსაკუთრებულ სიტყვას. ტერმინოლოგიაში არ არსებობს ტერმინის ერთგვაროვანი დეფინიცია, ისევე ,როგორც არ არსებობს იმაზე შეთანხმება, თუ მეტყველების რა ნაწილებით უნდა იყოს წარმოდგენილი ტერმინი. ჩვენ კვლევაში ტერმინს განვიხილავთ, როგორც სპეციალურ სიტყვას ან შესიტყვებას, რომელიც მიღებულია პროფესიულ საქმიანობაში და გამოიყენება განსაკუთრებულ პირობებში. ის არის ცნების სიტყვიერი გამოხატულება, რომელიც პროფესიული ცოდნის განსაზღვრული სფეროს ცნებათა სისტემაში შედის. ტერმინი ფლობს მთელი რიგ მახასიათებლებს, რომელთა საფუძველზე შეიძლება აგებულ იქნას მისი დეფინიცია. ძირითადი თვისებაა სპეციალური ცნების აღნიშვნა. დანარჩენი თვისებები შეიძლება ჩაითვალოს არასავალდებულოდ. რა თქმა უნდა, ტერმინს აქვს ტექსტური ბუნება. ვინაიდან ტერმინი ტექსტის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, ის მუდამ კონტექსტზეა დამოკიდებული.

ტერმინი ერთ-ერთი მთავარი ელემენტია პროფესიულ კომუნიკაციაში. ტერმინი სპეციალურ ენაში გამოიყენება. სპეციალური ენა პროფესიული ენაა, რომელიც არ განსხვავდება სასაუბრო და ზოგადი ლექსიკისაგან გრამატიკული და სინტაქსური კანონზომიერებით, მხოლოდ სპეციალური ლექსიკური მარაგით, რომელიც პრაქტიკულ მოთხოვნებს პასუხობს.

**ლიტერატურა**

1. Авербух К. Я. (2004): Общая теория термина, Иваново: Изд-во Иван. гос. ун-та

2. Barthes R. (1973): Le Plaisir du texte, Paris. Éditions du Seuil

3. Винокур Г. О. (1939): О некоторых явлениях словообразования в русской технической терминологии. М.: Тр. МИИФЛ

4. Code Civil Français. (2015): http://droit-finan-

ces.commentcamarche.net/download/telecharger-198-code-civil-2015-pdf-en-ligne, 14.05.2017

5. Code Civil Géorgien, (1997). http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/samoqalaqo_kodeqsi.pdf, 5.06.2017.

6. Every Family Matters, A Policy Report by the Family Law Review Chaired by David Hodson SECOND EDITION, Reprinted August 2010, http://www.centreforsocialjustice.org.uk/core/wpcontent/uploads/2016/08/CSJEveryFamilyMattersWEB.pdf, 20.04.2017.

7. Капанадзе Л. А. (1966): Взаимодействие терминологической лексики с общелитературной: (на материале русского языка): Автореф. дис. ...канд. филол. наук. М.

8. Language in the Legal Process (2002): Language in the Legal Process / Ed. By J. Cotterill. N. Y.: Palgrave Macmillan Ltd

9. Моисеев А. И. (1970):. О языковой природе термина / терминологии. М.

10. Реформатский А. А. (1959): Что такое термин и терминология / М.: Русский язык

11. Суперанская А. В., Подольская Н. В., Васильева Н. В. (2003): Общая терминология. Вопросы теории. М.: Едиториал УРСС

**Резюме**

Термин-это лексическая единица определенного языка, который используется для специальных целей. Он обозначает конкретное или абстрактное, теоретическое понятие определенной специальной сферы знания или действия. Термин – сложное явление. Термин это слово или словосочетание, которое выражает специальное понятие. Терминология же относится к специальному языку. Основная задача специального языка – использование слов для дефиниции предметов и явлений. Нужно отметить, что эти дефиниции должны быть точными и экономными. Объектом нашего исследования является анализ терминов семейного права в грузинском, английском и французском языках, для того, чтобы установить сходство и различие между ними, а также способы, которые формируют эти термины в вышеупомянутых языках.

**Ключевые слова:**

термин, специальный язык, семейное право, профессиональная коммуникация, процесс интернацонализации.

# Юридический термин и профессиональная коммуникация

*Рухиашвили Лия Георгиевна*
*Тбилисский государственный университет*
*Факультет гуманитарных наук*
*Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия*
*Тел.: 577 306  306*
E-mail: liarukhiashvili@yahoo.com

# Legal Terms and Professional Communication

*Lia Rukhiashvili*
*Tbilisi State University*
*Humanitarian science faculty*
*36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia*
*Tel.:577 306  306*
E-mail: liarukhiashvili@yahoo.com

**Abstract**

Term is a lexical unit of a definite language, which is used for special purposes. It means concrete or abstract, a concept of knowledge or action of a definite special theory field. Term is a difficult phenomenon. Term is a word or syntagma, which expresses special concept. As for terminology, it belongs to a special language. The basic issue of the special language is to use words for subjects and events definition. We must mention that these definitions should be exact and economical. The object of our research is Family Law terms in Georgian, English and French languages, in order to ascertain what are the similarities and differences among them, also the methods by what are the terms formed in abovementioned languages.

**Keywords:**

Term, special language, family law, professional communication, the process of internationalization.

# მაგიური ელემენტები ქორწილის სცენარში

*ფიქრია ჭულუხაძე*
*საქართველოს უნივერსიტეტი*
*ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტი*
*კოსტავას ქ. №77ა, 0171, თბილისი, საქართველო*
*ტელ. 593 288 661*
E-mail: pikria_chulukhadze@yahoo.com

**რეზიუმე**

ქორწილის რიტუალი გვაინტერესებს იმდენად, რამდენადაც მასში აისახება კონკრეტული ერის სამყაროს ხატი ანუ მზა, დროსა და სივრცეში დადგენილი ღირებულებათა სისტემა. სტატიაში საუბარია ჯვრის, ხარის, ხის და წყლის კულტზე. მოვლენათა ამგვარი დეტალების გაცნობით ადამიანი ეცნობა კონკრეტული ერის მსოფლაღქმასა და მსოფლგანცდას და, ამდენად, ამგვარ ელემენტებზე ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვანი და სასარგებლოა.

სტატიის მიზანია ქართულ საქორწინო ტრადიციებში არსებულ სამყაროს ხატში მაგიური ელემენტების მიმოხილვა, თვალის შევლება ქართველი ხალხის ამ რიტუალთან დაკავშირებულ მსოფლაღქმისა და მსოფლგანცდისთვის.

**საკვანძო სიტყვები:**

სამყაროს ენობრივი ხატი, სამყაროს კონცეპტუალური ხატი, ქორწინების სცენარი.

**შესავალი**

ქორწილი როგორც რიტუალი მოიცავს სოციალური სტერეოტიპების და კოგნიტური სქემების სისტემას. ხდება კულტურაში ფიქსირებული გამოცდილების - ხატთა სისტემის ათვისება.

თუ სამყარო არის ხატი, სურათი, მაშინ ადამიანის პოზიცია არის მსოფლმხედველობა. სამყაროს კონცეპტუალური ხატი უფრო მრავლისმომცველია, ვიდრე სამყაროს ენობრივი ხატი.

სამყაროს კონცეპტუალური სატის საფუძველს წარმოადგენს ენობრივი, ექსტრალინგვისტური და ზოგადი ფონური ცოდნა.

**ძირითადი ნაწილი**

ქორწილის რიტუალში აისახება ეთნიკურად დეტერმინირებული ადამიანის ცნობიერება, აისახება სამყაროს ხატი. სხვადასხვა ენისა და კულტურის მატარებელი ერები სხვადასხვაგვარად ანაწევრებენ აზროვნების უფორმო მასას. კატეგორიათა გამოხატვის კონკრეტული საშუალებები შეიძლება განსხვავდებოდნენ იმ კულტურებშიც კი, რომელთათვისაც ეს კატეგორიები უნივერსალურია. რადგან სამყაროს აღქმასა და შემეცნებას საფუძვლად უდევს კონკრეტული ერისათვის დამახასიათებელი საგნობრივი მნიშვნელობის, სოციალური სტერეოტიპებისა და კოგნიტური სქემების სისტემა, ადამიანის ცნობიერება ეთნიკურადაა დეტერმინირებული. ეთნიკური თავისებურება განაპირობებს აზრის ჩამოყალიბებისა და ფორმულირების საშუალებების სპეციფიკასაც. ერთა დიფერენციალური ფსიქოლოგია „ლაგდება” სამყაროს დიფერენციალურ ხატებში.

ამ სისტემის ათვისების პროცესში ერი ითვისებს ენაში განზოგადებულ და კულტურაში ფიქსირებულ გამოცდილებას, სხვა სიტყვებით, ხდება უკვე მზა, დროსა და სივრცეში დადგენილ ღირებულებათა სისტემის – „ხატთა სისტემის” ათვისება.

სამყაროს მოდელს ადამიანი გამოსახავს და აცნობიერებს როგორც ხატს – სამყარო გარდაისახება ხატად. სამყაროს ხატთა რაოდენობა ემთხვევა სამყაროში არსებული

ერების, ენებისა და კულტურების რაოდენობას. სამყაროს ხატთა რაოდენობა ემთხვევა იმ სამყაროთა რაოდენობას, რომელშიც არსებობს ერი.

წარმოადგენს რა იმ აღქმის საფუძველს, რომელსაც ადამიანი ეყრდნობა სამყაროში ორიენტირებისას და არის რა ისტორიულად განპირობებული, სხვა სიტყვებით, გულისხმობს სამყაროს ხატისა და მის სუბიექტთა მუდმივ ცვლილებას, „სამყაროს ხატი" სრულად განაპირობებს მოვლენათა აღქმისა და ინტერპრეტაციის თავისებურებას. აღნიშნულ დებულებათა განზოგადების შედეგად იკვეთება შემდეგი დასკვნა: სამყაროს ხატიდან მომდინარეობს ღირებულებები, იერარქიისა და სააზროვნო პარადიგმათა ტიპები, ადამიანის ქმედებათა არბიტრალურობა.

საზოგადოების განვითარების სტადიათა ცვლა, ჩვეულებრივ, იწვევს სამყაროს ხატის ტრანსფორმაციის – სამყაროს ფენომენის ახსნის ახალ ეტალონთა დამკვიდრებას. ახალი მსოფლმხედველობა აყალიბებს ახალი ტიპის მსოფლაღქმასა და მსოფლგანცდას, რაც, საბოლოო ჯამში, ხდება სამყაროს ახალი ხატის შექმნის საკმარისი პირობა.

მ. ჰაიდეგრისათვის სამყაროს ხატის ჩამოყალიბების პრობლემა უშუალო კავშირშია მსოფლმხედველობასთან, რამდენადაც, თუ სამყარო გარდაიქმნება ხატად, სურათად, მაშინ ადამიანის პოზიცია განიხილება როგორც მსოფლმხედველობა.

სამყაროს ხატი წარმოადგენს სამყაროს ფუძემდებლურ, გლობალურ ხატს, რომელსაც ეფუძნება ადამიანის მსოფლმხედველობა. სამყაროს ხატის მეშვეობით ხორციელდება ადამიანის – სამყაროს ხატის მატარებლის – ცნობიერებაში სამყაროს არსებით თვისებათა რეპრეზენტაცია.

უზოგადესი სახით, სამყაროს მოდელი განისაზღვრება როგორც სამყაროს შესახებ კონკრეტული ტრადიციის ფარგლებში არსებულ წარმოდგენათა ჯამის შეკუმშული და გამარტივებული ანარეკლი.

სამყაროს ხედვის ეროვნულ საფუძველს წარმოადგენს:

1. სტერეოტიპები, რომელიც საერთოა კონკრეტული ენის მატარებელთათვის და განსაზღვრავს კონკრეტული ენის მატარებელთა მიერ ობიექტური სინამდვილის სეგმენტაციის სტილის იდენტურობას.

2. საგანთა და მოვლენათა ის თვისებები, რომელიც, პირველ რიგში, აღიქმება კონკრეტული ენის მატარებელთა მიერ და წარმოადგენს კონკრეტულ საგანთა და მოვლენათა სახელდების საფუძველს.

მეცნიერთა უმრავლესობა აკავშირებს სამყაროს ენობრივ ხატს კონცეპტუალურ ხატთან. ეს უკანასკნელი პირველზე ბევრად „მდიდარია" – იგი ასოცირდება ენისა და აზროვნების, ენისა და სინამდვილის, ინფერენტულისა და იდიომატურის მიმართებათა საკითხთან, ადამიანის მიერ სინამდვილის ასახვის, სამყაროს ინტერპრეტაციის რთულ პროცესში.

სამყაროს კონცეპტუალური ხატი მოიცავს „ემოციურ–შეფასებით", მოტივაციურ და ცნობიერების სხვა ასპექტებს და შედგება კონცეპტებისაგან.

განიხილავს რა ადამიანის ცოდნის პრობლემას სამყაროს შესახებ, ჯ. ლაკოფი ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხზე, თუ როგორ გაიაზრებს ადამიანი სამყაროს, სხვა სიტყვებით, როგორ გარდატყდება რეალობა ადამიანის ცნობიერების, აზროვნებისა და აღქმის მეშვეობით.

ზოგი ლინგვისტი თვლის, რომ სამყაროს კონცეპტუალური ხატის საფუძველს წარმოადგენს ცოდნის ბაზა, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

1. ენობრივი ცოდნა;
2. ექსტრალინგვისტური ცოდნა;
3. ზოგადი ფონური ცოდნა.

ცოდნის აღნიშნული სახეობა – ერთიანობა, ადამიანის ცნობიერების ყველა ასპექტის ინტეგრირება ჯამში ქმნის სამყაროს კონცეპტუალურ სურათს, რომელიც ერთდროულად

პიროვნულ–ინდივიდუალურიცაა და საზოგადოებრივ–სოციალურიც.

ქორწინების სცენარი შედგება ისეთი კვანძებისაგან, როგორიცაა:

1. „არსი" – ორი ადამიანის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით;

2. „საბაბი" – სიყვარული, ანგარება;

3. „აქსიოლოგია" – თვალსაზრისი, იდეალები, შეხედულებები, პრინციპები;

4. „რიტუალი" – ქორწილი;

5. „ტოპოსი" – ადგილი;

6. „ქრონოსი" – დრო.

სცენარში ინტეგრირებულია აზრთა, მოქმედებათა და გრძნობათა მკვეთრად ან ნაკლებად მკვეთრად განსაზღვრული ყველა წესი. ეს წესები არსებობენ დამოუკიდებლად, ობიექტურად. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული წესებისადმი „მორჩილება" ბადებს გარკვეული სოციალური იძულების არსებობის შეგრძნებას სცენარში.

„ქორწინების" სცენარისათვის რელევანტური აღმოჩნდა:

1. სუბსტანციური წესები – ქცევის წესების აღმწერები';

2. ფონური დაშვებების სახით არსებული ცერემონიალური წესები.

სცენარის ჭეშმარიტება არასტაბილურია დროსა და სივრცეში: სხვადასხვა დროსა და სივრცეში ჭეშმარიტება ერთადერთობაზე პრეტენზიას კარგავს – ჭეშმარიტება ხდება იმდენივე, რამდენი პრაქტიკული სიტუაციაც არსებობს: თითოეული ჭეშმარიტია მხოლოდ კონკრეტული დროისა და სივრცის ფარგლებში.

ქართულ საქორწინო ცერემონიალში დიდი ადგილი უჭირავს მაგიის ელემენტებს, მრავლადაა ნაყოფიერება–ბარაქიანობასთან დაკავშირებული რიტუალები. მათი უმრავლესობა წარმართული დროიდან მომდინარეობს და მცენარეთა, ცხოველთა, ფრინველთა და ასტრალური კულტურებისადმი თაყვანისცემას განასახიერებს. ეკლესიამ ბევრი რამ აითვისა ამ პერიოდიდან. ასეთია, მაგალითად, ჯვრისწერის დროს გამოყენებული ჯვარი, ასევე ქართული ოთხტოტიანი გვირგვინი და ნეფე–დედოფლის კურთხევა „წმინდა ხის წვენის" – ღვინის საშუალებით.

ვ. ბარდაველიძემ შეისწავლა ქართული ჩიჩილაკი და გვერგვი და პარალელი გაავლო ქართულ გვირგვინთან. მან დაადგინა, რომ ქართლ–კახური გვირგვინი მზის ემბლემას წარმოადგენს, რადგან თავისი გარეგნული ფორმით მზის გარეგნულ გამოსახულებას ასახავს. მისი ნეფე–დედოფლის თავზე დახურვა ჯვრისწერის დროს კი მომდინარეობს შეხებითი მაგიიდან და გამოხატავს სურვილს, რომ ასტრალური ღვთაების თვისება – შვილიერება და ნაყოფიერება თვით ნეფე–დედოფალზე გადმოვიდეს.

ჯ. სონღულაშვილი გვირგვინს ვაზის კულტს უკავშირებს. ამას ის ფაქტი ესაფუძვლება, რომ ვაზს და მისი ნაყოფისაგან დამზადებულ სასმელს დიდი ადგილი ეკავა ქართველთა საქორწინო რიტუალში. სამეგრელოში, მაგალითად, დასტურდება მარანში ქორწინების ფაქტები, კახეთში პატარძალს მარანში შეიყვანდნენ და ქვევრის თავის მოხდის რიტუალის დასაწყისს ანდობდნენ, შემდეგ კი ამ ღვინით ლოცავდნენ ნეფე–პატარძალს.

იმ ფაქტს, რომ ფოჩებიანი გვირგვინი ქრისტიანული ეკლესიის მიერ შემოღებული რიტუალია, ისიც ადასტურებს, რომ საქართველოს მთიან რაიონებში ასეთი გვირგვინის გამოყენება არ დასტურდება. წარმართობიდან უნდა მომდინარეობდეს გვირგვინთან დაკავშირებული დეტალი – ჯვარი, რომელიც მიმაგრებულია მხოლოდ მამაკაცის გვირგვინზე და, სავარაუდოდ, ხარის კულტიდან მომდინარეობს.

ჯვრის მაგიურ–აპოთროპულ მნიშვნელობაზე მიუთითებს ასევე ნეფე–პატარძლის სახლში შესვლის წინ გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ გატარება; ფარის თავზე დაკრული ცომისაგან გაკეთებული ჯვარი; ჯვრის გარშემო ჯვრის პურით შემოვლა; ნეფისა და პატარძლისათვის თითო ტოტის ჯვარედინად ერთ ხელში დაჭერა მდადეს

მიერ და „ჯვარი წინა და ჯვარი უკანა" სიმღერის თქმა. ასევე გვირგვინის მოხდა გადაჯვარედინებული ხანჯლის წვერებით. საყურადღებოა ასევე ტერმინი მეჯვარე, რომლის მოვალეობაა ნეფე–პატარძლისათვის გვირგვინების დადგმა და მოხდა და რომელიც ხდება ოჯახის ნათესავი და პატივსაცემი პიროვნება.

მამაკაცის გვირგვინში ჯვრის ხარის კულტთან კავშირს ის ფაქტიც ადასტურებს, რომ საქორწინო რიტუალში წესად იყო დასაკლავად მომზადებული ხარის გარშემო ნეფის ცეკვა, მის მიერ ხარზე დანის ჯვარედინად დასმა და ნეფისთვის ქორწილზე მოხარშული ხარის ბეჭის მირთმევა.

მას შემდეგ კი, რაც მცენარეული და ცხოველური კულტები შეიცვალა ასტრალური რელიგიისთვის დამახასიათებელ მნათობთა თაყვანისცემით, საქორწინო გვირგვინმა მზისა და მთვარის ფუნქციები შეიძინა და მნათობთა მარადიული შეუღლების სიმბოლიზაცია გამოხატა.

ერწო–თიანეთსა და ქართლში ქორწილისთვის აცხობდნენ ჯვრის პურებს. მათ ჩიტების გამოსახულებებით და სხვადასხვა ხილით ამკობდნენ. ჯვრის პურის მცხობელები პურს მიჰყიდდნენ მეჯვარეს ქორწილის დაწყებისას და იგი მის საკუთრებას წარმოადგენდა.

ეს ტრადიცია არსებობდა მთიულეთშიც, ჯვრის პური დასტურდება ფშავშიც, რომელიც მეჯვარეს უჭირავს ქალის წამოყვანისა და მისი ვაჟის ოჯახში მოყვანისას.

ხევსურეთში დიასახლისი აწყობდა მძივებით ჯვარედინად მორთულ ან ჯვრის ფორმის საჭრელით დაჭრელებულ სამ მოსანთოს, რომელშიც სანთელი ითებოდა და დეკანოზი ამწყალობებდა.

ჯვრის ნიშნით აღბეჭდილი მრგვალი კვერები მზის კულტთან ერთად დიდი ღმერთის კულტშია გადასული და მზისა და ხარის კულტის შერწყმის შედეგადაა მიღებული. მესამე დღეს ნეფე–პატარძლისაგან ამ კვერის მირთმევა წარმოადგენს თეოლოგიის გამომხატველი მოქმედების გადმონაშთს, რაც გულისხმობდა, რომ მზის ცხოველმყოფელი ძალა და ნაყოფიერების თვისება ნეფე–დედოფალზე გადმოდიოდა. ამგვარი კვერის მეჯვარისათვის მირთმევა, რელიგიის განვითარების შემდგომ საფეხურებზე, სრულდება დიდი ღმერთის გულის მოგების მიზნით, რომ მან უზრუნველყოს ახლად შეუღლებულთა კეთილდღეობა.

საინტერესოა ასევე ნეფის კვერისა და ჯვრის პურის კომპლექტში მოქმედი სანთლებით გაჩირაღდნებული, ვაშლებით მორთული ხის ჯვარი. იგი თავისი გარეგნობით და შინაარსით ახლოს დგას საახალწლო ჩიჩილაკთან და საქორწინო რიტუალში მოქმედ ჩხასთან–მაშხალასთან. ამიტომ ის სიცოცხლის ხეს ასახავს და საქართველოში დიდად გავრცელებულ ხის კულტს უკავშირდება.

მნიშვნელოვანია ასევე წყლის ფაქტორი საქორწინო რიტუალებში. წყალს, ზოგადად, გამანაყოფიერებელი ძალა მიეწერება. ფოლკლორში „წყალში გაყვანა" ქორწილის სიმბოლოა. ამგვარად ხდებოდა ქალის ზიარება ქმრის ოჯახის მეურნეობასთან.

ხევსურეთში პატარძალი სამი დღის შემდეგ მარტო უნდა წასულიყო წყალზე. თუ წყალს ვერ იპოვიდა, მასზე საყვედურს იტყოდნენ. სახლში შესვლისთანავე რძალი თულუხს გაჰკრავდა, შეამოწმებდა, იყო თუ არა წყალი.

თუშეთში წყლის მოტანის შემდეგ პატარძალი თავისუფლად საქმიანობდა ოჯახში.

ფშავში და ერწოში სრულდებოდა წესი „წყალში გორება", როდესაც პატარძალს წყალში აგდებდნენ. მზის გადახრის ჟამს პატარძალს ხელს მოჰკიდებდა მდადე ან სოფლის რძალი, შეიყვანდა მდინარეში და სათანადო ლოცვას წარმოსთქვამდა. შემდეგ სამჯერ შემოატარებდა და წყალში აწვენდა. წყლიდან ამოსულ პატარძალს ეკრძალებოდა პირი ხატისკენ მიებრუნებინა, არც ტანსაცმლის გაწურვის უფლება ჰქონდა, არც ცეცხლთან მისვლის, სველს უნდა დაეძინა.

წყალს ნაყოფიერებასთან ერთად სიწმინდის მიმნიჭებელი ძალაც ჰქონდა. მაგალითად, ფერეიდნელ ქართველებში გავრცელებული იყო ჩვეულება პატარძლის აბანოში წაყვანისა, რადგან განუბანელი ქალი წმინდა საგნებს ვერ მიეკარებოდა და პურს ვერ მოზელდა, ფქვილს ვერ გაცრიდა, სახლს ვერ დაალაგებდა.

## დასკვნა

ქართული ქორწილის სცენარის მაგიური ელემენტები უკავშირდება წყლის, ჯვრის, ხარისა და ხის კულტებს. მათი უმეტესობა წარმართ ლი დროიდან მომდინარეობს, თუმცა არც ქრისტიანობა გათიშვია მთლიანად წარმატებულ კულტებს. საეკლესიო ქორწინების რიტუალში გამოიყენება ჯვარი, ასევე ქართული ოთხტოტიანი გვირგვინი და მრავალი ნიუანსი, რაც მანამდეც არსებობდა ქართულ საქორწინო ცერემონიალში.

## ლიტერატურა


1.Thompson John B. (1990): Ideology in modern life. Stanford:Stanford University Press

2. Хайдегер V.(1985): Время картины мира-V.,227-228

3. Middlebrook Pearl H.(1950): Building a World View. New York:Silver Burdett

4. Jones W.T. (1972): World views: their nature and their function

5. Kearney M. (1975): World view theory and study

6. Humboldt W. (1988) on language: the diversity of human language-structure and its influence on mental development of mankind. Cambridge, UK

7. Humboldt W. (1985) Language and cultural philosophy

8. Jackendoff R. (1992): What is a concept? Frames, fields, and contrasts

9. Tomasello Z. (2006): Language, mind and culture, Oxford University Press

10. Fauconnier G. (1994): Mental spaces. Aspects of meaning construction in natural language.

11. Toulmin S. (1972): Human understanding. Princeton, Princeton University Press

12. Evans V. (2013): Language and time. A cognitive linguistics Approach

13. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი (1979): მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, „მეცნიერება"

14. მელიქიშვილი ლ. (1986): ტრადიციული საქორწილო წეს-ჩვეულების სტრუქტურის ანალიზი და ინოვაცია. „მეცნიერება"


# The Magical Elements in Wedding Scenario


*Pikria Chulukhadze*
*The University of Georgia*
*School of Humanities*
*77a Kostava st., 0171, Tbilisi, Georgia*
*Tel: 593 288 661*
E-mail: pikria_chulukhadze@yahoo.com



**Resume**

We are concerned with a wedding ritual as far as it reflects the world view of a given nation or the system of values set in time and space. This time our goal was to capture the magic elements in this system of values. The article deals with the cults of the cross, ox, tree and water. By getting to know the details like these one gets to know the world view of a given nation. Therefore, paying attention to these elements is important and useful..



**Keywords:**

Lexical world view, conceptual world view, wedding scenario.

# Магические элементы в свадебном сценарии

*Чулухадзе Пикрия Ревазовна*
*Университет Грузии*
*Школа гуманитарных наук*
*ул.Костава №77а, 0171, Тбилиси, Грузия*
*Тел.: 593 288 661*
E-mail: pikria_chulukhadze@yahoo.com

**Резюме**

Свадебный ритуал интересен настолько, насколько в нем производится картина мира конкретной нации, или готовая, в пространстве и во времени установленная система ценностей. В статье речь идет о культовых элементах как крест, вода, дерево и бык. С познанием таких деталей человек знакомится с мировосприятием конкретной нации и поэтому, следует обратить внимание на такие элеименты, это значительно и полезно.

Целью статьи является рассмотрение магических элементов в картине мира грузинских свадебных традиций, а также обзор восприятия мира грузинским народом, которое связано со свадебным ритуалом.

**Ключевые слова:**

языковая картина мира, концептуальная картина мира, свадебный сценарий.

# სტილისტურად მარკირებული სინტაქსის საკითხისათვის გერმანულ ენაში

*მარინე ჯაში*
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი*
*ი.ჭავჭავაძის გამზ. №32, 0179, თბილისი, საქართველო*
*ტელ: 599 552 195*
E-mail: marina_dshaschi@yahoo.com

**რეზიუმე**

აღნიშნულ სტატიაში განხილულია სინტაქსური მოვლენები სტილისტური თვალთახედვიდან. წარმოდგენილია სინტაქსურ კავშირთა საშუალებები, ასინდეტონი, პოლისინდეტონი, სიტყვათწყობა, რომლისთვისაც ნიშანდობლივია ოთხი ძირითადი კანონზომიერება, წინადადების ზოგიერთი მოდელი, როგორიცაა ერთწევრიანი და ელიფსური წინადადებები. ეს ის მოვლენებია, რომლებსაც გააჩნიათ სტილისტური ღირებულება, როგორც ყოფით (სასაუბრო) მეტყველებაში, ასევე მხატვრულ ლიტერატურაში. სინტაქსში გვხვდება მრავალრიცხოვანი სიდიდეები აბსოლუტური სტილისტური მნიშვნელობით. წინადადების აგებულების სქემა ვარიანტების უფრო დიდი და მდიდარი არჩევანის შესაძლებლობას გვთავაზობს, ვიდრე სიტყვათა ჯგუფი, რომელიც, თავის მხრივ, უფრო ცვალებადია, ვიდრე სიტყვის ფორმა. რაც უფრო მეტი ვარიანტია დასაშვები, მით უფრო თავისუფლად იყენებს მათ სტილისტიკა. სტილისტური სხვაობები უფრო მკვეთრად იჩენს თავს სინტაქსში, ვიდრე მორფოლოგიაში.

.

**საკვანძო სიტყვები:**
სტილისტური ღირებულება, სიტყვათწყობა, ასინდეტონი, პოლისინდეტონი, განკერძოება, პარცელაცია, ელიფსი.

**შესავალი**

როგორც ცნობილია, ლინგვოსტილისტიკა იკვლევს ენის გამოყენების ხერხს გამოხატვის ყველა ფუნქციონალურ სისტემაში, პარადიგმატულ ასპექტში, ასევე სინტაგმატურ ასპექტში, წერილობითი და ზეპირი ტექსტის ყველა შესაძლო ტიპში. მიკროსტილისტიკა შეისწავლის ენის ძირითადი ერთეულების სტილისტურ დახასიათებას, ასევე სხვადასხვა სტილისტურ ფიგურას და მათი გამოყენების შესაძლებლობებს მცირე ან გაფართოებულ კონტექსტში. მიკროსტილისტიკის ამოცანაა ენობრივი ერთეულების სტილისტური ღირებულების დადგენა და სისტემატიზაცია. მიკროსტილისტიკად ითვლება ლინგვისტიკის სტილისტური ასპექტი, ლინგვოსტილისტური დისციპლინები, როგორიცაა სტილისტური ლექსიკოლოგია და ფრაზეოლოგია, სტილისტური მორფოლოგია და სინტაქსი, სტილისტური სიტყვაწარმოება და ფონოსტილისტიკა. აქედან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სტილისტური სინტაქსი. სინტაქსური მოვლენების სტილისტურ ღირებულებებს არ გააჩნიათ განსაკუთრებული სტილისტური ფიგურების მნიშვნელობა. სინტაქსში, ისევე როგორც მორფოლოგიაში, ნებისმიერი სიდიდე შეიძლება იქცეს სტილისტურ საშუალებად. ანალიზის ობიექტად ვირჩევთ სინტაქსურ კავშირთა საშუალებებს, სიტყვათწყობას და წინადადების ზოგიერთ მოდელს, რადგან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სტილისტური სხვაობები უფრო გამოკვეთილად იჩენს თავს სინტაქსში, ვიდრე მორფოლოგიაში.

**ძირითადი ნაწილი**

**სიტყვათწყობის სტილისტური ფუნქციები**. სიტყვათწყობას რამდენიმე ფუნქცია გააჩნია:

1) სტრუქტურის შემქმნელი ან გრამატიკული, წინადადების ტიპების ან სიტყვათა ჯგუფების აგებისას, 2) კომუნიკაციურითემა-რემატული დანაწევრებისას და

3) სტილისტური, რომელიც ახდენს წინადადების ცალკეული წევრის ექსპრესიულ გამოყოფას, რაც იწვევს გარკვეულ სტილისტურ ეფექტს. სიტყვათწყობა ექვემდებარება გარკვეულ კანონზომიერებებს თავისი სტილისტური პოტენციალის შესრულებისას. ინფორმაციული ელემენტების განლაგება განისაზღვრება შეტყობინების (ინფორმაციის) ღირებულებით. შეტყობინების ამოსავალი წერტილია თემა, ბაზისი, ჩვეულებრივ, წინადადების სუბიექტის ფორმით. დანარჩენი ელემენტები განლაგებულია მათი საკომუნიკაციო მნიშვნელობის მიხედვით. გერმანულ ენას აქვს წინადადების აგებულების განსაკუთრებული ვარიანტი es-ით, რათა ბოლოში გადაიწიოს რემა-სუბიექტმა. ამ ნაწილაკს უწოდებენ „ადგილის შემავსებელს" (Füllstück. Platzhalter)[რიზელი/შენდელსი. 141]. თუმცა თავისი არსით მას უფრო შეესაბამება სახელი „პრელუდირებული es" (präludierendes es) [Duden-Grammatik],რადგან ეს ნაწილაკი დგას მოთხრობის დასაწყისში, რომელსაც მოსდევს მკრთალი სემანტიკის მქონე ზმნები, რომლებიც ამზადებენ რემა-სუბიექტის გამოჩენას, მაგ.: **es war…, es lebte…, es zogen….** მეორე სტილისტური კანონზომიერება მდგომარეობს წინადადებიდან გამოტანის მონაცვლეობაში. ჩვეულებრივ „ფრჩხილებს" გარეთ გამოიტანება სიტყვათა ჯგუფი და არა ცალკეული სიტყვები. „ფრჩხილებში" მოქცეული ნაწილი შინაარსობრივად და ფორმალურად საკმაოდ დასრულებულია გარეთ გამოტანილი ნაწილების გარეშეც, მაგ.:**Mehrere Männer stürzen vor, die Fäuste geballt (H. Mann).**

რაც შეეხება განკერძოებას, ის წარმოადგენს უფრო ფართო ცნებას, ვიდრე წინადადებიდან გამოტანა; მას ადგილი აქვს იმ შემთხვევაშიც, როცა ჩარჩო-კონსტრუქცია არა გვაქვს. წინადადების განკერძოებული ნაწილები სტრუქტურულად და ინტონაციურად გამოიყოფა დანარჩენი წინადადებისაგან, მათ შეუძლიათ დაიკავონ წინარე, შუალედური ან ბოლო ადგილი, მაგ.: **Alle Männer, von Gang und Tisch gesprungen, stehen, starr die Augen zur Tür (A. Zweig). Das Holz, sagte er, ich muss ja das Holz haben. Für uns. Für morgen. (Borchert) .**წინადადების ამგვარ დაყოფას უწოდებენ იზოლაციას (პარცელაციას ან აბსოლუტურ განკერძოებას). პარცელაცია არის სინტაქსური მოვლენა, რომელიც გამოირჩევა პროდუქტიულობით მხატვრული ლიტერატურის ენაში (როგორც ავტორის, ასევე პერსონაჟთა ენაში), ასევე სასაუბრო (ყოფით) მეტყველებაში. პარცელაციის არსი მდგომარეობს უფრო მსხვილი სინტაქსური ერთეულის დანაწევრებაში მინიმუმ ორ ერთეულად, რომელთაგან პირველი წარმოადგენს სრულ წინადადებას (ჩვეულებრივ მარტივს), ხოლო მეორე არის წინადადების წევრი, გამოხატული სიტყვით, სიტყვაშეთანხმებით, სიტყვათა რიგით ან დამოკიდებული წინადადებით, მაგ.: **Er war aber jetzt zu müde, um nachzudenken. Erleichtert und müde. Als hätte er wunder was vollbracht (A.Seghers).**

პარცელაცია წარმოიშვა სასაუბრო მეტყველების ბუნებრივი გაშლის მიბაძვის შედეგად, რომელიც თანდათან ვითარდება აზრის მსვლელობისას [რიზელი. 280]. ენობრივი ფაქტები იმაზე მოწმობს, რომ პარცელაცია გერმანულ ენაში განსაკუთრებით გავრცელებული ინოვაციაა, თუმცა არც ისე კარგად შესწავლილი. ლინგვისტურ ლიტერატურაში არსებობს მითითებები მსგავსი სტრუქტურების პროდუქტიულობის დროისა და მათი ფუნქციონირების სფეროს შესახებ, კერძოდ ეს არის I-ლი მსოფლიო ომის პერიოდი და პრესის ენა [გულიგა/როზენი: 119]. ამასთან აღსანიშნავია ის, რომ, როგორც წინადადების ჩარჩოდან წინადადების წევრის გამოტანა, ასევე განკერძოება, არ წარმოადგენს ახალ მოვლენას პარცელაციისაგან გან-

სხვავებით, რომელიც არის პროდუქტიული სინტაქსური ინოვაცია [რიზელი: 181]. ამგვარ მოვლენებს ვხვდებით სტილის ყველა სახეობაში. მისი წყაროა ყოველდღიური (ყოფითი) სტილი, რომელიც ზეპირ მეტყველებაზეა ორიენტირებული. არსებობს ე.წ. ნომინალური გამოყოფა, როცა ადიექტიური განსაზღვრება არსებითი სახელის წინა პოზიციიდან გადაინაცვლებს უკანა პოზიციაზე, მაგ.: **Ein herrlicher wunderbarer Regen, kalt, klar, stürzte aus dem schwarzen Himmel (B.Kellermann).**მისი სტილისტური ეფექტი ეხება მესამე კანონზომიერებას, რომელიც წარმოადგენს ნორმატიული სიტყვათწყობიდან გადახვევას პროზაში და პოეზიაში, მაგ.: **Röslein rot (Goethe). Und was bekam des Soldaten Weib? (B. Brecht).** როცა სუბიექტი ჩნდება არა პირველ ან მესამე ადგილზე, არამედ მეოთხეზე ან უფრო გვიან. წესის ამგვარი დარღვევა იწვევს ძლიერ სტილისტურ ეფექტს, მაგ.: **Da fielen auf deine Hände Blumen (H. Mann).** მეოთხე კანონზომიერება მდგომარეობს ერთი და იგივე სიტყვათწყობის პოლიფუნქციურ ხასიათში. უღლებადი ნაწილის საწყის პოზიციას თხრობით წინადადებაში აქვს სხვადასხვა სტილისტური ღირებულება, მაგ.: 1) ყოფით (სასაუბრო) მეტყველებაში: -**Bist du Wronski? – Bin ich (A.Seghers),** 2) ხალხურ ზღაპრებსა და ხალხურ სიმღერებში: **Sah' ein Knab' ein Röslein stehn (Goethe),** 3)საკომერციო კორესპონდენციაში: **Habe Ihren werten Brief erhalten,** 4) მხატვრულ პროზაში: **Und Schnee hing im Astwerk...Klebte an blauschwarzen Stämmen ( W. Borchert).**

სტილისტურად შეფერილ სიტყვათწყობას განეკუთვნება ისეთი მოვლენები, როგორიცაა პროლეფსი, დანართი და პარენთეზა (Prolepse, Nachtrag, Parenthese). განვიხილოთ სამივე მათგანი. პროლეფსი მდგომარეობს საწყის პოზიციაში მდგომი განკერძოებული არსებითი სახელის აღდგენაში ნაცვალსახელით ან ზმნიზედით, რაც ანიჭებს მეტყველებას ბუნებრიობას, ემოციურ შეფერილობას, გარკვეულ რიტმს, მაგალითად: **Die Großmutter, sie wußte so viele Märchen zu erzählen! Die Nacht, das ist für dich die Ewigkeit (Kuba).** პროლეფსის საპირისპირო მოვლენაა ე.წ. დანართი (Nachtrag), რომლის ქვეშ იგულისხმება არსებითი სახელის ან სიტყვათა ჯგუფის განკერძოება ბოლო პოზიციაში, მაშინ, როცა ნაცვალსახელი ან ზმნიზედა წინ უსწრებს არსებით სახელს. ეს მოვლენა ხშირად თავს იჩენს პოეზიაში, მაგ.: **Oh, dass sie ewig grünen bliebe, die schöne Zeit der jungen Liebe!** ეს წინადადება შილერის ლექსიდან არის. პროლეფსი და დანართი წარმოადგენს სინტაქსური შესუსტების გამოვლენის ფორმებს, რომლებიც აადვილებენ წინადადების წყობას, რადგანაც ისინი მას პატარა სეგმენტებად ანაწევრებენ და ამავე დროს წინა პლანზე წამოსწევენ განკერძოებულ ნაწილებს. პარენთეზა (ჩართვა) წარმოადგენს ჩართულ წინადადებებს, ჩართულ სიტყვათა ჯგუფებს ან სიტყვებს, რომლებიც ჩაირთვება წინადადების შუაში, წინადადების დანარჩენ ნაწილებთან ფორმალური დამაკავშირებელი ელემენტების გარეშე. ისინი გამიჯნულია როგორც ინტონაციურად, ასევე გრაფიკულადაც, მაგალითად: **Die stolze Amalie, es war unglaublich, glaubte auch das Unglaubhafteste (D. Noll) . Er saß mit einer gewissen Ungeniertheit (was dem General mißfiel) im Sessel, frei und selbstgefällig (B. Kellermann).**

ასევე სტილისტურად მარკირებულია სინტაქსური დაკავშირების სახეები მხატვრულ ტექსტში: ასინდეტონი და პოლისინდეტონი. ასინდეტონი წარმოადგენს რამდენიმე სიტყვის და წინადადების მიერთებას, რომლის დროსაც იგრძნობა შინაგანი აჩქარება, რაც უარს ათქმევინებს მოლაპარაკეს შემაერთებელ ელემენტებზე, მაგალითად: **Gerüste tauchen in die Flut, schwimmen, Stricke, Säcke verbinden sich, Taue gleiten ins Wasser, strecken sich, ziehen, heben (L. Feuchtwanger). Sei des Vaterlands Posaune, Sei Kano-ne und Kartaune, Blase, schmettre, donnre, töte! (H. Heine).**

პოლისინდეტონის ქვეშ კი იგულისხმება კავშირების (ჩვეულებრივ ერთი და იგივე კავშირის) მრავალჯერადი გამოყენება. პოლისინდეტური ჯაჭვი მაშინ გამოიყენება, როცა აღწერილია პროცესების, ქმედებების მუდმივი განმეორებადობა ან როცა მთხრობელი მშვიდად მისდევს მოვლენების მსვლელობას. იგი ხშირად გამოიყენება ზღაპრებში, არქაული ტიპის ტექსტებში, პოეზიაში. მაგალითად:

**Und es wallet und siedet**
**und brauset und zischt (Fr. Schiller )**

**-------------------------------------------**

**Vorbei sind die Kinderspiele,**
**Und alles rollt vorbei**
**Das Geld und die Welt und die Zeiten**
**Und Glauben und Lieb, und Treu (H. Heine)**

დაკავშირების ორივე საშუალება ეხება როგორც თანწყობას, ასევე ქვეწყობას. ასევე სტილისტური თვალთახედვიდან საინტერესოა ერთწევრიანი ნომინაციური წინადადებები. ისინი ასახავენ სიტუაციურ სურათებს და იწვევენ თითქმის ვიზუალურ შთაბეჭდილებებს, მაგ.: **Korridore, Laboratorien, ein kleiner Raum, nur schwach erleuchtet (D. Noll).** აქ ზმნები ნამდვილად ზედმეტია. ეს ეგზისტენციალური წინადადებებია, რომლებიც ტიპურია თეატრალური სპექტაკლის ან კინოსცენარის სცენური ინსტრუქციებისათვის. სურათი: **Sandros Wohnung. Innen. Nachmittag. Eine sehr kleine Wohnung. Viele Bücher** (მიქელანჯელო ანტონიონის კინოსცენარიდან). ამგვარი წინადადებები დაუშვებელია სამეცნიერო და საქმიან სტილში.

რაც შეეხება ელიფსურ წინადადებებს, ისინი ყველა სტილისტურად მარკირებულია. ელიფსური წინადადების რამდენიმე ტიპი დამახასიათებელია ყოფითი (საყოველდღეო) მეტყველებისათვის, ზოგიერთი მათგანი გვხვდება მხატვრულ ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში, ორი ფუნქციური სტილი კი იშვიათად მიმართავს ელიფსებს: მეცნიერებისა და ოფიციალური კომუნიკაციის სტილი. ელიფსური წინადადება იქმნება სრული წინადადების მოდელის ნებისმიერი შემოკლების შედეგად. ის ყოველთვის არის სინსემანტური და გასაგები ხდება მხოლოდ სხვა წინადადებასთან ან სიტუაციასთან მიმართებაში. მხოლოდ ტონალობა და პაუზები აყალიბებენ მეტყველების ამ ფრაგმენტებს წინადადებად. სასაუბრო სტილის ისეთი თავისებურებები, როგორიცაა ბუნებრიობა, სიტუაციასთან კავშირი, პარტნიორთან მიმართება, ემოციურობა, ხელსაყრელს ხდის მათ ელიფსისათვის. სასაუბრო სტილში შეიძლება აკლდეს: სუბიექტი-**Hab schon gehört**; შემასმენელი- **Jeden Tag ein Streit**; შემასმენლის ნაწილი- **In Leipzig gekauft**; წინადადების ორივე მთავარი წევრი- **Einen Stuhl, bitte!** კითხვა-პასუხის რეჟიმში ელიფსი არის ბუნებრივი მოვლენა: **Was ist dein Fach?- Schlosser, Ihr Name?- Schulz.** სიტუაციამ შეიძლება დაასრულოს ელიფსი, მაგალითად: რკინიგზის სადგურის ბილეთების სალაროსთან: **Drei zweiter Leipzig (Drei Fahrkarten zweiter Klasse für einen Zug nach Leipzig).** პუბლიცისტიკაშიც ხშირად ვხვდებით ელიფსურ წინადადებებს, მაგ.: რესტორნის რეკლამაში: **Paradieshof-das Haus der guten Laune. Gutes aus Küche und Keller. Täglich Tanz für alt und jung. Montag Ruhetag.** ელიფსის ერთი სახეობა წარმოადგენს წინადადების წყვეტას, მას უწოდებენ აპოზიოპეზეს (Aposiopese). იგი განსხვავდება ელიფსისაგან იმით, რომ პირველი იქმნება ენის ეკონომიის მიზნით და მისი აღდგენა ან შევსება მარტივად შეიძლება ენობრივი გარემოცვითა და სიტუაციით, მაშინ როცა წინადადების წყვეტისას მოლაპარაკე წყვეტს თავის გამონათქვამს და მსმენელმა თვითონ უნდა გამოიცნოს გაგრძელება. მოლაპარაკემ შეიძლება ვეღარ გააგრძელოს თავისი მეტყველება შემდეგ სიტუაციებში: ა) აღელვების ან დაბნეულობის გამო: **Ja, aber.... sagte Marie fassungslos und wußte nicht weiter (L.Frank),**

ბ) მოლაპარაკეს განზრახ არ მიჰყავს ბოლომდე თავისი აზრი, როცა ეს მუქარაა, მა-

გალითად : **Du! Noch ein Wort und – (Becher) .**

მკითხველის ცნობისმოყვარეობის სტიმულირებისათვის სათაურებში ხშირად იყენებენ აპოზიოპეზეს, ეს ეხება თეატრალურ პიესებს, ლიტერატურულ ნაწარმოებებს, კინოფილმებს, მაგალითად: რედა ცინერის პიესის სათაურია: **„Was wäre, wenn...."** სათაურებს იშვიათად აქვთ სრული წინადადების ფორმა, უმეტეს მათგანს აქვს სიტყვათა ჯგუფის ან უშემასმენლო წინადადების სტრუქტურა, მაგალითად: **„Wir Wunderkinder"** (კ. ჰოფმანის ფილმი), **„Solange du da bist"...** (ო. ფიშერის ფილმი).

## დასკვნა

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ გრამატიკული მოვლენები, იქნება ეს მორფოლოგიასა თუ სინტაქსში, შეიძლება განიხილებოდეს სტილისტური თვალთახედვიდან, ანუ დადგინდეს მათი სტილისტური ღირებულება, რაც თავს იჩენს როგორც საყოველდღეო (ყოფით) მეტყველებაში, ასევე პუბლიცისტიკასა და მხატვრულ ლიტერატურაში. ეს უკანასკნელი გვაძლევს დიდ შესაძლებლობებს, დავადგინოთ მათი სტილისტური ეფექტი, რაც იწვევს დიდ ზეგავლენას მკითხველზე (მსმენელზე) მათი უჩვეულობის, ექსპრესიულობის და სტრუქტურულ-კომუნიკაციური ფუნქციის წყალობით. ამის გამო შეიძლება ჩაითვალოს ისინი სტილისტურად მარკირებულ სინტაქსურ მოვლენებად. ეს ეხება, უპირველეს ყოვლისა, სიტყვათწყობას, სინტაქსურ კავშირთა გარკვეულ საშუალებებს, წინადადების ზოგიერთ მოდელს, რაც საინტერესოა არა მარტო ლინგვისტური, არამედ ლიტერატურულ-სტილისტური ასპექტიდანაც.

## ლიტერატურა

1. Riesel E., Schendels E. (1975): Deutsche Stilistik, Verlag „Hochschule", Moskau
2. Duden-Grammatik (2003): Syntax, Verlag "Bibliographisches Institut", Mannheim
3. Ризель Э. (1968): Морфология и синтаксис современного русского литературного языка, издательство "Наука", Москва
4. Гулыга Е., Розен Е. (1977): Новое и старое в лексике и грамматике немецкого языка, издательство " Просвещение", Ленинград
5. Riesel E. (1964): Der Stil der deutschen Alltagsrede, Verlag „Hochschule", Moskau
6. Fix U., Poethe H., Yos G. (2001): Textlinguistik und Stilistik für Einsteiger, Band 1, Peter Lang-Verlag, Frankfurt am Main

# К вопросу стилистически маркированного синтаксиса в немецком языке

*Джаши Марина Николаевна*
*Государственный университет Ильи*
*Факультет наук и искусства*
*пр. И. Чавчавадзе №32, 0179, Тбилиси, Грузия*
*Тел.:599 552 195*
E-mail: marina_dshaschi@yahoo.com

## Резюме

В данной статье рассматриваются синтаксические явления с точки зрения стилистики, представлены средства синтаксических связей, асиндетон, полисиндетон, порядок слов, для которого характерны четыре основных закономерностей, некоторые модели предложений как одночленные и эллиптические предложения. Эти явления имеют стилистическую значимость как в повседневной (бытовой) речи, так и в художественной литературе. В синтаксисе имеются множество величин с абсолютным стилистическим значением. Схема построения предложения дает нам возможность более богатого выбора вариантов, чем группа слов, которая со своей стороны более вариабельна, чем словоформа. Чем больше вари-

антов допустимо, тем более свободно использует их стилистика. Стилистические различия выявляются более четко в синтаксисе, чем в морфологии.

**Ключевые слова:**
стилистическая значимость, порядок слов, асиндетон, полисиндетон, обособление, парцеляция, эллипсис.

## To the Question of Stylistically Marked Syntax in German

*Marina Jashi*
*Ilia's State University*
*Faculty of Sciences and Art*
*32, I.Chavchavadze av., 0179 Tbilisi, Georgia*
*Tel.: 599 552 195*
E-mail: marina_dshaschi@yahoo.com

**Abstract**

In this article are consider syntactic phenomena from the point of view of stylistics. The means of syntactic connections are provided as asyndeton, polysyndeton, order of words, for which four basic regularities are characteristic, some models of sentences as one-term and elliptic. This phenomena have a stylistic significance both in everyday speech and in fiction. In the syntax there are sets of values with an absolute stylistic value. The proposal construction scheme gives us the possibility of a richer choice of oprions than a group of words which for its part is more variable than the word form. The more options are acceptable the more freely they use the stylistic. Stylistic differences are revealed more clearly in the syntax than in morphology.

**Keywords:**
stilistical consequence, order, asidenton, polysidenton, isolation, parcelling, ellypse.

# ზოონიმებისა და მათთან დაკავშირებული ლექსიკის კულტურული კონოტაციისათვის იტალიურ ენაში

*მაია ჯავახიძე*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*
*ი. ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი, საქართველო*
*ტელ.: 599 104 315*
E-mail: *maiajava@yahoo.com*

**რეზიუმე**

სტატიაში გაანალიზებულია იტალიურ ენაში არსებული მეტაფორული ზოონიმების თორმეტი თემატური ჯგუფი: „მწერები" (25 ერთეული), „გარეული ცხოველები" (19), „შინაური ცხოველები" (18), „გარეული ფრინველები" (17), „შინაური ფრინველები" (7), „თევზები" (6), „მოლუსკები" (4), „ქვეწარმავლები" (4), „მღრღნელები" (4), „ზღვის ძუძუმწოვრები" (1), „უმარტივესნი" (1), „ამფიბიები" (1), ასევე ზოონიმებთან დაკავშირებული კიდევ ორი ჯგუფი: „ცხოველების, ფრინველებისა და მწერების სხეულის ნაწილები" (14 ერთეული) და „ცხოველების, ფრინველების ან მწერების საცხოვრისი" (12 ერთეული). მეტაფორების ანალიზი განხორციელდა დომინანტური მახასიათებლების გამოვლენით, რაც საფუძვლად უდევს მეტაფორული მოდელების ანუ პარადიგმების გამოვლენას.

**საკვანძო სიტყვები:**

მეტაფორა, ზოონიმი, ლინგვოკულტუროლოგია, კულტურული კონცეპტი.

**შესავალი**

იტალიურ ენაში წარმოდგენილი ზოონიმების კვლევა და მათთან დაკავშირებული ლექსიკის (ცხოველების, მწერების და ფრინველების სხეულის ნაწილების და მათი საცხოვრისის) მეტაფორული მნიშვნელობების ანალიზი ლინგვოკულტურულ კონტექსტში საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ზოონიმების მხატვრულ-კულტურული კონოტაცია და გავაერთიანოთ ეს მნიშვნელობები კულტურულ პარადიგმებში.

**ძირითადი ნაწილი**

ლინგვოკულტუროლოგიურ კვლევებში დადგენილია ენაში კულტურის მნიშვნელობის გადმოცემის ოთხი საშუალება (3; 18): კულტურული სემები (კულტურის გამოვლინების ის საშუალებები ლექსემებსა და ფრაზეოლოგიზმებში, რომლებიც გამოხატავენ იდიოეთნიკურ რეალიებს. კულტურულ სემას შეიცავს, მაგალითად, საგნობრივი რეალიის აღმნიშვნელი ისეთი სახელი, როგორიცაა „ნაბადი"), კულტურული ფონი (ლექსემებისა და ფრაზეოლოგიის დახასიათება, რომლებიც აღწერენ სოციალურ ცხოვრებას და და ისტორიულ მოვლენებს, მაგ. „ნამგალი და ურო"), კულტურული კონცეპტები (კონცეპტებია აბსტრაქტული ცნებების სახელები, რომელთა სემანტიკაში სიგნიფიკატიური ასპექტი ჭარბობს დენოტატიურს, მათ არ გააჩნიათ საგნობრივი „საფუძველი", საგნობრივი რეალია დენოტატის სახით. ენის მატარებლები ახდენენ მათი ცნებითი შინაარსის „კონსტრუირებას", გამომდინარე თავიანთი ღირებულებათა სისტემებიდან. მაგალითად, ქართული „მეგობარი" არ უდრის ინგლისურ friend-ს) და, ბოლოს, კულტურული კონოტაცია. კულტურული კონოტაცია ახასიათებს მხატვრულ ენობრივ ნიშნებს. კულტურა აღწევს მათში მათი სემანტიკის ასოციაციურ-მხატვრული საფუძვლის საშუ-

ალებით და მათი ინტერპრეტაციის დროს გამოვლინდება ისეთ მოვლენებთან კავშირში, როგორიცაა სტერეოტიპები, ეტალონები, სიმბოლოები, მითოლოგემები, პროტოტიპური სიტუაციები და ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურის სხვა ნიშნები, რომელიც შეთვისებული აქვს მოცემულ ლინგვოკულტურულ ერთობას. ხატა სისტემა, რომელიც ძევს ენის ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, წარმოადგენს იმ ადგილს, „ნიშას", სადაც ხდება სამყაროს ხედვის აკუმულირება: მხატვრული საფუძველი, ასე თუ ისე, უკავშირდება სულიერი, სოციალური თუ მატერიალური ტიპის კულტურას, თუმცა, ეს კავშირი არ ძევს ყოველთვის მნიშვნელობის ზედაპირზე.

მაშასადამე, ცნებაში „კულტურული კონოტაცია" შეიძლება გამოიყოს შემდეგი მნიშვნელოვანი პარამეტრები: 1) ის სემიოტიკური ერთეულია, წარმოადგენს მაკავშირებელ რგოლს საგნობრივად ისეთ სხვადასხვა სფეროებსა და სემიოტიკურ სისტემებს შორის, როგორიცაა ენა და კულტურა. 2) კულტურულ კონოტაციას აქვს თავისი რეალიზაციის ლოკუსი ენის სისტემაში. ეს არის ენის გარკვეული პლასტი, კონკრეტულად კი მხატვრულად მოტივირებული ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულები. კონოტაციას ასევე აქვს ლოკალიზაცია ამ ერთეულების მნიშვნელობებში – ამ ერთეულების მხატვრულ საფუძველში. ამ თვალსაზრისით, კულტურული კონოტაცია შეიძლება განისაზღვროს როგორც ნიშნობრივი კატეგორია. (2;) აქედან გამომდინარე, მეტაფორა და კულტურული კონოტაცია არის სწორედ კვლევის ერთ-ერთი საინტერესო სფერო. ჩვენი კვლევის საგანია ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების – ზოონიმების გადატანითი, მეტაფორული მნიშვნელობები. ასეთი მნიშვნელობის მქონე ზოონიმები გავაერთიანეთ გარკვეულ თემატურ ჯგუფებში; წარმოდგენილი მნიშვნელობები დაფიქსირებულია იტალიური ენის განმარტებით ლექსიკონებში ან სარგებლობს გარკვეული სიმყარით ენის მატარებლებში (შეგვხვდა გარკვეული ზოონიმები, რომელიც არ არის დაფიქსირებული ლექსიკონში, მაგრამ წარმოდგენილია სხვა წყაროებში).

ჩვენი ანალიზი ეყრდნობა მეტაფორის თეორიის იმ მიმართულებას, რომელიც ითვალისწინებს მეტაფორის კოდირებისა და დეკოდირების პროცესებს და ეფუძნება სიტყვის ლექსიკურ–სემანტიკური მნიშვნელობის კომპონენტურ ანალიზს (1;); ამ თეორიის საფუძველზე გამოიყოფა მეტაფორის სამოტივაციო ნიშან-თვისებები, მათზე დაყრდნობით კი შესაძლებელია დომინანტური ნიშან–თვისებების დადგენა. სახელის მეტაფორული გადატანა ერთი ობიექტიდან მეორეზე ხდება ქვემოთ ჩამოთვლილი საერთო ნიშან–თვისებების /პარამეტრების საფუძველზე; ანუ ეს სემებია, რომლებიც იმპლიციტურად გამოხატავენ შესადარებელ დენოტატებში ობიექტურად არსებულ მეტაფორის სამოტივაციო ნიშან–თვისებებს (1; 42):

<u>ფიზიკური თვისებები</u> (ფიზ.): ფორმაციული (ფიზ.ფორმ.) – სიდიდე, სიმაღლე, სიღრმე, სიგრძე, სიმსუქნე, ზომა, წონა, სიმაღლე, სიგანე; ოდორაციული (ფიზ.ოდ.); ფერის (ფიზ.ფერ.); გემოსი (ფიზ.გემ.); წონის (ფიზ. წონ.); ხმის (ფიზ.ხმ.); დროის (ფიზ.დრ.) – ასაკი, დრო, ხანგრძლიობა; ტემპერატურული (ფიზ.ტემპ.); შეხების (ფიზ.შეხ.) – სიმაგრე, სირბილე.

<u>კონსისტენციალური ნიშან-თვისებები</u> (კონს.), გამოხატავენ ობიექტის მოწყობას, კონსისტენციას – სისავსე, ორგანიზაციული სისტემა, შემადგენლობა, არსი, წყობა, მასალა.

<u>ფუნქციონალური ნიშან-თვისებები</u> (ფუნქც.) გამოხატავენ, რისთვისაა განკუთვნილი ობიექტი, მიზანს, გამოყენების მიზეზს.

<u>რეალიზაციური თვისებები</u> (რეალ.): ობიექტის გამოვლინების მახასიათებლები, მაგ.: აქტიურობა, მნიშვნელობა, ინტენსიურობა, რეაქცია, რეჟიმი, შედეგი, ძალა.

დინამიკური მახასიათებლები (დინ.): მოქმედების მსვლელობის ნიშან-თვისებები – რიტმი, ტემპი.

რელაციური პარამეტრები (რელ.) გამოხატავენ შეხედულებებს იმაზე, თუ რა აქვთ საერთო ამ დასაპირისპირებელ ობიექტებს – ადგილი, მდგომარეობა, მიმართება, მიმართულება, სიახლოვე, რიგი, განლაგება.

სუბიექტურ-ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებები (სუბ.ფსიქ.) – გამოხატავენ იმ მსგავს გრძნობებს, მდგომარეობას, შეგრძნებებს, რომელიც უჩნდება სუბიექტს შესადარებელ ობიექტებთან კონტაქტის დროს ; გრძნობა, განცდა.

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, მეტაფორიზაცია ხშირად ხასიათდება არა ერთი, არამედ რამდენიმე სამოტივაციო ნიშან-თვისებით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ არ განვიხილავთ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ფართო გაგებით, ამჯერად შემოვიფარგლებით მხოლოდ ლექსემების დამოუკიდებელი მნიშვნელობებით და ამ ტიპის კონსტრუქციებით: “essere un/una ----” , `essere come un/una -----”; ~avere _______ di ______” (მაგ.: avere vocino di zanzara – „კოღოსავით ხმა აქვს“).

**პირველი თემატური ჯგუფი – „მწერები“** – ასეა წარმოდგენილი იტალიურში:

მატლი / ჭუპრი, ხის ჭია, ჭრიჭინა, ბუზი, კრაზანა / ბზიკი, რწყილი, ტილი, ჭიანჭველა, ფუტკარი, ციკადა, კალია, ნემსიყლაპია, პეპელა, ღამის პეპელა, ქინქლა, ღვთისმლოცველა, კოღო, ციცინათელა, წურბელა, ტკიპა.

ვნახოთ ამ ლექსიკური ერთეულების მეტაფორული მნიშვნელობები:

**larva – მატლი, ჭუპრი:** 1. ძალიან გამხდარი, ცუდ ფორმაში მყოფი ადამიანი; საკუთარი თავის აჩრდილი / მოჩვენება.

**tarlo – ხის ჭია:** ფიქრი, ეჭვი, რაც ტანჯავს ადამიანს; il tarlo del rimorso – სინანულის ჭია, del dubbio – ეჭვის ჭია.

**grillo – ჭრიჭინა:** 1. კაპრიზი, უცნაურობა. avere dei grilli per la testa – თავი სავსე აქვს უცნაური აზრებით (იდეებით). 2. სალტელლა ცომე უნ გრილლო – კარგი ჯანმრთელობის მქონე ადამიანი, ცოცხალი და მოძრავი.

**pulce – რწყილი:** აკვიატებული აზრი, ეჭვი, ფიქრი.

**mosca – ბუზი:** 1. აუტანელი, მომაბეზრებლი, აბეზარი, თავშემაწყენელი ადამიანი.

2. **mosca cocchiera**, მეეტლე ბუზი – (ფედრის იგავიდან) ბუზი, რომელსაც ჰგონია, რომ რაღაცას წარმოადგენს, უნდა შექმნას შეხედულება საკუთარი მნიშვნელობის შესახებ.

**vespa – კრაზანა:** 1. ქალის ძალიან წვრილი წელი; 2. თავის მომაბეზრებელი, თავის შემაწყენელი ადამიანი. 3. ბოროტი ზრახვების მქონე, არაკეთილგანწყობილი ადამიანი.

**piattola – ბოქვენის ტილი:** აბეზარი, თავშემაწყენელი, გულის გამაწყალებელი.

**pidocchio – ტილი:** ძუნწი და სულმდაბალი ადამიანი.

**pidocchioso – ტილიანი:** არაფრისმქონე, უბადრუკი, ღარიბი.

**formica– ჭიანჭველა:** ადამიანთან მიმართებაში ძალიან მშრომელ, წინდახედულ ადამიანს ნიშნავს, მის მოძრაობასთან მიმართებაში კი (**andare a passo di formica** ჭიანჭველას ნაბიჯებით / დადის / გადაადგილდება / მოძრაობს) – ძალიან ნელა მოძრავ ადამიანს აღნიშნავს. (ფ.ე.ში **avere il cervello di una formica** ჭიანჭველას ტვინი – შეზღუდული აზროვნების ადამიანია).

**ape – ფუტკარი**: ძალიან შრომისმოყვარე ადამიანი, რომელიც გამუდმებით შრომობს. **ape regina – დედა (დედოფალი) ფუტკარი:** ქალი, რომელიც პატივს არ სცემს მამაკაცებს და იყენებს მათ მხოლოდ გამრავლების მიზნით.

**cicala – ციკადა:** აბეზარი და ჭორიკანა ადამიანი.

**cavalletta – კალია:** 1. ძალიან ხარბი, გაუმაძღარი, ღორმუცელა ადამიანი; 2. აბეზარი, რომელიც ყველაფერში ერევა, ცხვირს ყოფს.

**libellula – ნემსიყლაპია:** მსუბუქი, მოქნილი, გრაციოზული, ძირითადად, ქალის შესახებ.

**farfalla – პეპელა:** ზედაპირული ქალი, ქა-

რაფშუტა, მერყევი და ცვალებადი ხასიათის.

**farfallone – დიდი პეპელა:** ზედაპირული კაცი, ქარაფშუტა, მერყევი და ცვალებადი ხასიათის.

**falena – ღამის პეპელა:** მსუბუქი ყოფაქცევის ქალი, მეძავი.

**moscerino – ქინქლა:** 1. ფიზიკურად ძალიან პატარა აღნაგობის ადამიანი. 2. „პატარა" ადამიანი, რომელიც არაფერს არ წარმოადგენს.

**mántide – ღვთისმლოცველა:** ქალი, რომელიც პატივს არ სცემს მამაკაცებს და რომელიც მხოლოდ გამრავლების მიზნით იკავებს ურთიერთობას მათთან.

**zanzara – კოღო:** 1. აბეზარი, თავის შემაწყენელი ადამიანი; 2. vocino di zanzara – კოღოს ბზუილის მსგავსი ადამიანის ხმა.

**lucciola –** ციცინათელა; 1. კინოთეტრებში, თანამშრომელი, ქალი, რომელიც ფარნით ადგილებს უნათებს მაყურებლებს; 2. მსუბუქი ყოფაქცევის ქალი.

**sanguisuga – წურბელა:** 1. ხარბი ადამიანი, რომელიც ფულს „წოვს" სხვებს; 2. თავის მომაბეზრებელი ადამიანი.

**zecca – ტკიპა;** თავის მომაბეზრებელი ადამიანი.

**ragno (ragnetto)** – ობობა. ფიზიკურად პატარა აღნაგობის ადამიანი.

აღნიშნულ თემატურ ჯგუფში წარმოდგენილია 25 დასახელების ზოონიმი. მათი ზემოთმოყვანილი მეტაენის საშუალებით ანალიზი ასეთ სურათს გვაძლევს:

<table>
<tr><th>მწერი→ადამ. ფიზ. ფორ.</th><th>მწერი→ადამ. სუბ. ფსიქ.რეალ.</th></tr>
<tr><td>მატლი /ჭუპრი (larva) – ძალიან გამხდარი;<br>ქინქლი (moscerino) – 1. ძალიან პატარა;<br>ობობა (ragno) – ძალიან პატარა</td><td rowspan="5">ტილი (pidocchio) – ძუნწი; ჭიანჭველა (formica) - ძალიან მშრომელი;<br>ქინქლი (moscerino) 3. – მშრომელი;<br>ფუტკარი (ape) – მშრომელი;<br>კალია (cavaletta) 1. – ხარბი, გაუმაძღარი; 2. აბეზარი.<br>პეპელა (farfalla) – ქარაფშუტა;<br>წურბელა (sanguisuga) 1. – ხარბი;<br>მამრი პეპელა (farfallone) – ზედაპირული;<br>ქინქლი (moscerino) 2. – არარაობა;<br>ბუზი (mosca) 1.– აბეზარი;<br>კრაზანა (vespa) 2.3 – აბეზარი;<br>ბოქვენის ტილი (piattola) – აბეზარი;<br>ციკადა (cicalla) – აბეზარი;<br>კალია (cavaletta) 2. – აბეზარი;<br>კოღო (zanzara) 2. – აბეზარი;<br>წურბელა (sanguisuga) 2. –აბეზარი;<br>ტკიპა (zecca) – აბეზარი.</td></tr>
<tr><td>მწერი → ადამ. მდედ. ფიზ.ფორ.<br>კრაზანა (vespa) - vitino da vespa - კრაზანას წელი</td></tr>
<tr><td>მწერი→ადამ. ფიზ.ხმა<br>კოღო (zanzara) - vocino di zanzara კოღოსავით ხმა</td></tr>
<tr><td>მწერი→ფსიქ. მოვლენა<br>ხის ჭია (tarlo) – აკვიატებული აზრი;<br>ჭრიჭინა (grillo) 1. – კაპრიზი;<br>რწყილი (pulce) – აკვიატებული აზრი;</td></tr>
<tr><td>მწერი→ადამ.რეალ<br>ჭიანჭველა (di formica) 1. – ნელი;<br>ჭრიჭინა (grillo) 2. – მოძრავი;</td></tr>
</table>

აღნიშნულ ჯგუფში დავამატეთ ერთი სამოტივაციო ნიშან-თვისება – მდედრი – ვინაიდან აქ აღმოჩნდა ამ ნიშნის შემცველი რამდენიმე მეტაფორა, მკვეთრად გამოხატული სქესობრივი მახასიათებლით. ყველაზე ხშირი სუბიექტურ–ფსიქოლოგიური მახასიათებელია "აბეზარი", "თავის მომაბეზრებელი" – რაც, რა თქმა უნდა, უკავშირდება ამ მწერების მიერ გამოცემულ ხმას – ბუზი, კრაზანა, ციკადა, კოღო ან მათ რეალიზაციურ მახასიათებლებს, რომელიც ძალიან შემაწუხებელია ადამიანისათვის: წურბელა და ტკიპა - სისხლს წოვს, კოღო და ტილი იკბინება და ქავილს იწვევს.

**თემატური ჯგუფი „გარეული ცხოველები".** ამ ჯგუფში სულ წარმოდგენილია 19 ზოონიმი და ორი ზოგადი მნიშვნელობის ლექსემა „მხეცი" და „კატისებრი": ლომი, მგელი, დათვი, მაიმუნი, მანდრილი, მაკაკა, მელა, ვეფხვი, აფთარი, ტურა, ხარი, გაზელი, ჟირაფი, პაქიდერმი, ზღარბი, კურდღელი, დომბი, ბეჰემოტი, მასტოდონტი.

**bestia – მხეცი:** 1. განსაკუთრებული ფიზიკური ძალის, ენერგიის მქონე ადამიანი. 2. უხეში, გაუნათლებელი და მოძალადე ადამიანი;

**leone – ლომი:** განსაკუთრებულად ძლიერი და ენერგიული ადამიანი;

**lupo - მგელი:** კლასიკური ზღაპრის გმირი მგელი – როგორც ძლიერი და ხარბი, რომელიც ჩაგრავს სუსტს; (შესულია ბევრი ფრაზეოლოგიური ერთეულის შემადგენლობაში: 1. ზღვის მგელი – Lupo di mare – ძველი, გამოცდილი მეზღვაური; 3. Lupo mannaro – მაქცია და სხვ.)

**orso – დათვი:** პირქუში და კუშტი, ნაკლებად სოციალური ადამიანი.

**scimmia– მაიმუნი:** 1. უშნო გარეგნობის და უსიამოვნო მანერების მქონე, ბოროტი, ღვარძლიანი, ავგული. 2. ის, ვინც ბაძავს სხვა ადამიანს ჟესტებით, ხმით, მანერით.

**scimmiotto – პატარა მაიმუნი:** უშნო გარეგნობისა თუ აღნაგობის ადამიანი.

**mandrillo – მანდრილი:** 1. ავხორცი; 2. კაცი, რომელიც განსაკუთრებული სექსუალური აქტივობით გამოირჩევა.

**volpe – მელა:** 1. ეზოპეს იგავის მიხედვით ის, ვინც თითქოსდა აღარაფრად აგდებს თავისი სურვილის ობიექტს, რომელსაც ვერ „შესწვდა". 2. ძალიან ცბიერი ადამიანი;

**tigre – ვეფხვი:** სასტიკი და დაუნდობელი ადამიანი.

**iena – აფთარი:** განსაკუთრებულად სასტიკი, სულმდაბალი, საძულველი ადამიანი.

**sciacallo – ტურა:** 1. მაროდიორი. 2. ადამიანი, რომელიც სხვის უბედურებაზე ითბობს ხელს.

**toro – ხარი:** 1.ფიზიკურად ძლიერი აღნაგობის, განსაკუთრებული ძალით გამორჩეული ადამიანი. (ფრაზეოლოგიური ერთეული: 2. **Sbuffare come un toro** ხარივით ქშენა – განსაკუთრებული მოუთმენლობის ან ბრაზის გამოვლენა).

**ipopotamo – ბეჰემოტი:** ფიზიკურად დიდი აღნაგობის მამაკაცი.

**bizonte – დომბა:** ფიზიკურად დიდი აღნაგობის მამაკაცი.

**gazzella – გაზელი:** 1. გაზელივით სწრაფი, მოძრავი და მოქნილი ადამიანი.

**mastodonte – მასტოდონტი,** პრეისტორიული სპილო. ფიზიკურად დიდი მამაკაცი.

**felino – კატისებრი**: 1. მოქნილი, ელასტიური, მარდი ადამიანი; 2. ცბიერი, ფრთხილი, მუხანათური; (sguardo felino – კატისებრი მზერა; astuzia felina – კატისებრი ეშმაკობა).

**giraffa – ჟირაფი**: ფიზიკურად ძალიან მაღალი ადამიანი, გრძელი კისრითა და ფეხებით. (**Collo da giraffa** ჟირაფის კისერი; **Camminare a passi da giraffa** ნაბიჯები – გრძელი და უსწორმასწორო).

**bovino – ხარის: comportamento bovino** – ხარის ქცევა; **intelligenza bovina** - ხარის ჭკუა – ენაჩავარდნილი, დამუნჯებული, ჩლუნგი, უტვინო; (**occhi bovini** - ხარის თვალები – მრგვალი და წინწამოწეული)

**elefante – სპილო:** 1. ფიზიკურად მსუქანი,

მოუქნელი, ყოველგვარ გრაციას მოკლებული; 2. უტაქტო, უხეში, სიფაქიზეს მოკლებული ადამიანი.

**pachiderma** – **პაქიდერმი:** 1. მსუქანა. 2. სქელკანიანი, უგრძნობელი;

**riccio – ზღარბი: Chiudersi a riccio**; შიშისაგან ან უნდობლობისაგან თავდაცვის პოზიციის დაკავება.

**coniglio – კურდღელი;** მხდალი, ლაჩარი, სულმდაბალი.

**macaco – მაკაკა;** 1. მახინჯი, უშნო გარეგნობის მქონე ადამიანი; 2 . მანჭია.

| | |
|---|---|
| **ცხოველი→ადამ. ფიზ. ფორმ.**<br>ჟირაფი (giraffa) – მაღალი და გრძელი კიდურებით;<br>პაქიდერმი (pachiderma) – 1. დიდი;<br>სპილო (elefante) 1. – დიდი;<br>დომბა (bisonte) – დიდი;<br>მასტოდონტი (mastodonte) – დიდი;<br>ბეჰემოტი (ipoppotamo) – დიდი; | **ცხოველი→ადამ.სუბ.ფსიქ.რეალ.**<br>ცხოველი (bestia) – 2. სასტიკი;<br>კურდღელი (coniglio) – ლაჩარი;<br>დათვი (orso) – პირქუში;<br>ვეფხვი (togre) – სასტიკი;<br>მაიმუნი (scimmia) – ეშმაკი;<br>აფთარი (iena) – სასტიკი;<br>სპილო (elefante) 2. – უხეში;<br>პაქიდერმი (pachiderma) 2. – სქელკანიანი, უგრძნობელი.<br>ზღარბივით (a riccio) – ჩაკეტილი;<br>ტურა (sciacallo) – ის,ვინც სხვის უბედურებაზე ითბობს ხელს.<br>მგელი (lupo) – ხარბი, სასტიკი და სუსტის დამჩაგვრელი. |
| **ცხოველი→ადამ. ფიზ. გარეგ.**<br>მაიმუნი (scimmia) 1. – უშნო;<br>პატარა მაიმუნი (scimiotto) – უშნო;<br>მაკაკა (macaca) – უშნო; | |
| **ცხოველი→ადამ.რეალ.**<br>კატისებრი (felino) – მოქნილი;<br>მაკაკა (macaca) 2. მანჭია;<br>ცხოველი (bestia) 1. – ძლიერი;<br>ხარი (toro) – ძლიერი; | |

ამ ჯგუფში, როგორც ვხედავთ, ჭარბობს მეტაფორის ორი სამოტივაციო ნიშანი: ფიზიკური მახასიათებელი და სუბიექტურ-ფსიქოლოგიური ნიშან-თვისება. მეტაფორების აქსიოლოგიური მიმართულება კი არის პეიორატიული; უარყოფითი შეფასება ჭარბობს, ნეიტრალური (დიდი, მაღალი, გრძელი) - ბევრად უფრო მწირად არის წარმოდგენილი, აღარაფერი რომ ვთქვათ მელიორატიულზე (მოქნილი).

მესამე თემატური ჯგუფია **"შინაური ცხოველები"**. წარმოდგენილია 18 ლექსიკური ერთეული: ძაღლი, ძუ ძაღლი, ცხენი (**cavallo,** vcavallina), კვიცი, ულაყი, ღორი, დაკოდილი ღორი, ნეზვი, ცხვარი, ვაცი, ჯორი, ვირი, ძროხა.

**cane – ძაღლი: 1.** მძვინვარე, ფიცხი, გაღიზიანებადი, ძუნწი; 2. თავის საქმეში სრულიად უუნარო ადამიანი, განსაკუთრებით მსახიობი ან მომღერალი. 3. სულმდაბალი, საზიზღარი.

**si è comportato da cane –** ძაღლივით მოიქცა,

**fare il cane** - სასტიკად მოიქცა.

**cagna – ძუ ძაღლი:** 1. უსირცხვილო, უნამუსო ქალი, ძუკნა, მეძავი. 2. (მოძვ.) ბრაზიანი ხასიათის ქალი; 3. ცუდი მსახიობი, განსაკუთრებით კი მომღერალი.

**cavallo – ცხენი: pazzo come un cavallo** – ცხენივით გიჟი.

**cavallina – ცხენი:** დიდი და მოუქნელი ქალი.

**puledro – კვიცი:** ცოცხალი, მოძრავი ყმაწვილი.

**puledra di razza – ჯიშიანი ფაშატი:** კარგ ფიზიკურ ფორმაში მყოფი ქალი, გრძელი და დაძარღვული ფეხებით.

**stallone – გასამრავლებელი ულაყი:** კაცი, რომელსაც განსაკუთრებული სექსუალური ენერგია აქვს.

**maiale – ღორი:** 1. mangiare come un maiale - ღორივით ჭამა – ბევრის ჭამა, ყველაფრის პირში ჩაყრა. 2. ძალიან მსუქანი ადამიანი: grasso come un maiale.

**porco – ღორი, დაკოდილი ღორი:** 1. ძალიან ბინძური, ჭუჭყიანი ადამიანი; 2. ძალიან ამორალური, მანკიერი, უხამსი; **fare il porco** – ღორივით მოქცევა; **parlare come un porco** – ღორივით ლაპარაკი; 3. საზიზღარი ადამიანი, ვერაგი, არასანდო, ცბიერი და მსგ.

**scrofa – ნეზვი:** მეძავი, ძუკნა.

**troia – ნეზვი:** 1. მეძავი, ძუკნა. 2. უსირცხვილო, თავხედი, აღვირახსნილი, თავაშვებული, საზიზღარი ადამიანი.

**pecora – ცხვარი**: სუსტი ადამიანი, ზედმეტად მორჩილი და დამჯერი, საკუთარი ნების არმქონე;

**becco – ვაცი:** მოღალატე ცოლის მყოლე კაცი.

**mulo (1) – ჯორი:** 1. ჯიუტი ადამიანი; 2. ადამინი, რომელიც მძიმე ტვირთს – საქმეს აიკიდებს. (3. მოძვ. მნიშვნელობით არაკანონიერი ვაჟიშვილი).

**mulo (2) – ჯორი:** ჩრდილოეთ იტალიაში ნიშნავს ცელქ , ანც ბიჭს.

**asino – ვირი:** გაუთლელი, უხეში, გაუნათლებელი ადამიანი;

**somaro – ვირი:** 1. გაუნათლებელი ადამიანი. უხეში, გაუთლელი, უზრდელი.

2. ცუდი მოსწავლე სკოლაში.

**vacca – ძროხა:** მსუქანი ქალი.

<table>
<tr><td>ცხოველი→ადამ. ფიზ. ფორმ.<br>ღორი (maiale) – 2. მსუქანი;</td><td rowspan="3">ცხოველი→ადამ.სუბ.ფსიქ.რეალ.<br>ძაღლი (cane) – 1. მძვინვარე; 3. სულმდაბალი, საზიზღარი<br>ძუ ძაღლი 2. (cagna) – ბრაზიანი;<br>ჯორი (mulo) – 1. ჯიუტი; 2. ძნელ საქმეს შეჭიდებული.<br>ღორი (porco) – 2. ამორალური;<br>3. საზიზღარი;<br>ნეზვი (troia) – აღვირახსნილი;<br>ცხვარი (pecora) – მორჩილი;<br>ვირი (asino) – გაუთლელი;<br>ვირი (somaro) – 1. გაუთლელი;<br>ცხენივით (pazzo come un cavallo) – გიჟი;</td></tr>
<tr><td>ცხოველი→ადამ. მდედ. ფიზ. ფორმ.<br>ძროხა (vacca) – მსუქანი;<br>ცხენი (cavallina) – მოუქნელი ქალი;<br>ჯიშიანი ფაშატი (pulledra) – სპორტული, კარგი აღნაგობის ქალი;</td></tr>
<tr><td>ცხოველი→ადამ. მდედ./მამრ.ფიზ.ხმ.<br>დედალი ძაღლი (cagna) – 3. ცუდი მსახიობი, განს. მომღერალი<br>ძაღლი (cane) - სრულიად უუნარო მსახიობი, განს. მომღერალი კაცი.</td></tr>
<tr><td>ცხოველი→ადამ. რეალ.<br>ღორივით ( da maiale) – ჭამა;<br>ღორი (porco) – 1. ბინძური;</td><td>ცხოველი→ადამ. ფიზ. ფორმ. ასაკი . რეალ.<br>კვიცი (puledro) – მოძრავი ბიჭი;<br>ჯორი (2) (mulo) – ცელქი ბიჭი;<br>ვირი (somaro) – ცუდი მოსწავლე სკოლაში;</td></tr>
<tr><td>ცხოველი→ადამ.მდედ.რეალ.<br>ძუ ძაღლი (cagna) – 1. ძუკნა, მეძავი;<br>ნეზვი (scrofa) – მეძავი;</td><td>ცხოველი→ადამ.მამრ.რეალ.<br>ულაყი (stallone) – “გასამრავლებლად” სასურველი;</td></tr>
</table>

ამ ჯგუფში ყველაზე მეტი სამოტივაციო ნიშანი არის სუბიექტურ-ფსიქოლოგიური, მეტაფორის აქსიოლოგიური მიმართება არის პეიორატიული.

**თემატური ჯგუფი: „გარეული ფრინველები“.** მასში წარმოდგენილია 17 ზოონიმი: ღობემძვრალა, შაშვი, შავი შაშვი, არწივი, მწყერი, მტრედი, ფარშევანგი, გვრიტი, ზარნაშო, ბუკიოტი, მიმინო, თუთიყუში, სვავი, ყვავი, სირაქლემა, კანარის ჩიტი.

**scricciolo – ღობემძვრალა:** 1. uno scricciolo di donna – მინიატურული, ჰაეროვანი ქალი;

2. **mangiare quanto uno scricciolo, pochissimo**. ჩიტივით კენკავს. 3. **avere il cervello di uno scricciolo** – ქათმის ტვინა, ბატის ტვინა. 2 პატარა და სუსტი აღნაგობის ადამიანი.

**tordo – შაშვი:** 1. კარგი ნაკვები, შაშვივით მსუქანი: Grasso come un tordo.

2. დოყლაპია, ჩერჩეტი, ყეყეჩი.

**merlo – შავი შაშვი:** მიამიტი, გულუბრყვილო კაცი, რომლის მოტყუებაც ადვილია.

**aquila – არწივი:** არაორდინარული ჭკუის მქონე ადამიანი.

**quaglia– მწყერი:** 1. ზომიერად, სასიამოვნოდ მსუქანი. 2. ეშმაკი, გაიძვერა, ეშმაკი მელა: **una quaglia soprafina;**

**piccione – მტრედი:** გულუბრყვილო და უბრალო ადამიანი.

**colomba – მტრედი:** უბრალო, მშვიდი, თვინიერი, უწყინარი, წმინდა ადამიანი, განს. ქალი.

**pavone – ფარშევანგი:** ზედაპირული, პატივმოყვარე, ყოყოჩი, მოფუქსავატო ადამიანი.

**tortora – გვრიტი**: უმანკო, უბიწო.

**gufo – ზარნაშო:** შინაყუდა, ასოციალური ადამიანი.

**allocco – ბუკიოტი:** მიამიტი, გულუბრყვილო, ადვილად მოსატყუებელი კაცი.

**falco – მიმინო:** Occhio di falco – მიმინოს თვალი; 1. უშიშარი, გაბედული ხასიათის ადამიანი, გონებამახვლი; 2. მტაცებელი, ცბიერი, მზაკვრობის ჩამდენი. 3. პოლიტიკურ სიტუაციებში შეურიგებელი, პრინციპული, სწორხაზოვანი (ანტ. colomba)

**pappagallo – თუთიყუში:** 1. ადამიანი, რომელიც დაუფიქრებლად, მექანიკურად ბაძავს სხვას, იმეორებს მის სიტყვებსა თუ ჟესტებს, მზუთხავი; 2. კაცი, რომელიც თავისი ზედმეტი ყურადღებით, კომპლიმენტებით, ქუჩაში თავს აბეზრებს ქალებს – თავხედი,

**avvoltoio – სვავი:** ძალიან ცბიერი, ბოროტი, შურიანი, რომელიც სხვის უბედურებაზე ითბობს ხელს.

**corvo – ყვავი:** 1. ჭორიკანა, ცუდი ენის მქონე ადამიანი.

**struzzo – სირაქლემა**: რომელიც თავს ქვიშაში ჰყოფს, რომ საფრთხე არ დაინახოს, ადამიანიც, რომელიც გაურბის რეალობას: **Fare lo struzzo, fare la politica dello struzzo**.

**canarino – კანარის ჩიტი:** 1. ძალიან სუსტი აღნაგობის ადამიანი; 2. პოლიციის ინფორმატორი, ის, ვინც „დაამღერა“ ინფორმაცია. 3. მოდენას ფეხბურთის გუნდის ფეხბურთელი ან ამ გუნდის გულშემატკივარი.

<table>
<tr><td>ფრინველი→ადამ. ფიზ. ფორმ.<br>კანარის ჩიტი (canarino) – სუსტი აღნაგობის<br>შაშვი (tordo) – მსუქანი;</td><td rowspan="3">ფრინველი→ადამ. სუბ. ფსიქ. რეალ.<br>ღობემძვრალა (scricciolo)3. – უტვინო;<br>არწივი (aquila) – ჭკვიანი;<br>მწყერი (quaglia) – 2. ეშმაკი;<br>მტრედი (piccione) – გულუბრყვილო;<br>ფარშევანგი (pavone) – ფუქსავატი;<br>მიმინო (falco) 1. უშიშარი; 2. მტაცებელი. 3. შეურიგებელი;<br>სვავი (avvoltoio) – ცბიერი;<br>ყვავი (corvo) – ჭორიკანა;<br>სირაქლემა (struzzo) – ის, ვინც ემალება სინამდვილეს;<br>ზარნაშო (gufo) – შინაყუდა;<br>გვრიტი (tortora) – უმანკო;</td></tr>
<tr><td>ფრინველი→ადამ. მდედრ. ფიზ. ფორმ.<br>ღობემძვრალა (scricciolo)1. – ჰაეროვანი;<br>მწყერი (quaglia) 1. – მსუქანი;</td></tr>
<tr><td>ფრინველი→ადამ. ფიზ. ფორმ. ფერი<br>კანარის ჩიტი (canarino) – ქ. მოდენას ფეხბურთელი (მაისურის ფერის მიხედვით);</td></tr>
<tr><td>ფრინველი→ადამ. რეალ.<br>ღობემძვრალა (scricciolo) 2. ის, ვინც ცოტას ჭამს;<br>თუთიყუში (papagallo)1. – სხვისი მიმბაძველი;</td><td rowspan="2">ფრინველი→ადამ. მამრ. სუბ. ფსიქ. რეალ.<br>თუთიყუში (papagallo) 2. – თავხედი მექალთანე;<br>შავი შაშვი (merlo) – მიამიტი კაცი;<br>ბუკიოტი (allocco) – მიამიტი კაცი;</td></tr>
<tr><td>ფრინველი→ადამ. მდედ. სუბ. ფსიქ. რეალ.<br>მტრედი (colomba) თვინიერი, უწყინარი</td></tr>
</table>

ამ ქვეჯგუფში მეტაფორის ძირითადი მახასიათებელი ნიშან-თვისებაა სუბიექტურ-ფსიქოლოგიური + რეალიზაციური. აქაც შემოვიტანეთ ნიშანი მამრი და მდედრი, ვინაიდან აღნიშნული მახასიათებელი მნიშვნელოვანია იმ მეტაფორებისათვის, რომელშიც ის წარმოდგენილია. 17 ზოონიმიდან წარმოებული მეტაფორების უმრავლესობა აქსიოლოგიურად პეიორატიულია. წარმოდგენილია ერთი ნეიტრალური - კანარის ჩიტი (მოდენას ფეხბურთელი) და სულ სამი მელიორატული მეტაფორა: ღობემძვრალა – „ჰაეროვანი“, გვრიტი – „უმანკო“ და მტრედი – „უწყინარი“.

**თემატური ჯგუფი „შინაური ფრინველები“**. ჯგუფში წარმოდგენილია 7 ზოონიმი. მამალი, ყვინჩილა, ყვერული, ქათამი, ვარია (2 ერთეული), ბატი.

**gallo – მამალი:** 1. შფოთისთავი; შარიანი, ჩხუბისთავი; 2. ქალების მადევარი; **Vispo come un gallo** – „მამალივით ცოცხალი“ - ქალებთან ურთიერთობაში ყოჩაღი; წარმატებული.

**galletto – მამალი, ყვინჩილა, მამლაყინწა:** 1. მოუთმენელი, ახალგაზრდა ყმაწვილი; 2. მექალთანე, რომელიც ქალებს ეარშიყება, ეს ადვილად გამოსდის და წარმატებითაც სარგებლობს.

**cappone (1) – ყვერული** (დაკოდილი ყვინჩილი): მამაკაცი, რომელიც არ არის დაინტერესებული სექსუალური ურთიერთობებით; (ფრაზეოლოგიური ერთეული far la pelle di cappone – დაბურძგვლა);

**pollo – ქათამი:** მიამიტი მამაკაცი, რომლის მოტყუებაც ძალიან ადვილია.

**pollastra – ვარია:** მომხიბვლელი გოგონა; კარგი „სამიზნე“ (მამაკაცური ჟარგონისთვის დამახასიათებელი).

**gallinella – ვარია:** ახალგაზრდა და სასურველი ქალი.

**oca – ბატი:** სულელი და ჩერჩეტი ქალი; ასევე გაუნათლებელი და უკულტურო: მხიარული ბატი.

<table>
<tr><td>ფრინველი→ადამ. მამრ. ფიზ. ასაკი. რეალ<br>ყვინჩილა (galetto) – მოუთმენელი ახალგაზრდა;</td><td rowspan="3">ფრინველი→ადამ. სუბ. ფსიქ. რეალ.<br>ბატი (oca) – ჩერჩეტი;<br>მამალი (gallo) 1. – შფოთისთავი;<br>მამალი (gallo) 2. – მექალთანე;<br>ყვერული (cappone) – 1. ის, ვისაც არ აქვს ინტერესი სექსულაური ცხოვრების მიმართ;<br>ქათამი (pollo) – მიამიტი მამაკაცი;</td></tr>
<tr><td>ფრინველი→ადამ. მდედრ. ფიზ. ასაკ. ფიზ. გარეგ.<br>ვარია (pollastra) – მომხიბვლელი გოგონა;<br>ვარია (gallinella) – სასურველი ახალგაზრდა ქალი;</td></tr>
<tr><td>ფრინველი → ფსიქ.-ფიზიოლ. მოვლენა<br>ყვერული 2. (far la pelle di cappone) – დაბურძგვლა;</td></tr>
</table>

ამ ქვეჯგუფში წარმოდგენილ 7 ერთეულში მეტაფორის ძირითადი მახასიათებელი ნიშან-თვისებაა „სუბიექტურ-ფსიქოლოგიური + რეალიზაციური“.

**თემატური ჯგუფი „თევზები“:** ზვიგენი, ქამსა, კამბალა, ჩიქვი, გველთევზა;

**pescecane – ზვიგენი:** სწრაფად გამდიდრებული ადამიანი, განსაკუთრებით ომის დროს და ომის შემდგომ.

**acciuga** – ქამსა, ქარხალა: ძალიან გამხდარი ადამიანი.

**sogliola** – კამბალა: ძალიან გამხდარი ქალი.

**scorfano** – ჩიქვი: ძალიან უშნო გარეგნობის ადამიანი.

**scorpena – ჩიქვი:** ძალიან უშნო გარეგნობის ადამიანი.

**anguilla – გველთევზა: 1.** ძალიან მოქნილი ადამიანი. **2.** ეშმაკი, მოხერხებული, ცრუ და ცბიერი.

| **თევზი→ადამ. ფიზ. ფორმ.**<br>ქამსა (acciuga) – გამხდარი<br>კამბალა (sogliola) – გამხდარი<br>გველთევზა (anguilla) – 1. მოქნილი | **თევზი→ადამ. სუბ. ფსიქ. რეალ.**<br>ზვიგენი (pescecane) – უსინდისო. უბედურების ჟამს გამდიდრებული ადამიანი<br>გველთევზა (anguilla) – 2. ეშმაკი, ცბიერი |
|---|---|
| **თევზი→ადამ. ფიზ. ფორმ. გარეგნ.**<br>ჩიქვი (scorfano) – უშნო | |

ამ თემატურ ჯგუფში, რომელშიც წარმოდგენილია 6 ერთეული, ყველაზე მეტია ნიშნით „ფიზიკური ფორმაცია" გამორჩეული მეტაფორები.

**თემატური ჯგუფი: „ქვეწარმავლები ანუ რეპტილიები"** წარმოდგენილია ოთხი ზოონიმით: გველი, გველგესლა, ქამელეონი და კუ.

**serpe – გველი:** არასანდო, ცბიერი და თვალთმაქცი ადამიანი.

**vipera – გველგესლა, შხამიანი გველი:** გესლიანი, ცრუ ადამიანი. **Essere una lingua di vipera** – გველგესლას ენა აქვს.

**camaleonte – ქამელეონი:** ადამიანი, რომელიც სიტუაციის მიხედვით იცვლის თავის შეხედულებებს.

**tartaruga – კუ: a passi di tartaruga** – კუს ნაბიჯებით, ძალიან ნელა გადაადგილება.

| **ქვეწარმ.→ ადამ.რეალ**<br>კუ (tartaruga) - ნელი | **ქვეწარმ.→ ადამ. სუბ. ფსიქ. რეალ.**<br>გველი (serpe) - ცბიერი<br>გველგესლა (vipera) - გესლიანი<br>ქამელეონი (camaleonte) - ცვალებადი ხასიათის |
|---|---|

როგორც ვხედავთ, ამ ჯგუფში წარმოდგენილი მეტაფორის ძირითადი მახასიათებელია „სუბიექტურ-ფსიქოლოგიური + რეალიზაციური" მახასიათებელი, აქსიოლოგიური მიმართულება აქაც პეიორატიულია.

**თემატური ჯგუფი „მღრღნელები"** წარმოდგენილია ოთხი ზოონიმით: თაგვი, ვირთხა, თხუნელა, მაჩვზღარბა.

**topo – თაგვი:** 1. **muso, visetto di topo** – სახე პატარა ნაკვთებით; **Denti di topo** პატარა და წვეტიანი კბილები. 2. **topo d'albergo, di treno, d'auto** სასტუმროს, მატარებლის, მანქანის ქურდი;

**zoccola – სამხრ. ჩასადენი მილის ვირთხა:** მეძავი, როსკიპი.

**talpa / talpone** –თხუნელა – 1. ასოციალური, ჩაკეტილი ადამიანი; 2. შეზღუდული გონებრივი შესაძებლობის ადამიანი. 3. ჯაშუში.

**istrice – მაჩვზღარბა; 1. Barba,capelli da istrice** – მაჩვზღარბას თმა, წვერი – ძალიან უხეში, წვეტიანი; 2. ძალიან მძიმე ხასიათის მქონე, ადვილად გაღიზიანებადი ადამიანი, კერპი, უხეში და კუშტი.

| **მღრღნელი→ ადამ.ფიზ.ფორმ.**<br>თაგვის (muso di topo) – 1. პატარა ნაკვთები;<br>მაჩვზღარბას (capelli di talpa) – წვეტიანი თმა, წვერი; | **მღრღნელი → ადამ. რეალ.**<br>თაგვი (topo di treno) – 2. ქურდი;<br>თხუნელა (talpa) - ჯაშუში; |
|---|---|

| | |
|---|---|
| **მღრღნელი → ადამ. მდედ. რეალ.**<br>ჩასადენი მილის ვირთხა (zoccola) – მეძავი; | **მღრღნელი → ადამ. სუბ.ფსიქ. რეალ.**<br>თხუნელა (talpa) – 1. ასოციალური<br>მაჩვზღარბა (istrice) – 2. კუშტი;<br>თხუნელა (talpa) – 2. გონებრივად შეზღუდული; |

ამ ჯგუფში წარმოდგენილია 4 ლექსემა და აქაც ნიშანი “რეალიზაციაა” წარმოდგენილი ყველაზე ჭარბად.

**თემატური ჯგუფი „მოლუსკები“** წარმოდგენილია ოთხი ლექსემით: ლოკოკინა, მიდია, რვაფეხა, ხამანწკა.

**lumaca – ლოკოკინა: camminare come le lumache** ლოკოკინასავით სიარული, ძალიან ნელა.

**cozza – მიდია;** (ცენტრ. და სამხრეთ იტალიაში) უშნო გოგო.

**piovra** – რვაფეხა: დაუნდობელი ადამიანი; ის, ვინც არ მოეშვება თავის მსხვერპლს, სანამ ბოლომდე არ გამოიყენებს და არ გაანადგურებს.

**ostrica** – ხამანწკა: 1. **Stare attaccato a qlcu. o a qlco. come l’ostrica allo scoglio**, რაღაცაზე ან ვიღაცაზე ხამანწკასავით მიწებებული, აბეზარი; 2. **chiudersi come ostrica** – ხამანწკასავით ჩაკეტვა.

<table>
<tr><td>მოლუსკი → ადამ. რეალ.<br>ლოკოკინასავით (come le lumache) –ნელი;</td><td rowspan="2">მოლუსკი →ადამ. სუბ.ფსიქ. რეალ.<br>ხამანწკასავით (come l’ostrica) - 2. ჩაკეტილი<br>ხამანწკასავით (come l’ostrica) - 1. აბეზარი;<br>რვაფეხა (piovra) - დაუნდობელი;</td></tr>
<tr><td>მოლუსკი → ადამ. მდედ. ფიზ. ფორმ. გარეგ.<br>მიდია (cozza) – უშნო გოგო;</td></tr>
</table>

**თემატური ჯგუფი „უმარტივესნი“** წარმოდგენილია ერთი წევრით:

**ameba – ამება:** ადამიანი – არსება, რომელსაც არ გააჩნია თავისი პიროვნულობა.

| |
|---|
| **უმარტ.→ადამ. სუბ. ფსიქ. რეალ.**<br>ამება (ameba) – პრიმიტივი ადამიანი |

**თემატური ჯგუფი „კიბოსნაირნი“** წარმოდგენილია ერთი წევრით:

**gambero – კიბორჩხალა: Rosso come un gambero** – კიბორჩხალასავით წითელი; **Fare come i gamberi** – კიბორჩხალასავით სიარული უკან-უკან.

| |
|---|
| **კიბოსნაირნი→ადამ. ფიზ. ფერი**<br>**Rosso come un gambero** – წითელი |
| **კიბოსნაირნი→ადამ. რეალ.**<br>უკან-უკან სიარული |

**თემატური ჯგუფი „ამფიბიები“** წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ერთეულით

**rospo – გომბეშო:** 1. ძალიან უშნო გარეგნობის ადამიანი 2. აგრესიული, უკარება ადამიანი, რომელთანაც რთულია ურთიერთობა;

| | |
|---|---|
| **ამფიბია →ადამ. ფიზ. გარეგნ.**<br>გომბეშო – 1. უშნო | **ამფიბია →ადამ. სუბ. ფსიქოლ. რეალ.**<br>გომბეშო – 2. უკარება |

**თემატური ჯგუფი „ზღვის ძუძუმწოვრები“** წარმოდგენილია ერთი ერთეულით:

**balena** – ვეშაპი: მსუქანი, გათქვირებული ქალი.

| |
|---|
| **ზღვის ძუძუმწ. →ადამ. მდედრ.ფიზ.**<br>ვეშაპი – მსუქანი ქალი |

რაც შეეხება ცხოველთა სხეულის ნაწილებს, მხატვრულად გადააზრებულია ეშვი (zanna), კუდი (coda), ფრთები (ali), ბიბილო (cresta), სახე (muso), დინგი (grugno), ხახა (fauci), ნისკარტი (becco), ანტენები (antenne), თათები (zampe), კლანჭები (artigli), ბრჭყალები (grinfie), საცეცები (tentacoli), ზღარბის ეკალი ან ფუტკრის ნესტარი (aculeo), ენა (lingua), ხორთუმი (proboscide). ამ ლექსემებიდან ზოგიერთი, მაგალითად, კუდი, ბიბილო, ფრთები წარმოდგენილია მხოლოდ ფრაზეოლოგიური ერთეულების შემადგენლობაში;

**zanna** (ეშვი) – 1. ადამიანის გრძელი და დიდი კბილი, 2. შედის ფრაზეოლოგიური ერთეულების შემადგენლობაში, მაგალითად, **dar di zanne, affondare le zanne** – კბილების ჩასობა; **mostrare le zanne a qualcuno** – „ვინმეს ეშვები დაანახო" – ვინმეს დაემუქრო.

**coda** (კუდი) – **coda di cavallo**. ეს ლექსემა გვხვდება ბევრი ფრაზეოლოგიური ერთეულის შემადგენლობაში.

**muso** – აღნიშნავს ცხოველის სახეს (ძაღლის, ვირის, ცხვრის, ასევე ვირთხისა და თაგვის).

**grugno** – დინგი – ღორის დინგი და (გადატ.) ადამიანის ცხვირი.

**criniera** – ფაფარი, ადამიანის შესახებ: ის, ვისაც აქვს ხშირი, გაშლილი, შესაძლოა, ცოტა მოუწესრიგებელი თმა.

**zampe (zampa)** – თათები – ადამიანის დიდი და მოუხეშავი ხელები და ფეხები.

**artigli (artiglio)** – კლანჭები, ადამიანთან მიმართებაში ეს არის ხარბი, სასტიკი ადამიანის ხელი (**gli artigli dell'assassino** – მკვლელის კლანჭები)

**grinfie (grinfia)** – ბრჭყალები, – **cadere nelle grinfie di un usuraio** – მევახშის კლანჭებში აღმოჩენა.

**fauci** – ხახა – ჩვეულებრივ მტაცებელი ცხოველის, შესაბამისად, შესაძლებელია მევახშის ხახაში აღმოჩენა.

**becco** – ფრინველების ნისკარტი; იტყვიან ადამიანის პირზე ხუმრობით ან უარყოფით კონტექსტში;

**tentacoli (tentacolo)** – საცეცები – რაც გააჩნიათ პოლიპებს. იხმარება ისეთ ადამიანთან მიმართებაში, რომელიც ცდილობს თავისი მსხვერპლის გამოჭერას ან იცავს თავის ტერიტორიას. I **tentacoli della camora, della mafia** – მაფიის საცეცები.

**antenne** – მწერების ანტენები, რომლითაც ყნოსავენ და შეიგრძნობენ; „ანტენები აქვს" იმ ადამიანს, რომელიც ყურადღებიანია და ინტუიციაც გააჩნია.

**la lingua biforcuta** – ორკაპა ენა დამახასიათებელი ზოგი რეპტილიისათვის, ადამიანებთან მიმართებაში – ის ვინც მატყუარაა და „შხამიანი".

**proboscide** – სპილოს ხორთუმი, რომელსაც ხმარობს ჩასაჭიდებლად და რომლის ბოლოში მოთავსებულია ნესტოები; ადამიანთან მიმართებაში აღნიშნავს გრძელ ცხვირს.

მაშასადამე:

| **ცხოველის სხეულის ნაწილი →ადამიანის სხეულის ნაწილი. ფიზ.თვისებ./ფორმა** |
|---|
| ეშვი (zanna)- 1. დიდი კბილი, ღოჯი<br>ცხოველის სახე (muso) – ხუმრ. ან აგდებ. ადამიანის სახე<br>დინგი (grugno) - დიდი ცხვირი<br>ხორთუმი (proboscide) - დიდი ცხვირი<br>თათები (zampe) - დიდი ხელები<br>ფაფარი (criniera) - ხშირი და გაშლილი თმა<br>ცხენის კუდი (coda di cavallo) - კუდი (ვარცხნილობის ტიპი) |
| **ცხოველის სხეულის ნაწილი →ადამიანის სხეულის ნაწილი. ფუნქც.** |

| |
|---|
| ეშვი 2. – ეშვების (კბილების) ჩასობა |
| ხახა (fauci) – ხახის (პირის) დაღება, დაფჩენა |
| ნისკარტი (becco) – ნისკარტის (პირის) გაღება |
| ანტენები (antenne) - ანტენებით შეგრძნება |
| კლანჭები (artigli) – კლანჭებში (ხელში) ჩაგდება |
| ბრჭყალები (grinfie) – ბრჭყალებში (ხელში) ჩაგდება |
| ენა (lingua biforcuta) - ენით დაგესვლა |
| **ცხოველის სხეულის ნაწილი → ადამ. რეალ.** |
| საცეცები (tentacoli) - საცეცებით მოსინჯვა |

**ცხოველის, ფრინველის ან მწერის საცხოვრისი:**

ფარეხი, საცხვარე (**l'ovile**); ბუდე (**nido**), სორო (**tana**), სორო, ბუნაგი (**covo**), საქათმე (**pollaio**), თავლა, საჯინიბო (**stalla**), საღორე (**porcile**), ძაღლის საგები (**cuccia**), თაგვის სორო (**topaia**), სკა (**alveare**), ჭიანჭველების ბუდე (**formicaio**), სამტრედე (**piccionaia**), კრაზანების ბუდე (**vespaio**), ჭიის პარკი (**bozzolo**), აბლაბუდა, ობობას ქსელი (**ragnatela, tela del ragno**).

**ovile** – ფარეხი, საცხვარე; გადატანითი მნიშვნელობით ადამიანის საცხოვრისსაც ნიშნავს: **tornare, ricondurre all'ovile** – დაუბრუნდე საცხოვრისს, ყოველდღიურობას;

**nido** – ბუდე, 1. საკუთარი სახლი, სადაც ადამიანი დაიბადა ან აქვს ოჯახი;

2. **nido di vipere** – „გველების ბუდე“ – ცბიერი და ბოროტი ადამიანების თავშესაფარი, ბუნაგი;

**tana** - სორო, გადატ. მნიშვნელობითაც: **vive in periferia, in una tana vecchia e sporca** - ცხოვრობს გარეუბანში, ძველ და ჭუჭყიან სოროში;

**covo** - სორო, ბუნაგი, **covo della lepre** - კურდღლის სორო, **della volpe** - მელიის სორო; ადამიანების თავშეყრის ადგილი, თავშესაფარი, სამალავი, რომლებიც აკრძალულ საქმიანობას ეწევიან; მაგალითად, ქურდების ბუნაგი;

**pollaio** - საქათმე, გადატ. ჭუჭყიანი, არეული და ხმაურიანი ადგილი;

**stalla** - თავლა, საჯინიბო, გადატ. ჭუჭყიანი, ბინძური ადგილი.

**porcile** - საღორე,გადატ. – ძალიან ბინძური ადგილი;

**cuccia** - ძაღლის საგები, გადატ. - ადამიანის საწოლი; **andre, stare a cuccia** - დასაძინებლად წასვლა.

**topaia** - თაგვის სორო, გადატ. ცუდ მდგომარეობაში მყოფი სახლი ან ოთახი.

**alveare** - **ska, gli alveari periferici delle città moderne** - თანამედროვე ქალაქის პერიფერიაში არსებული ადამიანების საცხოვრებელი ბინები დიდ კორპუსებში; **formicaio** - ჭიანჭველების ბუდე, გადატ. მნიშვნელობით კი ძალიან ხალხმრავალი ადგილი;

**piccionaia** – 1. სამტრედე, 2. სხვენი, მანსარდა.

| **ცხოველის, ფრინველის, მწერის საცხოვრისი →ადამ.საცხოვრებელი/ ზოგადად ადგილი. ფიზ. ფუნქც.** |
|---|
| ფარეხი (ovile) - ადამიანის საცხოვრებელი; (ნეიტრ. კონოტაცია) |
| ბუდე (nido) 1. ადამიანის საცხოვრებელი; 2. ნido di vespe – ცბიერი ადამიანების თავშესაფარი; |
| სორო (tana) - ადამიანის ძველი და ჭუჭყიანი საცხოვრებელი; |
| ბუნაგი (covo) – რაიმე ტიპის დამნაშავეთა ბუნაგი; |
| საქათმე (pollaio) - ჭუჭყიანი, არეული ადგილი; |
| თავლა, საჯინიბო (stalla) - ჭუჭყიანი, ბინძური ადგილი; |
| საღორე (porcile) - ძალიან ბინძური ადგილი; |
| ძაღლის დასაგები (cuccia) - ადამიანის საწოლი; |
| თაგვის სორო (topaia) - ძველი და ცუდი სახლი ან ოთახი; |
| სკა (alveare)- დიდ კორპუსებში მდებარე ბევრი და პატარა საცხოვრებელი ბინა; |
| ჭიანჭველების ბუდე (formicaio) - ძალიან ხალხმრავალი ადგილი; |
| სამტრედე (piccionaia) - სხვენი, მანსარდა. |

**დასკვნა**

ზოგადად ზოონიმები მეტაფორული ნომინაციის უშრეტი წყაროა. წინამდებარე ანალიზში წარმოდგენილია იტალიურ ენაში არსებული მეტაფორული ზოონიმების თორმეტი თემატური ჯგუფი: „მწერები" (25), „გარეული ცხოველები" (19), „შინაური ცხოველები" (18), „გარეული ფრინველები" (17), „შინაური ფრინველები" (7), „თევზები" (6), „მოლუსკები" (4), „ქვეწარმავლები" (4), „მღრღნელები" (4), „ზღვის ძუძუმწოვრები" (1), „უმერტივესნი" (1), „ამფიბიები" (1), ზოონიმებთან დაკავშირებული კიდევ ორი ჯგუფი: „ცხოველების, ფრინველებისა და მწერების სხეულის ნაწილები" (18 ერთეული) და „ცხოველების, ფრინველების ან მწერების საცხოვრისი" (12 ერთეული). მეტაფორის ანალიზი განხორციელდა დომინანტური მახასიათებლების გამოვლენით (მაგ., სუბიექტურ-ფსიქოლოგიური, რეალიზაციური და სხვ.); ზოგადად,მეტაფორის დომინანტური მახასიათებლების გამოვლენა, მათი ანალიზი და კლასიფიკაცია კი საფუძვლად უდევს მეტაფორული მოდელების, ანუ პარადიგმების გამოვლენას, ვინაიდან გამოხატავენ იმას, თუ რა სტრუქტურული ორგანიზაცია აქვს მოცემული ლინგვოკულტურული სივრცის კონკრეტულ (ჩვენ შემთხვევაში ზოონიმების და მათთან დაკავშირებული ლექსემების) მეტაფორულ ფრაგმენტს. კვლევამ გვიჩვენა, რომ უშუალოდ ზოონიმებთან მიმართებაში საერთო სურათში ჭარბობს მეტაფორიზაციის დომინანტური მახასიათებელი „სუბიექტურ-ფსიქოლოგიურს" + „რეალიზაციური" (ქცევა). დარჩენილ ორ ჯგუში („ცხოველების, ფრინველებისა და მწერების სხეულის ნაწილები", „ცხოველების, ფრინველების ან მწერების საცხოვრისი") დომინანტურია „ფიზიკური" და „ფუნქციური" მახასიათებლები; როგორც ანალიზმა გვიჩვენა, მეტაფორების დიდი უმრავლესობა აქსიოლოგიურად პეიორატიული ხასიათით გამოირჩევა.

**ლიტერატურა**


1. Лагута О. Н. (2003): Метафорология: Теоретические аспекты. Часть 2. Новосибирск.
2. Опарина Е. О. Лингвокультурология: методологические основания и базовые понятия. http://www.classes.ru/grammar/140.Oparina/source/worddocuments/_3.htm
3. Телия В.Н. (1999): Фразеология в контексте культуры. «Языки русской культуры». Москва.
4. Vocabolario della Lingua Italiana di Nicola Zingarelli. (2011) Zanichelli.
5. Stefancich G. (2000) Tracce di animali nell'italiano. Bonacci.Roma.
6. Treccani.http://www.treccani.it/vocabolario/
7. ქეგლი. რვატომეული. თბილისი.


## Cultural Connotation of the Names of Animals in Italian


*Maia Javakhidze*
*Tbilisi State University*
*Humanitarian sciences faculty*
*36 Ilia Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia*
*Tel.:599 104 315*
E-mail: maiajava@yahoo.com



**Abstract**

Names of the animals are very important source of metaphors in languages. In present article is presented the analyses of 12 groups of animals in Italian language: „insets" (25), „beasts" (19), „domestic animals" (18), „birds of pray" (17), „poultry" (7), „fish" (6), „mollusks" (4), „reptiles" (4), „gnawing animals" (4), „sea mammals" (1), „unicellular organism" (1), „amphibian" (1) as well as „animals, birds and insets bodies parts" and their habitation. Majority of the metaphors have negative connotations. The identification of the metapfor dominant characterization" gives the possibility for identifica-

tion of metaphoric paradigms which can be presented as metaphor pattern and interpreted in linguistic as well as in cultural aspect.

**Keywords:**

Methaphor, zoonims, lingvoculture, cultural concept.

## О культурных коннотациях зоонимов и связанной с ними лексики в итальянском языке

*Джавахидзе Майя Анзоровна*
*Тбилисский государственный университет*
*Факультет гуманитарных наук*
*Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия*
*Тел.: 599 104 315*
E-mail: maiajava@yahoo.com

**Резюме**

В статье рассмотрены 12 тематических групп метафорических зоонимов, существующих в итальянском языке: "Насекомые" (25), "дикие звери" (19), "домашние животные" (18), "дикие птицы" (17), "домашние птицы" (7), "рыбы" (6), "молюски" (4), "пресмыкающие" (4), "грызуны" (4), "морские млекопитающие" (1), "простейшие" (1), "амфибии" (1). А также еще две группы, связанные с зоонимами: "части тела зверей, птиц и насекомых" (14), и "место жилья зверей, птиц и насекомых" (12 единиц).

Анализ метафор осуществлен путем доминантных показателей, что является основой выявления метафорических моделей. т. е. парадигмов.

**Ключевые слова:**

метафора, зооним, лингвокультурология, культурный концепт.

# ინტერტექსტუალობის კონცეპტი ბორის აკუნინის დეტექტიურ რომანებში

*თამარ ჯაფოშვილი*
*საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი*
*ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*
*ი.ჭავჭავაძის გამზირი, №53, თბილისი, საქართველო*
*ტელ: 577 111 728*
E-mail: tamunajap@gmail.com

**რეზიუმე**

დეტექტიური რომანი მკითხველში ყოველთვის წარმატებით სარგებლობდა. ბორის აკუნინის დეტექტიურმა რომანებმა სამართლიანად დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილი ჩვენი ქვეყნის ლიტერატურულ ასპარეზზე, ისინი აქტიურად ითარგმნება სხვადასხვა ენაზე. აკუნინის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ინტერტექსტუალობის საკითხებს. ჩვენი კვლევის საგანია ბორის აკუნინის დეტექტიურ რომანებში ინტერტექსტუალური ჩანართების შესაძლო რეალიზაციის მეთოდები, კონცეპტის ინტერტექსტუალობის მნიშვნელობის განსაზღვრა აკუნინის დეტექტიურ რომანებში.

**საკვანძო სიტყვები:**

აკუნინი, ინტერტექსტუალობა, კონცეპტი, ტექსტი ტექსტში, ისტორიოგრაფიული მეტაპროზა, დისკურსი, ალუზია.

**შესავალი**

აკუნინის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ინტერტექსტუალობის საკითხებს, როგორც მკითხველის ყურადღების აქცენტირების მეთოდს, ის აყალიბებს ნაწარმოების აღქმას და ხელს უწყობს მკითხველთა აქტივიზაციას. ინტერტექსტის ფიგურებს ავტორის წინაშე მდგარი კომუნიკაციური ამოცანების გადაწყვეტის მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია.

ურთიერთობის ეფექტურობისა და პროდუქტიულობის ასამაღლებლად, მრავალი საუკუნის განმავლობაში, ენაში გამომუშავებულია და განვითარებას აგრძელებს ერთეულთა მთელი სისტემა, რომელთაც ჩვენ შევისწავლით როგორც განსაკუთრებულ დამხმარე კომუნიკაციურ ერთეულებს. ეს ერთეულები წარმოშობის მიხედვით მრავალგვარია - მორფოლოგიური თუ სინტაქსური, მაგრამ ისინი ადრესატს ეხმარებიან გამონათქვამებისა და აგებული დისკურსების ადეკვატურად აღქმაში. ასევე, ეს ერთეულები მონაწილეობას იღებენ დისკურსის ორგანიზებაში - შეკავშირებულად, ლოგიკურად და თანმიმდევრულად მის ჩამოყალიბებაში, გამონათქვამთა პირდაპირი და დაფარული აზრის ინტერპრეტაციისას, ერთეულები ზოგავენ კომუნიკანტთა ინტელექტუალურ ძალებს, ქმნიან უფრო ადეკვატური ურთიერთგაგების შესაძლებლობას და კომუნიკანტებს ეხმარებიან საკუთარი მიზნების სწრაფად და ეფექტურად მიღწევაში. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ თემაზე საკმაოდაა კვლევები, "ინტერტექსტის" გაგება მაინც არაერთმნიშვნელოვანია. ის, მინიმუმ, ორი სამეცნიერო პარადიგმის ჩარჩოებში მოიაზრება: ფართო, ეგრეთ წოდებული რადიკალური კონცეფციის (ი. კრისტელა, მ. ბახტინი, ჟ. დერიდა, ჟ. ჟენეტი და სხვები) და ვიწრო, როცა ინტერტექსტის გაგება დაიყვანება ტექსტ-რეციპიენტსა და ტექსტ-დონორს შორის ასოციაციურ კავშირთა შეგნებულ გამოყენებამდე (ი. არნოლდი, ვ. ჩერნიშევსკაია,უ. ეკო,მ. პფლიტერი და სხვები). თუკი განვიხილავთ ინერტექსტუალობის საშუალებებს, ინტერტექსტის ფიგურებს, მათ ურთიერთობას სხვა ფიგურებთან, ვნახ-

ავთ, რომ სხვადასხვა მკვლევართა შეხედულებები უფრო მეტად არ ემთხვევა ერთმანეთს. ავტორთა უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ ტერმინი "ინტერტექსტუალობა მისი შინაარსის უკიდურესი გაურკვევლობისა და ბუნდოვანების გამო, რთული გამოსაყენებელია".

ვ.მოსკვინი ამგვარ "ბუნდოვანებასა და გაურკვევლობას" ორი მიზეზით ხსნის: პირველი მდგომარეობს იმაში, რომ ინტერტექსტი ხშირად აღიქმება როგორც ელემენტარული, დაუნაწევრებელი მოვლენა. თუმცა, ყურადღებით შესწავლისას შეიძლება დავასკვნათ, რომ ინტერტექსტის კატეგორია წარმოდგენილია ქვეტიპთა გვერდით. მეორე მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ სხვისი მეტყველების გამოყენების (ინტერტექსტის ფიგურები) ხერხების ამომწურავი დეფინიცია დღემდე არაა მოცემული. მაგალითად, გამონათქვამი "ციტირება დამოწმების გარეშე" შეიძლება გავიგოთ, როგორც აპლიკაცია, ან ალუზია. ინტერტექსტუალობის სამეცნიერო გაგება თანამედროვე ენათმეცნიერების განვითარების შედეგია, თუმცა ინტერტექსტის ფენომენს შეიძლება შევხვდეთ მრავალსაუკუნოვან ტექსტებშიც. მიუხედავად იმისა, რომ "ტექსტი ტექსტში" შეიძლება აღმოჩნდეს კლასიკურ და ანტიკურ ლიტერატურაშიც, ტერმინი "ინტერტექსტუალობა" შემოიღო ენისა და ლიტერატურის ფრანგმა მკვლევარმა იულია კრისტევამ 1967 წ. აპრილში, მ.ბახტინის იდეათა გააზრებასა და განვითარებაზე მიძღვნილ სტატიაში "პოეტიკის განადგურება" (ჟურნალი "Critique").

**ძირითადი ნაწილი**

ფილოლოგიური მეცნიერებისათვის მოვლენა – „ტექსტი ტექსტში" განსაკუთრებით საინტერესოა, იგი შეისწავლის ტექსტს მხატვრული და ესთეტიკური კუთხიდან დაწყებული, არგუმენტირებული, დამაჯერებელი მეტყველების ფორმის ფუნქციური შესაძლებლობებით დამთავრებული, მაგრამ ინტერტექსტუალობის შესწავლის პროცესში თავს იჩენს უამრავი კითხვა, რომლებზეც მეცნიერებს ან ერთმანეთის საწინააღმდეგო პასუხები აქვთ, ან საერთოდ არ პასუხობენ. დღემდე არ არსებობს ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ინტერტექსტუალობის ფენომენად, რას შეიძლება მივაკუთვნოთ მოვლენა, რომელიც განაპირობებს ტექსტში მსგავსი ტექსტის გაჩენას. (მაგალითად, ღირს თუ არა, განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ტექსტობრივი და ისტორიული ალუზია; შესაძლებელია თუ არა ინტერტექსტის ფიგურად ჩაითვალოს „ინტერტექსტ-შინაარსი" და ა.შ.). უფრო მეტიც, წამოიჭრება კითხვა: შესაძლებელია თუ არა, შევისწავლოთ „ტექსტი ტექსტში" იმის გათვალისწინების გარეშე, თუ რას მივიჩნევთ ჩვენ „ტექსტად", ვინაიდან, ინტერტექსტუალობისა და ტექსტის ფენომენიც სხვადასხვა მეცნიერთა მიერ, სხვადასხვაგვარადაა ახსნილი.

უფრო მეტი კითხვა ჩნდება, თუ ინტერტექსტუალობას განვიხილავთ არა მხოლოდ თეორიული თვალსაზრისით, არამედ პრაქტიკულად, „ცხოვრებაში ჩაძირვისას", ანუ თემატური დისკურსის ჩარჩოებში. ამასთან ერთად, შესაძლებელია ჩავთვალოთ, რომ სხვადასხვა ტიპის დისკურსში ტექსტსა და ინტერტექსტს შესაძლებელია ჰქონდეთ სრულიად განსხვავებული განმსაზღვრელი კრიტერიუმები,არაერთგვაროვანი თვისებები და მათთან დაკავშირებული კატეგორიები. მხოლოდ ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას შეგვიძლია უფრო დეტალურად განვიხილოთ ინტერტექსტის თითოეული ფიგურა, გავაანალიზოთ მისი ფუნქციური შესაძლებლობები და ამოსახსნელი კომუნიკაციური ამოცანები. მოცემული ფაქტის გათვალისწინებით, ჩვენ უნდა განვსაზღვროთ ზემოაღნიშნული მცნებები და მათი ფუნქციონირების თავისებურებები იმ ასპექტთა ფარგლებში, რომლებიც ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს.

პასუხი კითხვაზე, თუ რას შეიძლება ვუწოდოთ ტექსტი, ფილოლოგიურ მეცნიერებაში დღემდე არაერთგვაროვანია. ტექსტის გაგება მერყეობს საკმაოდ ფართო ჩარჩოში: ერთსიტყვიანი გამონათქვამიდან ან სიმბოლოდან, კომენტარებიან და სათაურიან წიგნამდე. ამასთან, სამეტყველო მონაკვეთის ტექსტისთვის მიკუთვნების საკითხი არ შემოიფარგლება მხოლოდ მისი განფენილობით ან სათაურის ქონა-არქონით. ტექსტის თეორიაზე სხვადასხვა აზრის მიხედვით არსებობს ისეთი კრიტერიუმები, რომელთა გათვალისწინებითაც მკვლევრები სამეტყველო მონაკვეთს მიაკუთვნებენ ტექსტს: წერილობითი ფორმა, დასრულებულობა, ინფორმაციულობა, ინტერტექსტუალური კავშირების პრაგმატული განწყობა, ლექსიკური და გრამატიკული გამართულობა და სხვა. თუმცა, ჩვენი ხედვით, ტექსტის ყველა ეს ნიშანი დამახასიათებელია ე.წ. იდეალური ტექსტისთვის, პრაქტიკაში კი ისინი შეიძლება მერყეობდეს ტექსტის ფუნქციონირების სოციოლინგვისტური შეპირობებით. სწორედ ამიტომ, დღეს არ არსებობს ტექსტის აღიარებული დეფინიცია და ვერ თანხმდებიან ტექსტური კატეგორიის განსაზღვრებაზე. შესაბამისად, კონკრეტული ინსტიტუციონალური დისკურსის ფარგლებში შეგვიძლია ვისაუბროთ ტექსტების თავისებურებებსა და არადამახასიათებელ ნიშნებზე, როცა ტექსტუალობის ასე თუ ისე რეალიზებული კრიტერიუმების ნაკრები შეიძლება იყოს არაერთგვაროვანი. ნათქვამის კონტექსტიდან გამომდინარე, შევეცდებით განვიხილოთ ტექსტის თავისებურებანი დეტექტიური რომანის პრიზმაში.

ინტერტექსტუალური ჩანართების მნიშვნელობის განსაზღვრისას შეუძლებელია არ შევეხოთ ტერმინ „დისკურსს". მან მყარად მოიკიდა ფეხი თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პარადიგმაში და გამოიყენება არა მარტო კონკრეტულად ლინგვისტურ, არამედ ფილოსოფიურ, ლიტმცოდნეობით, ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ და პოლიტოლოგიურ კვლევებში. მისი გამოყენების ასეთი მასშტაბურობა განაპირობა, პირველ რიგში, ამ ტერმინის განმარტების არაერთმნიშვნელოვნებამ.

თანამედროვე ლინგვისტიკაში დისკურსი ხშირად აიხსნება, როგორც „მოვლენის ასპექტში აღებული ტექსტი", ყურადღება მახვილდება ურთიერთობაზე. ბევრი მკვლევარი (ვ.დემიანკოვი, გ. სლიშკინი, ტ. მილევსკაია, ე. ჩერნიავსკაია და სხვები) დისკურსის განსაზღვრისას აღნიშნავს მის ეთნოსპეციფიკურობას – ეროვნულ მენტალიტეტთან და კულტურასთან კავშირს.

ზოგი ლინგვისტი (ა. კიბრიკი,ვ. კრასნიხი...) ხაზს უსვამს დისკურსის ორბუნებოვნებას, რამეთუ იგი თავის თავში მოიცავს სამეტყველო-აზროვნებითი მოღვაწეობის პროცესსაც და მის შედეგსაც. თავის მხრივ, ე. კუბრიაკოვა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ „დისკურსში უნდა ვიგულისხმოთ სწორედ კოგნიტური პროცესი, რომელიც დაკავშირებულია რეალურ სიტყვათწარმოებასთან-სიტყვიერი ნაწარმოების შექმნასთან, ტექსტი კი წარმოადგენს სამეტყველო მოღვაწეობის პროცესის საბოლოო შედეგს, რომელიც გადმოიღვრება გარკვეულ დასრულებულ (და დაფიქსირებულ) ფორმად". მკითხველი, შეიცნობს რა რეალურ სამყაროს, როგორც მრავალზომიანს, გადალახავს მის სივრცით-დროულ ჩარჩოებს და იძირება ერთ-ერთ „შესაძლებელ სამყაროში". ინტერტექსტუალობა დამახასიათებელია ნებისმიერი ტიპის დისკურსისთვის, ზოგიერთი მათგანისთვის კი, მათ შორის დეტექტიური ჟანრისთვის, ის ხდება დისკურსის წარმომქმნელი.

ტერმინი „ინტერტექსტუალობა" ლინგვისტიკაში შემოიტანა იულია კრისტევამ 1967 წელს. მან განავითარა მ.ბახტინის იდეები მხატვრული სიტყვის დიალოგურობაზე. მისი განმარტებით, „ნებისმიერი ტექსტი იგება, როგორც ციტაციის მოზაიკა, ნებისმიერი ტექსტი - ესაა რომელიმე სხვა ტექსტის ტრანსფორმაცია და შეწოვა". თავის მხრივ, რ. ბარტი წერდა: „ყოველი ტე-

ქსტი არის ძველი, ციტატებისგან ნაქსოვი ახალი ქსოვილი. კულტურული კოდების, ფორმულების, რიტმული სტრუქტურების ნაწყვეტები, სოციალურ იდიომათა ფრაგმენტები და ა.შ. - ესენი ყველა, ტექსტის მიერაა შეთვისებული და მასშია შერეული, რადგან ტექსტამდე და მის გარშემო ყოველთვის არსებობს ენა. როგორც ნებისმიერი ტექსტისთვის აუცილებელი წინაპირობა, ინტერტექსტუალობა არ დაიყვანება წყაროებისა და გავლენის პრობლემამდე; ის წარმოადგენს ანონიმურ ფორმულათა საერთო ველს, მათი წარმომავლობის დადგენა იშვიათადაა შესაძლებელი, ესაა უბრჭყალებოდ მოცემული შეუცნობელი ან ავტომატური ციტატა...”

თანამედროვე კვლევებში ინტერტექსტუალობა, როგორც ტექსტებს შორის ურთიერთქმედების თეორია, განიხილება ორგვარად: ფართოდ (ინტერტექსტის ლიტმცოდნეობითი კონცეფცია) და ვიწროდ (ინტერტექსტის ლინგვისტური კონცეფცია). ფართო მოდელის შესაბამისად, ყოველი ტექსტი განიხილება, როგორც ინტერტექსტი, ე. ი. იმ უნივერსალური ტექსტის ნაწილი, რომელზეც ის მთლიანადაა დამოკიდებული. ინტერტექსტუალობის ვიწრო მოდელი ფოკუსირებულია ტექსტთაშორისი კავშირების ცნობიერი და მარკირებული გამოყენების კვლევაზე.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა პოსტმოდერნიზმმა, რომელიც რუსეთში უფრო გვიან განვითარდა, ვიდრე ევროპასა და ამერიკაში. რუსული, ევროპული და ამერიკული პოსტმოდერნისტული ლიტერატურის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ე.წ. პოსტმოდერნის დეტექტიური რომანები ისტორიულ თემატიკაზე. XX საუკუნის 90-იან წლებში რუსულ ლიტერატურაში პირველად გამოჩნდა რუსეთის ისტორიისადმი მიძღვნილი დეტექტიური რომანები.

ბორის აკუნინის ისტორიულ თემატიკაზე შექმნილი დეტექტიური რომანები ავსებს ევროპულ და ამერიკულ პოსტმოდერნისტულ წარსულისაკენ მიბრუნების აქტუალურ ლიტერატურულ ტენდენციას. თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფიული მეტაპროზის მაგალითია, ნაწილობრივ, ბორის აკუნინის „ფანდორინის ციკლი”. ამ ციკლის რომანებისთვისაც, როგორც თანამედროვე ევროპული და ამერიკული ისტორიოგრაფიული მეტარომანებისთვის, დამახასიათებელია დაუმტკიცებელი და მრავალვარიანტიანი ისტორიის აღქმის შენარჩუნება. XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისის ისტორიოგრაფიული მეტარომანი განზე დგას ტექსტის პოსტმოდერნისტული ორგანიზაციის პრინციპებისაგან, რადგან ისიც განიცდის XX-XXI საუკუნის მიჯნაზე მსოფლიოში კულტურული სიტუაციისთვის დამახასიათებელ, ე. წ. „მასიზაციის პროცესის“ წნეხს. სწორედ ამ პროცესმა მოიტანა თანამედროვე მხატვრული სიტყვის ტენდენცია და ნაწილობრივ, ბორის აკუნინის ისტორიულ თემატიკაზე შექმნილი რომანები გახდა ხელმისაწვდომი, ანუ მკითხველთა ფართო წრეებისთვის ადვილად აღსაქმელი და გასაგები.

ბორის აკუნინის რომანების ინტერტექსტუალური სივრცე მოიცავს – დოსტოევსკის რომანებს: „იდიოტი“, „დანაშაული და სასჯელი”, „ძმები კარამაზოვები”; გოგოლის „რევიზორს” და „მკვდარ სულებს”; XIX საუკუნის ლირიკულ პოეზიას... ასეთი ფართო ალუზიურობა, რემინისცენციები აქტუალურს ხდის XIX საუკუნის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ჩატეულ მოვლენათა ისტორიულ ნამდვილობას. აკუნინის რომანების ტექსტების ინტერტექსტუალობა ხასიათდება და დაფუძნებულია ევროპულ ლიტერატურულ ტრადიციებთან ასოციაციურ კავშირებზე. ერასტ ფანდორინი შეიძლება აღვიქვათ, როგორც სინთეზი კოგნიტიურ-სემანტიკური კომპონენტებისა შერლოკ ჰოლმსის, ვილჰელმ ბასკერვილელის, პრინც ფლორიზელის სახეებისა. რომან „კორონა-

ციაში" მსახურთუფროსის დღიური, მემუარული ჟანრის ნიშნების მატარებელი, ასოციაციურ კავშირშია კ. ისიგუროს რომანთან „დღის მონარჩენი". ერასტ ფანდორინის შესახებ რომანების ინტერტექსტუალობა უპირატესად ექსპლიციტურია (განსაზღვრული, არაორაზროვანი), რაც შესაძლებელს ხდის გამოვიყენოთ ალუზიები და რემინისცენციები ავტორის ფილოლოგიური რებუსების ამოსახსნელად. ბორის აკუნინთან ინტერტექსტუალობა თავის ზეამოცანას ასევე წარმატებით ხსნის: ავტორი მკითხველთა ყურადღებას ამახვილებს უდიდეს რუსულ კლასიკურ ლიტერატურაზე ზედმეტი მორალის გარეშე, თან აღვიძებს ინტერესს რუსეთის ისტორიისა და კულტურისადმი, ფანდორინის მოსაზრებები რუსული სახელმწიფოებრიობის თვითმყოფადობაზე, ერზე, დემოკრატიაზე, ლიბერალიზმზე მხატვრულ ტექსტებს აქტუალობას ანიჭებს.

ბორის აკუნინის რომანებში ინტერტექსტუალობა მხატვრული ტექსტის კოგნიტურსემანტიკურ პოტენციალს აღრმავებს, მრავალმხრივ ხორცს ასხამს სიუჟეტწარმომქმნელ და კომპოზიციურ ფუნქციებს, რითაც ის ხდება საავტორო-ინდივიდუალური სამყაროს სურათისა და მწერლის ტექსტების კონცეპტოსფეროების ორგანიზაციის დომინანტური საშუალება.

**დასკვნა**

პოსტმოდერნისტული დეტექტიური რომანის შესწავლამ გვიჩვენა, რომ XX საუკუნის ბოლო მესამედიდან დღემდე მიმდინარეობს მისი თანდათანობითი განვითარება. ბორის აკუნინი აღადგენს XIX საუკუნის რუსული საზოგადოებრივი ცხოვრების სურათებს – ესაა ალუზია დიდი რუსი მწერლების შემოქმედებიდან,რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რუსული საზოგადოების სხვადასხვა ფენის ცხოვრების, მათი მსოფლმხედველობის, ყოფის, ტრადიციების, რუსული ინტელიგენციის ცხოვრების წესის აღწერას.

დეტექტიური რომანის ჟანრული თავისებურებები გულისხმობს მრავალ ინტეტექსტურ ჩანართს, რომლებშიც, როგორც წესი, მოიაზრება პრეცედენტული სახელები და გამონათქვამები. ისინი მკითხველს გზავნიან პრეცედენტულ ტექსტებთან, რომელიც განიხილება, როგორც გარკვეული კულტურისა და ენის თავისებურებათა არეკვლის ერთ-ერთი საშუალება. იგი კულტურათშორისი და ენათშორისი კომუნიკაციის ფარგლებში ხშირად გამოდის კულტურული ფონდის ლაკუნის როლში და მიუთითებს, რომ „არ არის თანხვედრა ცოდნის იმ კომპლექსში (მარაგში), რომელსაც ფლობენ სხვადასხვა ლინგვოკულტურულ ერთობათა „ტიპური" წარმომადგენლები".

## ლიტერატურა


1. Акунин Б. Ф. М. (2016): Электрон. б-ка РусЛит. URL: http://www.ruslit.net/preview
2. Акунин Б. Ф. М. (2016): Электрон. б-ка РусЛит. URL: http://www.ruslit.net/preview
3. Арутюнова Н. Д. (1990): Дискурс // Лингвистический энциклопедический словарь. М.: Советская энциклопедия
4. Барт Р. (1989): Избранные работы. Семиотика. Поэтика. М.: Прогресс
5. Гришаева Л. В. (2008): Прецедентный текст как универсальное средство передачи и хранения культурной информации // Политическая лингвистика. № 1 (24)
6. Деррида Ж. Деконструкция: триалог в Иерусалиме / Ж. Деррида, Д. Хартман, В. Изер; [пер. с англ. В. Мерлина] [Электронный ресурс]. - Режим доступа: www.gumer.info/bogoslov_Buks/Philos/Derr/dekon.php.
7. Завьялова Г. А. (2013): Прецедентный текст как средство пародирования детективного дискурса // Вестн. Кемеровского гос. ун-та № 1 (53).
8. Ильин И. П. (1966): Постструктурализм. Деконструктивизм. Постмодернизм. - М.: Интрада

9. Кашкин В. Б. (2005): Сопоставительные исследования дискурса // Концептуальное пространство языка. Тамбов: ТГУ

10. Кемеров В. (1998)): Постмодернизм. // Философская энциклопедия. - М.: Панпринт [Электронный ресурс]. - Режим доступа: www.terme.ru/ dictionary/183/word/%CF%CE%D1%D2%CC%CE%C4%C5%D0%CD%C8%C7%CC.

11. Кибрик А. А. (2009): Модус, жанр и другие параметры классификации дискурсов. Вопросы языкознания. Вып. 2

12. Красных В.В. (1999): Структура коммуникации в свете лингвокогнитивного подхода (коммуникативный акт, дискурс, текст): автореф. дис. д-ра филол. наук: 10.02.19. М.

13. Кристева Ю. (2000): Бахтин, слово, диалог и роман // Французская семиотика: от структурализма к постструктурализму / пер. с франц., сост., вступ. ст. Г. К. Косикова. М.: Прогресс

14. Кубрякова Е. С. (1995): Эволюция лингвистических идей во второй половине XX века (опыт парадигмального анализа) // Язык и наука конца XX века. М.: Рос. гуманит. ун-т

## Концепт интертекстуальности в детективных романах

*Джапошвили Тамар Тамазовна*
*Грузинский университет им. Андрея Первозванного*
*Факультет гуманитарных наук*
*Пр. И. Чавчавадзе №*53а, *Тбилиси, Грузия*
*Тел*: *577 111 728*
E-mail : tamunajap@gmail.com

**Резюме**

Детективный роман всегда пользовался успехом у читателей. Детективные романы Акунина по праву заняли значимое место на литературном поприще в нашей стране, и активно переводятся на другие языки. Вопросы интертекстуальности в творчестве Акунина занимают особое место, поскольку являются методом акцентирования внимания читателя, формируют восприятие произведения и способствуют активизации читательского интереса. Фигуры интертекста имеют значимый потенциал для решения коммуникативных задач, стоящих перед автором. Предмет исследования - методы реализации возможностей интертекстуальных включений в детективных романах Б. Акунина

**Ключевые слова:**

Акунин, интертекстуальность, концепт, текст в тексте, историографическая метапроза, дискурс, аллюзия.

## The concept of Intertextuality in Detective Novels

*Tamar Japhoshvili*
*St. Andrei Pervozvanni's Georgian Uniiversity*
*Faculty of Humanities*
*53 a, I.Chavchavadze av, Tbilisi, Georgia*
*Tel: 577 111 728*
E-mail: tamunajap@gmail.com

**Resume**

A detective novel has always been a huge success with readers. Detective novels by B. Akunin took a significant place on the literary platform in our country, and actively translated into other languages. Intertextuality issues in the work of B. Akunin has a special place, because they are a method of focusing the attention of the reader, form the perception of the work and contribute to the activation of reader interest. The figures of the intertextuality have a significant potential for solving communicative problems facing the author.The subject of research is the methods of realizing the possibilities of intertextual inclusions in detective novels of B. Akunin.

**Keywords:**

Akunin, intertexstuality, texs in the text, historiographical metafiction, discourse, allusion.

# თარგმანი

# Translation

# Перевод

# დ. ლანგის მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი „ქართველი წმინდანების ცხოვრებათა და წამებათა კრებულის“ უ. ე. დ. ალენისეული რეცენზია ქართულ ენაზე

*სვეტლანა ბარბაქაძე*
*საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი*
*ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*
*ი.ჭავჭავაძისგამზ. 53 ა. თბილისი, საქართველო*
*ტელ: 57744374*
e-mail: s.barbaqadze@newton.edu.ge

**რეზიუმე**

1956 წ. ინგლისში გამოიცა ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგის დ. მ. ლანგის მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი „ქართველი წმინდანების ცხოვრებათა და წამებათა კრებული“ („Lives and Legends of the Georgian Saints.“). ესაა ქართული აგიოგრაფიული ძეგლების ინგლისური შემოკლებული თარგმანები. გამოქვეყნებისთანავე, ამ წიგნს დადებითი რეცენზია უძღვნა უ. ე. დ. ალენმა „ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთისა და აფრიკამცოდნეობის მოამბის XIX ტომის 1 ნაკვეთში. წინამდებარე ნაშრომში უცვლელად გთავაზობთ უ. ე. დ. ალენის მიერ წიგნისადმი მიძღვნილ „ქართველი წმინდანების ცხოვრებათა და წამებათა კრებულის“ რეცენზიას.

**ორიგინალი ტექსტებიდან შერჩეული და ნათარგმნი „ქართველი წმინდანების ცხოვრება და მათ შესახებ თქმული ლეგენდები,“ შესრულებული დ. მ. ლანგის მიერ. (აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეთიკური და რელიგიური კლასიკა, №15) 180-ე გვ.რუკა. ლონდონი: შპს George Allen & Unwin, ნიუ იორკი: კომპანია „მაკმილანი“,1956 წ.**

ამ სერიის რედაქტორები თანხმდებიან, რომ მსოფლიოს მნიშვნელოვანი ქრისტიანული, ასევე, არაქრისტიანული ეთიკური და რელიგიური შედევრები არა ექსპერტის დონის, თუმცა, ინტელექტუალური მკითხველისთვის ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ამ სასარგებლო და ამბიციურ პროექტში უამრავი გამორჩეული მწერალი ჩაერთო. დოქტორ ლანგის მიერ მასში შეტანილი წვლილი კომპეტენტურ სტანდარტს ადგენს. „ქართველი წმინდანების ცხოვრებისა და ლეგენდების“ შესახებ მისი მოკლე მიმოხილვა მარტივად და ახლადდაწერილია. იგი წმინდანთა ბიოგრაფებს საშუალებას აძლევს, წიგნებსა და ხშირად რთულად ხელმისაწვდომ გამოცემებში, რამდენიმე ენაზე რედაქტირებული, ინგლისურად ნათარგმნი ტექსტებიდან მათ (წმინდანთა) შესახებ უფრო მეტი ფაქტი გადმოსცენ. 90 წლის წინ, მალანმა პლატონ იოსელიანის „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორიის“ ინგლისური ვერსია გამოაქვეყნა. მას შემდეგ, ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული ერთადერთი სერიოზული ნაშრომი იყო “წმინდა ნინოს ცხოვრება”, რომელიც 1900 წელს მარჯორი და ოლივერ უორდროპებმა თარგმნეს Studia Biblica et Ecclesiastica-Si. ჟურნალ „ანალექტა ბოლანდიანაში“ (“Analecta Bollandiana”) გამოქვეყნებული პაულ პეეტერსის მნიშვნელოვანი კვლევები საქართველოს ისტორიის ბევრი მოყვარულისთვის ცნობილია, თუმცა, დოქტორმა ლანგმა რეალური ძალისხმევა გასწია, რათა ძირითადი მკითხველებისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო წმ. გრიგოლ ხანძთელისადმი მიძღვნილი აწ გარდაცვლილი ნ. ი. მარის იშვიათი ნაშრომიდან ამონარიდები და კ. კეკელიძის კვლევის დეტალები წმინდა დავით გარეჯის შესახებ, რომელიც, დოქტორ ლანგის სწორი შეფასებით, წმინდა ფრენსის ნამდვილი წინაპარი იყო. (აღსანიშავია, რომ ახლახან, პავლე ინგოროყვამ გრიგოლ ხანძთელის მე-

მატიანის, გიორგი მერჩულის შესახებ 1000-მდე გვერდიანი ტომი შეადგინა, რომელიც თანამედროვე ქართული ნარკვევების ძეგლია).

ქართველი წმინდანების „ცხოვრებას" მრავალი ასპექტი აქვს, რომელსაც შეუძლია მეცნიერების მიზიდვა. ფილოლოგებისთვის ნათელია ამ ადრეული შუა საუკუნეების ტექსტების მნიშვნელობა. უფრო მეტიც, დოქტორი ლანგი იხსენებს, რომ „1901 წლისთვის, ადოლფ ფონ ჰარნაკს ბერლინის აკადემიის ნაშრომებში გამოქვეყნებული ჰქონდა „წმინდა ევსტათის ცხოვრების" ტექსტის გერმანული ვარიანტი" დეტალური კომენტარების დართვით, რომელშიც აღნიშნულია ბიბლიის ლიტერატურულ ტექსტთან დაკავშირებით გამოთქმული აზრთა სხვადასხვაობა და ხაზგასმულია მისი მნიშვნელობა ბიბლიური კვლევებითვის. მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ათი მცნების საინტერესო ზებუნებრივ ფორმულირებას, ასევე, სამუელის მიერ აღწერილ ქრისტეს ცხოვრებაში გარკვეულ ელემენტებს, რომელიც ტატიანეს „დიატესარონს" ეხმაურება და თვლის, რომ ადრეულ ეპოქაში ქართული ეკლესია საკუთარ „დიატესარონს" ფლობდა.

ღაზის მახლობლად მოღვაწე მაიუმის ეპისკოპოსის - წმინდა პეტრე იბერიელის ცხოვრება (409-88), რომელსაც დოქტორი ლანგი ჯეროვნად ახასიათებს, როგორც მებრძოლ (სამხედრო) ასკეტს, ბიზანტიური ეკლესიის ისტორიის შემსწავლელისთვის მნიშვნელოვანია. მართლაც, ეს არაჩვეულებრივი კაცი თანამედროვე ფსიქიატრისთვის საინტერესო უნდა იყოს. ბიზანტიაში მძევლად გაგზავნილ განებივრებულ ახალგაზრდა უფლისწულს თავისი შუბოსნებიც კი ვერ ეგუებოდნენ. "როდესაც ჯერ კიდევ ბავშვი იყო", ტრანსცენდენტული აზროვნება და სამების მისეული ინტერპრეტაციის გამოხატვის ძალა ჰქონდა (ლანგი,გვ. 62).

გრიგოლ ხანძთელი (759-861), კიდევ ერთი დიდი "პოლიტიკური" წმინდანი, საქართველოს ისტორიის უდავოდ ერთ-ერთი დამფუძნებელი მოღვაწე იყო. (ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩემ ნაშრომში მას ძალიან ცოტა ყურადღება დავუთმე, თუმცა, აწ გარდაცვლილმა ნ. ი. მარმა კეთილი ნება გამოიჩინა და, ზოგიერთი შოტლანდიური ლექსიკონის სანაცვლოდ, გამომიგზავნა „წმინდანის ცხოვრების შესახებ ტექსტი და სომხურ-ქართული ფილოლოგიური კვლევანი, წიგნი V). წმინდა გრიგოლი ქართველ მმართველთა სამ თაობას ხელმძღვანელობდა და ჭოროხის ხეობაში ერთგვარი სამონასტრო რესპუბლიკა შექმნა. გრიგოლ ხანძთელი მეფის პირად ცხოვრებაში ჩაერია და მის სატრფოს აიძულა მონაზვნად აღკვეცილიყო. რა თქმა უნდა, იგი უფრო წარმატებული აღმოჩნდა, ვიდრე სამი საუკუნის შემდეგ - თომას ბეკეტი, თუმცა, ალბათ აშოტ კურაპალატს არ სმენოდა ჰენრი II- ის ნორმანული ფურორის შესახებ. წმინდანმა სამონასტრო რესპუბლიკაში არამართლმადიდებლური, ამორალური ქცევები აღკვეთა, თუმცა, როგორც ჩანს, საკუთარ თავს გარკვეულ თავისუფლებას ანიჭებდა (დოქტორი ლანგი ტაქტიკურად ტოვებს შესაბამის ციტატას). (წმინდანის) „ცხოვრების" სრული აღწერა, ალბათ, მე-11 საუკუნეში არსებული პირობების ყველაზე თვალსაჩინო სურათია. არანაკლებ მნიშვნელოვანია ტოპოგრაფიული დეტალები, რამაც მარს უბიძგა აღეწერა მისი „ცხოვრება", როგორც "ქართველი ბადეკერი". ერთ დღესაც, შესაძლოა, მარის ინგლისურენოვანი გამოცემა ხელმისაწვდომი გახდეს.

"ათონელების ცხოვრება" ათონის ივერთა მონასტრისა და მეათე საუკუნის ბიზანტიური ცხოვრების შესახებ დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის. მაგრამ ამ ქართველთა "ცხოვრების" განსაკუთრებული მახასიათებლებია ჰუმანურობის თავისებურებანი, რომელიც შორეული წარსულის აურას უფრო მეტად ავლენს, ვიდრე საეკლესიო და გენეალოგიური დისკუსიის ჩანაწერები. ამ-

დენად, ჩვენ ვიკვლევთ ბარდა სკლიაროსის დამმარცხებელ ერისკაც ბერ თორნიკე ერისთავის შესახებ, რომლის მიერ მოხვეჭილი ალაფითაც ივერონის მონასტერი გამდიდრდა.

"დიდი თორნიკე ჯარისკაცად იწვრთნებოდა და სამხედრო ცხოვრებაში ერთვებოდა, ამასთან, იგი სიამოვნებით ისმენდა თქმულებებს საომარი თავგადასავლების შესახებ; გამოჩენილი და პატივცემული მამაკაცები მასთან სასაუბროდ დადიოდნენ... როდესაც იოანემ ეს შენიშნა, შიშობდა, რომ ეს მოკრძალებული ადამიანი ერთგვარ სულიერ ზიანს განიცდიდა. ამიტომ, მამა იოანემ მას მიმართა: „ძვირფასო ძმაო, მე არ მინდა გადაჭარბებული სულგრძელობით სულიერად დაგაზიანო. ახლა თავი შეიკავე ამ მიწიერ თემებზე საუბრისგან და ამიერიდან არავის დაელაპარაკო, გარდა მამა გაბრიელისა." ამის შემდეგ, იგი მონასტრის საძმოსაც კი აღარ ეკონტაქტებოდა, მხოლოდ ზოგიერთ სტუმარს თუ ეტყოდა რამდენიმე სიტყვას (ლანგი, გვ. 160).

წმინდა ეუთიმიუსის ამბავი -კონსტანტინოპოლის ერთ-ერთ ქუჩაზე ოჩანი ჯორიდან მისი საბედისწერო გადმოვარდნა საუკეთესო ნაშრომია. (ლანგი, გვ. 164).

ზოგჯერ პერსონალური დეტალების ამგვარი ბუნებრივი წინასწარი ფლობა განსაკუთრებით ღირებულია უფრო ადრეულ პერიოდში მოღვაწე წმინდანების „ცხოვრებაში". წმინდა ნინოს ცხოვრება ავლენს კავკასიაში დასახლებული ებრაელების ტრადიციას, რომელიც ქრისტეს ჯვარცმის პერიოდს მიეკუთვნება. მე-4 საუკუნეში საქართველოს გაქრისტიანება ურბნისის ებრაულ კოლონიებსა (ურიათ უბანისი = ებრაელთა ქალაქი 'Jewstown') და მცხეთას უკავშირდება; ხოლო ქრისტიანული გავლენა იკვეთება ებრაელების გაქრისტიანებით (ერთი-ერთი ასეთი მაგალითი, როგორც ჩანს, თავად წმინდა ნინო იყო). კავკასიელი ებრაელების გავლენა (მოგვიანებით) ვოლგის ტერიტორიაზე წარმოშობილ ხაზართა სახაკანოსა და აშქენაზის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი თემაა, რომელიც უნდა განიხილებოდეს ქართული წყაროების მეშვეობით (ი.ჯავახიშვილს ამ პრობლემის ანთროპოლოგიურ ასპექტებზე რაიმე აზრი უნდა გამოეთქვა).

წმინდა შუშანიკისა და წმინდა ევსტათის (მეწაღის) „ცხოვრება" უნიკალურად წარმოაჩენს ირანელთა ბატონობისდროინდელ საქართველოს. მაგალითად, მეწაღეებისა და თერძების მჭიდრო გილდის ორგანიზაციის არსებობა ცხადია. გილდის წევრებს საკუთარი იდეოლოგია ჰქონდათ. შესაბამისად, ბაღდადელი მენელსაცხებლის, წმ. აბოს „ცხოვრება" ასახავს იბერიაში, აფხაზეთსა და ხაზარეთში არსებულ მდგომარეობას ადრეული ხალიფატის პერიოდში. "პილატეს თემა" იკვეთება სპარსი და არაბი მმართველების შედარებით ჰუმანურ ბუნებაში, რომლებიც რელიგიური ენთუზიასტების წინააღმდეგ სახელმწიფო კანონების ადმინისტრირების აუცილებლობის პრობლემის წინაშე იდგნენ. მოწამეობრივი პროპაგანდის ღირებულება ნათელია ამ ანტიკური დრამების ორივე მხარისთვის, ხოლო ხელისუფლება თავაზიანი ფორმით მერყეობს ენთუზიასტის მიმართ ჰუმანური სიმპათიის გამოხატვის თვალსაზრისით, რაც მიუთითებს მორალის არსებობაზე ადმინისტრაციის ამ რთული და მუდმივი პრობლემატიკის ფონზე.

დოქტორი ლანგი ტექსტს თან ურთავს მოკლე, მაგრამ სასარგებლო ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას.

ვ.ე.დ. ალენი

**ლიტერატურა:**

http://www.jstor.org/stable/609652

# Рецензия У. Е. Д. Алена на сборник перевода Лангом на Англиский язык „Житие и мученичество грузинских святых“

*Светлана Барбакадзе*
*Грузинский университет им. Андрея Первозванного*
*Факультет гуманитарных наук*
*Пр. И. Чавчавадзе №53а, Тбилиси, Грузия*
*Тел: 577 443 374*
E-mail: S.barbaqadze@newton.edu.ge

**Резюме**

Сборник «Житие и легенды грузинских святых» был выбран и переведен с текстаа-оригинала и был опубликован известным английским ученым Дэвидом Маршаллом Лангом в 1956 году. Это был краткий перевод старой грузинской агиографической литературы. Вскоре, после публикации книги, доктор Алан написал рецензию о книге в бюллетени школы восточных и африканских исследований, Лондонский Университет, т. 19 №1 (1957), стр.181-183.

**Ключевые слова:**

Агиографическое, священное, Ланг, переводы, Григол Хандзтели, Святая Нино, мученичество, житие.

# D. Alain review on D. Lang's Translation onto English „Lives and Martyrdoms of the Georgian Saints“

*Svetlana Barbakadze*
*St. Andrew the first-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia*
*Faculty of Humanities*
*53 a, I. Chavchavadze av., Tbilisi, Georgia*
*Tel: 577 443 374*
E-mail: S.barbaqadze@newton.edu.ge

**Abstract**

The collection of the “Lives and Legends of the Georgian Saints” selected and translated from the original texts was published by a famous English scientist David Marshall Lang in 1956. These are short translated works of the old Georgian Hagiographical Literature. Soon, after publishing the book, W. E. D. Alan wrote an excellent review about the book in the Bulletin of the school of Oriental and African Studies, University of London,Vol.19 No. 1 (1957), pp.181-183.

**Keywords:**

Hagiographical, ecclesiastical, Lang, translation, Gregory of Khandzta, St. Nino, martyrdom, live

*ავტორები*

**ციური ახვლედიანი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი

**ქეთევან გაბუნია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

**მარინა ზორანიანი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ლიბერალურ-მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**ფიქრია ჭულუხაძე** – საქართველოს უნივერსიტეტი, ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტი

**მაია ჯავახიძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგია, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**მარინე ჯაში** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**თამარ ჯაფოშვილი** – საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

**ნინო ფალავანდიშვილი** – საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

**ნინო ზაალიშვილი** – თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

**ლია რუხიაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

**სვეტლანა ბარბაქაძე** – საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

***ჟურნალის რედკოლეგია***

**მაია ჩხეიძე** – საქართველოს უნივერსიტეტი, ენების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**რუსუდან თაბუკაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

**ვიოლა ფურცელაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ია ჩიქვინიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**ჰანს რუდიგერ ფლუკი** – ბოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

**კულპაშ ბეიბიტოვა** – ევრაზიის გუმილიოვის სახ. ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (ქ. ასტანა)

**ტანია გრისჰამერი** – ფილოლოგიის მაგისტრი (DAAD)

**ქეთევან გაბუნია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი

**მარია მიხაილოვა** – მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსი

**სილვია ბოტევა** – სოფიის წმინდა კლემენტ ოჰრიდელის სახელობის უნივერსიტეტი, რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ტატიანა მეგრელიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ალბა გრაციანო** – იტალიის ქ. ტუსციას უნივერსიტეტი, ენების ცენტრის დირექტორი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

**ალესანდრა სპადაფორა** – იტალიის ქ. ტუსციას უნივერსიტეტი, ენების ცენტრი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**გიორგი ყუფარაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**რუსუდან გოცირიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ოქსფორდის საუნივერსიტეტო საზოგადოების ასოცირებული წევრი

***Редколлегия журнала***

**Майя Чхеидзе** – Грузинский университет, руководитель департамента языков, доктор филологических наук, профессор

**Русудан Табукашвили** – Грузинский технический университет, департамент либеральных наук, академический доктор филологии, профессор

**Виола Пурцеладзе** – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, доктор филологических наук, профессор

**Ия Чиквинидзе** – Грузинский технический университет, департамент либеральных наук, академический доктор филологии, ассоциированный профессор

**Ганс Руддигер Флук** – Профессор Бохумского университета, доктор филологических наук, профессор

**Кульпаш Бейбитова** – Профессор национального университета Евразии им. Гумилева (г. Астана), доктор филологических наук

**Таня Грисхаммер** – Магистр филологии (DAAD)

**Кетеван Габуния** – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, факультет гуманитарных наук, академический доктор филологии, руководитель направления романской филологии, профессор

**Мария Михайлова** – Московский государственный университет им. М. Ломоносова, доктор филологических наук, профессор, академик Российской Академии Естественных Наук (РАЕН)

**Сильвия Ботева** – Софийский университет им. Святого Клемента Охридского, руководитель департамента романской филологии, профессор

**Татьяна Мегрелишвили** – Грузинский технический университет, департамент либеральных наук, доктор филологических наук, профессор

**Альба Грациано** – Университет г. Тусция (Италия), директор центра языков, профессор

**Алессандра Спадафора** – Университет г. Тусция (Италия), доктор филологии, ассоциированный профессор центра языков

**Георгий Купарадзе** – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, факультет гуманитарных наук, академический доктор филологии, ассоциированный профессор

**Русудан Гоциридзе** – Грузинский технический университет, департамент либеральных наук, академический доктор филологии, профессор, ассоциированный член Оксфордского Университетского Общества

***Editorial board***

**Maia Chkheidze** – Head of the Languages Department of Georgian University, Doctor of Philological Science, Professor

**Rusudan Tabukashvili** – Georgian Technical University, Department of Liberal Sciences, Academic Doctor of Philology, Professor

**Viola Purzeladze** – Tbilisis' State University, Doctor of Philological Science, Professor

**Ia Chikvinidze** – Georgian Technical University, Department of Liberal Sciences, Academic Doctor of Philology, Assosiated Professor

**Hans Rudiger Fluck** – Professor of the Bokhums' University, Doctor of Philological Science

**Kulpash Beibitova** – Gumilev's National Eurasian University (Astana), Doctor of Philological Science, Professor

**Tanya Griskhamer** – Master of Philology (DAAD)

**Ketevan Gabunia** – Tbilisis' State University, Faculty of Humanitarian Sciences, Head of the Dirrection in Romanian Philology, Academic Doctor of Philology, Professor

**Maria Mikhailova** – Moscow's State University, doctor of Philological Science, the academician of Russian Academy on the Nature Study (RANS)

**Sylvia Boteva** – Sofia's Uniersity of Holy Klement Okhridsky, the leader of the romanian philology department, professor

**Tatiana Megrelishvili** – Georgian Technical University, Department of Liberal Sciences, Doctor of Philological Science, Professor

**Alba Graziano** – University of Tuscia, Italy, Language Center Director, Professor

**Alessandra Spadafora** – University of Tuscia, Italy, Language Center, Doctor of Philology, Assosiated Professor

**Georgi Kuparadze** – Tbilisis' State University, Faculty of Humanitarian Sciences, Academic Doctor of Philology, Associated Professor

**Rusudan Gotsiridze** – Georgian Technical University, Department of Liberal Sciences, Academic Doctor of Philology, Full professor, the associate member of Oxford's University Society